

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი



ქალაქ ქუთაისის განვითარების

სტრატეგია

„ქუთაისი 2021“

2016 წელი

შინაარსი

| | |
|---|----|
| I. სტრატეგიის მნიშვნელობა..... | 3 |
| II. ქუთაისი დღეს | 5 |
| 1. ქალაქი და მისი მოსახლეობა..... | 5 |
| 2. ინფრასტრუქტურა და კომუნალური სერვისები | 20 |
| 3. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური სფერო | 34 |
| 4. საბინაო ფონდი | 36 |
| 5. განათლება, კულტურა, სპორტი | 38 |

| | |
|---|------------|
| 6. ეკოლოგია | 47 |
| 7. ეკონომიკა..... | 49 |
| 8. ქალაქის მმართველობა..... | 63 |
| 9. ქუთაისის კავშირები და როლი რეგიონში | 71 |
| 10. ძირითადი დასკვნები..... | 77 |
| III. SWOT ანალიზი..... | 80 |
| IV. ძირითადი გამოწვევები | 88 |
| V. ქალაქის ხედვა და მისია..... | 92 |
| VI. სტრატეგიული მიმართულებები და მიზნები | 94 |
| VII. სტრატეგიული პროგრამები..... | 102 |
| 1. ვიცხოვროთ ქუთაისში | 102 |
| 2. ქუთაისი განათლებისა და ცოდნის ქალაქი..... | 106 |
| 3. ქუთაისი კულტურის ქალაქი | 110 |
| 4. სპორტი ქუთაისში | 113 |
| 5. ქუთაისი თქვენი ბიზნესის ადგილი..... | 116 |
| 6. ქუთაისი – ტურისტთა ქალაქი | 120 |
| 7. ქალაქი მდინარის პირას..... | 124 |
| 8. განახლებული ქალაქი | 128 |
| 9. ერთად განვითარდეთ | 131 |
| 10. ვენდობით ერთმანეთს | 134 |
| VIII. სტრატეგიის განხორციელების ინდიკატორები | 137 |
| IX. სტრატეგიული გეგმების სტრუქტურა | 140 |
| X. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურა..... | 141 |
| XI. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სტრუქტურა..... | 143 |
| XII. ქალაქ ქუთაისის 2016 წლის ბიუჯეტიდან დაფინანსებული სოციალური პროგრამები..... | 144 |
| XIII. ქალაქ ქუთაისში არსებული სახელმწიფო დაწესებულებები..... | 145 |

თავი I. სტრატეგიის მნიშვნელობა

საქართველოს საპარლამენტო ქალაქი – ქუთაისი დღემდე ცდილობს გაუმკლავდეს გეგმური ეკონომიკის მოშლის, სამუშაო ადგილების დაკარგვისა და მოსახლეობის მნიშვნელოვანი შემცირების შედეგად წარმოქმნილ პრობლემებს. მოკლე პერიოდში სახელმწიფოს მიერ ინვესტიციების დიდი მოცულობით განხორციელების მიუხედავად, ქალაქის ეკონომიკის რეალური გამოცოცხლება დღემდე ვერ მოხერხდა. ქუთაისის წინაშე მდგარი გამოწვევები გავლენას ახდენს საცხოვრებელი პირობების გაუარესებაზე, ტალანტების, ახალი ბიზნესების მოზიდვაზე და სხვა სფეროებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია ქალაქის კონკურენტუნარიანობისათვის. ქუთაისის კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა კვლავ ყველაზე დიდია დასავლეთ

საქართველოში. ქუთაისი ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ბაზარია ქვეყანაში დედაქალაქის შემდეგ. ქალაქი მდებარეობს საერთაშორისო აეროპორტის, საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთ ჩქაროსნული მაგისტრალის, რკინიგზის და საზღვაო პორტების სიახლოვეს. ყოველივე ამის და უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში განხორციელებული სხვადასხვა მცდელობის მიუხედავად, ქუთაისისთვის ვერ მოიძებნა ფუნქცია ახალ რეალობაში, რომელიც გახდებოდა განვითარების ძირითადი ღერძი დიდი ტრადიციებისა და პოტენციალის მქონე ქალაქისათვის.

ყველას, ვინც ცხოვრობს ან მუშაობს ქუთაისში, ან მის გარშემო, სჭირდება პროგნოზირებადი ქალაქი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტრატეგიით, რომლის წინაშე მდგარი პრობლემების აღმოსაფხვრელად თანამშრომლობენ ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობები, რეგიონის მუნიციპალიტეტები, ბიზნესი და სამოქალაქო საზოგადოება.

2015 წლის აგვისტოდან 2016 წლის მაისამდე, ქუთაისის მაცხოვრებლებმა, ქალაქის საქმიანმა წრეებმა და სტუმრებმა ქალაქის მერიის თხოვნით გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები, როგორც ისურვებდნენ ეხილათ ქუთაისი 2021 წელს და რა უნდა გაკეთებულიყო ამ მიზნით. ქალაქის მერის ბრძანებით შეიქმნა ქალაქში არსებული უნივერსიტეტების, საქმიანი წრეების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და ქუთაისის თვითმმართველობის მოხელეებისგან დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი. პირისპირ გამართული ხუთ ათეულზე მეტი შეხვედრის გარდა, დოკუმენტის სამუშაო ვერსია, ბეჭდური და ელექტრონული ფორმით, გავრცელდა კომენტარებისთვის, ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურის მიერ, ორგანიზებული იყო დისკუსიები, რომლებიც იმართებოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და Facebook-ზე, სტრატეგიის სამუშაო ვერსია გამოქვეყნდა ქუთაისის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე, ტარდებოდა მოსახლეობის ფორუმები, მიმდინარეობდა საანკეტო და ონლაინგამოკითხვები, შეხვედრები ფოკუსჯგუფებთან. მიღებული მოსაზრებები გაანალიზებული იქნა სამუშაო ჯგუფის მიერ და მათზე დაფუძნებით მომზადდა ქუთაისის განვითარების საშუალოვადიანი სტრატეგიის საბოლოო ვერსია. ასევე განისაზღვრა სტრატეგიული განვითარების გეგმების სტრუქტურა ქალაქისათვის (იხ. თავი IX).

თავი II. ქუთაისი დღეს

1. ქალაქი და მისი მოსახლეობა


ქალაქი ქუთაისი დასავლეთ საქართველოში, ნოტიო სუბტროპიკული კლიმატის ოლქის ნოტიო ქვეზონაშია განლაგებული. ჩრდილო-აღმოსავლეთით ქალაქს ესაზღვრება ოკრიბის დაბლობი, ჩრდილოეთით – სამგურალის მთები, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან კოლხეთის დაბლობი. ქალაქის ჩრდილოეთი რაიონები განლაგებულია მდინარე რიონის ამალღებულ ნაპირებზე, სამხრეთი ნაწილი კი საფიჩხიის მაღლობზე, რიონის ერთ-ერთ ტერასაზე მდებარეობს.

ქალაქი გაშენებულია იმ ადგილას, სადაც მდინარე რიონი თავისი ვიწრო და საკმაოდ ღრმა ხეობიდან ფართო ვაკეზე გამოდის. მეოცე საუკუნის 40-იან წლებამდე მდინარე დაახლოებით ორ თანაბარ – აღმოსავლეთ და დასავლეთ – ნაწილად ყოფდა ქალაქს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფართო სამრეწველო მშენებლობის განხორციელების გამო, ამჟამად ქალაქის მარჯვენა მხარეს ბევრად მეტი ტერიტორია უკავია, ვიდრე მდინარის მარცხნივ მდებარე უბნებს. ქალაქის უკიდურესი დაბლობი ზღვის დონიდან 97 მეტრზე (მუხნარის ტერიტორიული ერთეული, რიონჰესის დასახლება, მდინარე წყალწითელას ხეობაში), ცენტრალური ნაწილი 125, ხოლო ყველაზე მაღალი ადგილი 347 მეტრზე (საფიჩხიის ტერიტორიული ერთეული) არის¹.

ქუთაისი მდებარეობს რკინიგზისა და დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ავტომარგისტრალის ახლოს. ქუთაისთან უახლოესი სარკინიგზო სადგურებია „რიონი“ და „ბროწეულა“. ამ სადგურებიდან ქუთაისამდე დაახლოებით 8 კმ-ია. 3.5 კმ-ით არის დაშორებული ქუთაისი ავტომარგისტრალიდან. ქუთაისიდან 18 კმ-ში მდებარეობს დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი. შესაბამისად, 139 კმ-ით და 103 კმ-ით არის დაშორებული ქუთაისი შავი ზღვის საპორტო ქალაქებიდან – ბათუმიდან და ფოთიდან. 204 კმ-ით არის დაშორებული ქუთაისი სოხუმიდან და 114 კმ-ით იქნება დაშორებული ანაკლიის პორტიდან. 107კმ-ით არის დაშორებული ქუთაისი დასავლეთ საქართველოს კიდევ ერთი დიდი ქალაქიდან – ზუგდიდიდან და 231 კმ-ით თბილისიდან².

¹ ინფორმაციის წყარო: „მდინარე რიონის აუზი“, გიორგი დვალაშვილი, თბ. 2016 წ.

² ინფორმაციის წყარო: www.google.ge/maps/.



ქუთაისში ადრე დგება გაზაფხული და მარტიდან მაისამდე ბევრად უფრო მაღალია ჰაერის ტემპერატურა, ვიდრე თბილისსა და ბათუმში; ზაფხულის თვეებში მზე დღის განმავლობაში 8-9 საათია, ხოლო ზამთრის თვეებში 3,5-4 საათი; დაახლოებით 2000-2100 საათია მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში.

ქალაქისა და მისი მიდამოების ჰავის ძირითადი ნიშნები ხასიათდება შედარებით მშრალი და ცხელი ზაფხულით, ზომიერად თბილი ზამთრით და ხშირი, ძლიერი აღმოსავლეთის ქარებით. ქარიანი დღეების წლიური ჯამი დაახლოებით 114 დღეა, სიჩქარე კი მაქსიმალური სიძლიერისას 40 მ/წმ აჭარბებს.

კავკასიონის მთავარი ქედი ხელს უშლის ჩრდილოეთიდან წამოსული ცივი ჰაერის მასების გავრცელებას, რის გამოც აქ უფრო თბილი ჰავაა, ვიდრე ამავე განედზე მდებარე სხვა მეზობელ მხარეებში. მეორე მხრივ, ზღვიდან მონაბერ ქარებს მოაქვთ ჰაერის ტენიანი მასები, რომლებიც იწვევენ ნალექების დიდი რაოდენობით მოსვლას.

ქუთაისში ტენიანობის საშუალო წლიური მაჩვენებელი 70%-ით განისაზღვრება, ზამთრის თვეებში კი სინოტივე იკლებს და 64%-ს შეადგენს. საკმაოდ მაღალია ნალექების რაოდენობაც – მისი წლიური ჯამი 1580 მმ-ს აღემატება. ნალექების უმეტესი ოდენობა მოდის ზამთრის თვეებში, საშუალოდ 170 მმ, ყველაზე ნაკლები კი მოდის მაისში და აგვისტოში – შესაბამისად, 42 მმ და 95 მმ.

კლიმატის ცვლილებების პროგნოზით³ (2021-2050 წწ.), მოსალოდნელია ჰაერის ტემპერატურის მატება წლის ყველა პერიოდში, ყველაზე მეტად კი შემოდგომაზე. ნალექების რაოდენობა შესამჩნევად დაიკლებს გაზაფხულზე (-13%), ზაფხულში (-4.8%) და ზამთარში, მაგრამ მოიმატებს შემოდგომაზე. ნალექების რაოდენობის კლების მიუხედავად ძლიერი წვიმების რაოდენობა უცვლელი დარჩება.

ქალაქის განვითარების მიმოხილვა. ქუთაისი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. ამავე დროს ისმის კითხვა თუ საიდან უნდა დავიწყოთ ქუთაისის ასაკის ათვლა, ანუ მისი, როგორც ქალაქის ისტორია. მე-6 საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი თვლიდა, რომ ქუთაისი კოლხეთის ლეგენდარული მეფის – აიეტის რეზიდენცია, „აია-კუტაია“ იყო. ძველი ქუთაისი დეტალურად არის აღწერილი ძვ.წ. მე-3 საუკუნის ბერძენი პოეტისა და მეცნიერის აპოლონიოს როდოსელის მონუმენტურ ეპიკურ პოემაში – „არგონავტიკა“. აღნიშნული პოემა წარმოადგენს ძვ.წ. მე-14-მე-13 საუკუნეების მიჯნაზე შექმნილი ბერძნული მითოლოგიის ბრწყინვალე ძეგლის – თქმულებების ოქროს საწმისისა და არგონავტების შესახებ, ლიტერატურულ გადამუშავებას. ისტორიკოსთა უმრავლესობა ემხრობა იმ აზრს, რომ არგონავტიკის სამყარო კოლხეთია, ხოლო აიეტის რეზიდენცია – ქუთაისი. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა 1984 წელს, როდესაც მე-20 საუკუნის ყველაზე ცნობილი მოგზაური ტიმ სევერინი საქართველოსა და ქუთაისს ეწვია. ფაქტია, რომ ქუთაისის ასაკის ქვედა ზღვარი ძვ.წ. მე-14-მე-13 საუკუნეებია, თუმცა ერთი პერიოდი ძალიან პოპულარული იყო მოსაზრება ქუთაისის 3 500 წლოვანების შესახებ.

ქუთაისი და მის ირგვლივ მდებარე ვრცელი ტერიტორია ისეთ ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულს ქმნიდა, რომელსაც საქართველოში ძველთაგანვე „ქვეყანას“ უწოდებდნენ. ამ ფონზე ჩამოყალიბდა ტერმინი „ქუთაისის ქვეყანა“ ან „ქუთათისის ქვეყანა“. ქუთაისი და ქუთათისის ქვეყანა სხვადასხვა სახელწოდებებით არის ცნობილი:

„შიდა ეგრისი“

„ტიტანური აია“

„კუტაისის მიწა“

„მუხურისი“ ან „მოხირისი“

„ქუთაისის სამოქალაქო – ყოველი სამოქალაქო“

³ ქალაქ ქუთაისის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის კონცეფცია (გზამკვლევი). 2015 წელი. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია. მომზადებულია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით.

მე-17 საუკუნიდან ამ ტერიტორიას ვაკე, ხოლო მე-18 საუკუნიდან „ფიცის კაცების სამკვიდრო მხარე“ ეწოდებოდა. ამ სახელწოდებიდან უმთავრესი და უპირველესი სახელია – „ქუთათისის ქვეყანა“, რომლის ერთ-ერთი უძველესი ქართული სახელდება უნდა იყოს „შიდა ეგრისი“.

ქუთაისი ყოველთვის იყო პოლიტიკური ცენტრი – რეგიონის, მხარის, გუბერნიის, ასევე მთელი ქვეყნისაც. საინტერესოა, რომ მე-8 საუკუნის პირველ ნახევარში ქუთაისი „შეთავსებით“ ქართლის ერისმთავართა დასავლურ რეზიდენციასაც წარმოადგენდა. მე-8 საუკუნის 80-იანი წლებიდან 978 წლამდე ქუთაისი დასავლურ-ქართული სახელმწიფოს – „აფხაზთა სამეფოს“ დედაქალაქი იყო. ამ პოზიციიდან ქუთაისმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს გაერთიანების საქმეში და ბაგრატ III ბაგრატიონმა სწორედ ქუთაისში გამეფებით დაიწყო საქართველოს გაერთიანება. ბაგრატ III-ის სამეფო გახდა ერთიანი ქართველი ხალხის – საქართველოს სახელმწიფო და ქუთაისიდან ჩაეყარა საფუძველი საქართველოს ოქროს ხანას. ქუთაისის სიონი (ბაგრატის ტაძარი) ამენდა, როგორც ახლად გაერთიანებული საქართველოს სიმბოლო. 978 წლიდან 1122 წლამდე ქუთაისი საქართველოს დედაქალაქი იყო.

ერთიანი საქართველოს პერიოდში ქუთაისი სამეფო რეზიდენციის ფუნქციას ასრულებდა. აქ იყო მეფის სასახლე, ხაზინა და ზარაფხანა. 1259 წელს მეფე დავით ნარინმა ქუთაისი დასავლეთ საქართველოს რეზიდენციად აქცია და ქუთაისი და ლიხთიმერეთის სამეფო წყნარი ოკეანედან კარპატებამდე თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში რჩებოდა თავისუფლების კუნძულად მონღოლური ბატონობის უზარმაზარ ოკეანეში. სწორედ ამ პერიოდიდან იწყებს აქტიურ დამკვიდრებას ტერმინი „იმერეთი“. ვახუშტი ბაგრატიონი წერდა – „დაჯდა ნარინ დავით მეფედ იმერთა – და ამიერიდან იწოდებოდა დავით და ამას ქვემოთნი მეფენი იმერთა მეფედ და არდ არა აფხაზთა“. ქუთაისი დასავლეთ საქართველოს სამეფოს დედაქალაქის ფუნქციას 1329 წლამდე ასრულებდა, ვიდრე გიორგი მე-5 ბრწყინვალემ საქართველო არ გააერთიანა.

მე-15 საუკუნიდან საქართველოს დეცენტრალიზაციის პროცესმა პიკს მიაღწია. 1462-1489 წლებში ჩამოყალიბდა იმერეთის სამეფო, რომელმაც 1810 წლამდე იარსება. მთელი ამ ხნის მანძილზე სამეფოს დედაქალაქი ქუთაისი იყო. თუკი ლიხთიმერეთის სამეფო 1259-1329 წლებში მთელს დასავლეთ საქართველოს მოიცავდა, 1489-1810 წლებში არსებული იმერეთის სამეფო ძირითადად გეოგრაფიული იმერეთით შემოიფარგლებოდა და ქუთაისის დედაქალაქობაც მცირე პოლიტიკური არეალით შემოიფარგლა. ქუთაისი დედაქალაქობასთან ერთად სამოურავოს ცენტრის ფუნქციასაც ითვისებდა. ქუთაისის

მოურავს ჰქონდა ადმინისტრაციული, საგამომძიებლო და სასამართლო ფუნქციები. ქუთაისის მოურავს იმერეთის სამეფოს დანარჩენი 25 მოურავისაგან განსხვავებით ჰქონდა სარდლის წოდებაც. ამავე პერიოდში ქუთაისი ვაკის სადროშოს ცენტრიც იყო. 1810 წელს რუსეთის იმპერიამ გააუქმა იმერეთის სამეფო და მის ნაცვლად შექმნა იმერეთის „ობლასტი“ ანუ ოლქი, რომლის მთავარი ქალაქი ქუთაისი იყო. აქ ფუნქციონირებდა „იმერეთის დროებითი მმართველობა“, რომლის სათავეში რუსი მოხელე იდგა, დროებითმა მმართველობამ 1810-1840 წლებში იარსება და მმართველობის ცენტრთან ერთად ქუთაისი ამავე დროს იყო „ქუთაისის ოკრუგის“ ცენტრი. „ქუთაისის ოკრუგის“ უფროსი სხვებთან შედარებით მეტი უფლებებითა და მოვალეობებით იყო აღჭურვილი.

1840 წლის 10 აპრილს ჩამოყალიბდა საქართველო-იმერეთის გუბერნია, რომელშიც შედიოდა ქუთაისის მაზრა. მისი მთავარი ქალაქი იყო ქუთაისი. მმართველობის ეს სისტემა მალე გაუქმდა და 1846 წლის 14 დეკემბერს ამიერკავკასიაში ახალი ადმინისტრაციული რეფორმა გატარდა, რომლის მიხედვით ამიერკავკასია 4 გუბერნიად დაიყო. საქართველომ შეადგინა ორი – თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები. შესაბამისად, ქუთაისი საგუბერნიო ქალაქად გამოცხადდა. ქუთაისის გუბერნია ადმინისტრაციული და ტერიტორიული ცვლილებებით არსებობდა 1846 წლის 14 დეკემბრიდან 1921 წლის 10 აპრილამდე. მასში 1878 წლიდან შედიოდა ართვინის ოლქი (ისტორიული სამხრეთ საქართველო), ხოლო 1883 წლიდან ბათუმის ოლქიც, აგრეთვე ახალციხის მაზრა. ქუთაისი საიმპერიო მნიშვნელობის საგუბერნიო ცენტრი იყო და იგი გადიოდა რუსეთის იმპერიის ისეთი ქალაქების რანგში, როგორებიც იყო კიევი, ასტრახანი, კაუნასი, ვილნიუსი, მინსკი და ა.შ.

1857 წლის ივნისში იმპერატორმა ალექსანდრე მე-2-მ ხელი მოაწერა ბრძანებულებას ქუთაისის საგენერალ-გუბერნატოროს შექმნის შესახებ და ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს აფხაზეთის ტერიტორიაც დაექვემდებარა. ქუთაისის მნიშვნელობა იმდენად დიდი იყო ამ ეპოქაში, რომ ქალაქის გენერალ-გუბერნატორი ითვლებოდა შავი ზღვის კავკასიის სანაპიროს ფლოტის სარდლად. 1867-დან 1883 წლამდე ქუთაისის ჩამოაცილეს საგენერალ-გუბერნატორო სტატუსი, მაგრამ მალევე იქნა აღდგენილი. დამოუკიდებელი საქართველოს ეპოქაში კვლავ ძალაში რჩებოდა საქართველოს გუბერნიებად დაყოფის პრინციპი. 1921 წლის 10 აპრილს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქუთაისის გუბერნია გაუქმდა და 1921-1929 წლებში ქალაქი „ქუთაისის მაზრის“ ცენტრი იყო. 1929 წლის აგვისტოში მაზრის გაფართოების საფუძველზე შეიქმნა „ქუთაისის ოლქი“, რომლის ტერიტორია 10 768 კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა 600 000-ზე მეტი იყო. ოლქი მალე გაუქმდა და ქუთაისის ადმინისტრაციული ფუნქცია იმითაც შეიკვეცა, რომ ქალაქის დაქვემდებარებიდან 1939 წელს გამოვიდა წყალტუბოს რაიონი. ქუთაისის რაიონის

სოფლების ნაწილიც წყალტუბოს შეუერთეს. 1951 წელს კვლავ შეიქმნა ქუთაისის ოლქი, რომელიც მალევე 1953 წელს გააუქმეს. შეიზღუდა ქუთაისის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სტატუსიც და ქუთაისს მხოლოდ და მხოლოდ რაიონული ცენტრის ფუნქცია შერჩა. 1959 წელს გააუქმეს ქუთაისის რაიონიც და ქალაქი თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში პირველად შემოიფარგლა მხოლოდ საქალაქო ტერიტორიით. საბჭოთა ხელისუფლებამ ქუთაისს ინდუსტრიული ფუნქცია მიანიჭა. სამწუხაროდ ინდუსტრიულმა ქუთაისმა თითქმის ჩაახშო კულტურული ქუთაისი, ქალაქმა დაკარგა თავისი ადგილი საქართველოს ინტელექტუალურ ცხოვრებაში, რასაც ხელი შეუწყო იმან, რომ ქუთაისს წართმეული ჰქონდა მისთვის ტრადიციული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ფუნქცია.

1995 წელს შეიქმნა იმერეთის რწმუნებულის თანამდებობა, რითაც ქუთაისი იმერეთის გუბერნიის ცენტრი გახდა და ამ ფუნქციას ის დღევანდელ დღემდე ასრულებს.

საინტერესო საკითხია ქუთაისის მოსახლეობის დინამიკა. ქუთაისი, დღიდან მისი დაარსებისა ყოველთვის დიდ ქალაქად ითვლებოდა. სამწუხაროდ ზუსტი ცნობები ქალაქის მოსახლეობის შესახებ არ გვაქვს. ზოგიერთ სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ თამარ მეფის ეპოქაში ქუთაისის მოსახლეობა დაახლოებით 20 ათასი იყო. იმ პერიოდისათვის ეს არც თუ ისე პატარა ციფრია, მაგრამ სამწუხაროდ სხვა ცნობები არ მოგვეპოვება. უფრო კონკრეტულად ქალაქის მოსახლეობის შესახებ უცხოელი ავტორებისაგან ვიგებთ ინფორმაციას მხოლოდ მე-17 საუკუნიდან.

ცნობილი ფაქტია, რომ 1650 წელს რუსი ელჩის, ტოლოჩანოვის ცნობით ქუთაისში 1 000 ოჯახი ცხოვრობდა. აქედან გამომდინარე, ქალაქის მოსახლეობა დაახლოებით 5 000-ზე მეტი იქნებოდა. 23 წლის შემდეგ შარდენის ცნობით მოსახლეობამ 200 ოჯახამდე დაიკლო – დაახლოებით 1 000 სული. ერთი საუკუნის შემდეგ 1769 წლისათვის გიულდენშტედტის ცნობით ქუთაისში მხოლოდ 50 ოჯახი ცხოვრობდა. სარგის კაკაბაძე მიიჩნევდა, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისში ქუთაისში 360 კომლი იყო, ხოლო პეტრე გნილოსაროვი ქუთაისის მოსახლეობას ამ პერიოდში ასი კომლით განსაზღვრავს. ქალაქის მოსახლეობამ ზრდა მე-19 საუკუნიდან დაიწყო და გასული საუკუნის 90-იანი წლებისათვის 200 ათასს გადააჭარბა.

ამ პროცესის პარალელურად დაიწყო ქალაქის ახალი, მსხვილი სამრეწველო უბნების გაშენება, რომლებიც უმეტესწილად შერწყმული იყო ახალ საცხოვრებელ უბნებთან. მაგალითად ასეთი უბნებია ავტოქარხნის დასახლება, რომელიც დღესდღეობით ქალაქის ყველაზე დიდ ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენს მოსახლეობის რიცხოვნებით, ასევე ავანგარდის დასახლება და ა.შ.

ახლო წარსულში ქუთაისს შემოუერთდა ავტოქარხნის მარჯვენა დასახლება და ე.წ. “გორა საქუსლია”. შემოერთება ეტაპობრივად დაიწყო გასული საუკუნის 90 წლებიდან და 2007-2008 წლებში დასრულდა. აღნიშნული დასახლებები ძალზედ ახლოსაა საქართველოს პარლემენტის შენობასთან, რის გამოც ახალი ეკონომიკური და სოციალური გამოწვევების წინაშე დგას. დასახლებებს ქალაქ ქუთაისთან შემოერთების შემდეგ მრავალი ყოფითი პრობლემა მოუგვარდა. ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა: 33 ქუჩად დაყოფა, სასმელი წყლის ახალი ქსელით უზრუნველყოფა, გარე განათების სრულად მონტაჟი და ბუნებრივი აირის შეყვანა.


დღევანდელ საზღვრებში ქუთაისი 65 კვ.კმ.-ია⁴, ქალაქის განაშენიანებული კვარტლები ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გრძელდება 7,9 კმ-ზე, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 10 კმ-ზე. ქალაქის პერიმეტრი 64 კმ-ია. ქალაქის პერიმეტრზე მდებარე ორ უმორეს წერტილს შორის მანძილი 14 კმ-ია.

ქალაქის ურბანიზებულ ნაწილს 55 კვ.კმ უჭირავს. ქუთაისში რეკრეაციულ ზონას უკავია 221.4 ჰა. მათ შორის: პარკს – 12 ჰა (2 ობიექტი), სკვერებს – 20,4 ჰა (422 ობიექტი), ბაღებს – 4 ჰა (4 ობიექტი), გაზონებს – 94.0 ჰა (86 ობიექტი), ბოტანიკურ ბაღს – 16.0 ჰა, ხოლო გამწვანების იმ ფართობს, რომელიც მდებარეობს საერთო საცხოვრებელი ბინების, ინდივიდუალური სახლების, ასევე ფიზიკური და იურიდიული პირების ობიექტების მიმდებარედ, დაახლოებით – 65,0 ჰა. ქალაქის საგზაო ქსელის სიგრძე 231.3 კმ.

სურათი 2. ქუთაისის საზღვრებში არსებული მიწის გამოყენება

⁴ მონაცემები აღებულია საჯარო რეესტრის რუკიდან.

ქალაქის ზონირების რუკა



პირობითი აღნიშვნები

- სატყეო ზონა
- საზოგადოებრივი საქმიანობის ზონა
- საცხოვრებელი ზონა
- სატრანსპორტო ზონა
- სარეკრეაციო ზონა
- სამრეწველო ზონა
- საცხოვრებელი ზონა ქალაქის ისტორიულ ნაწილში

ქუთაისში 1 კვ.მ მიწის ნორმატიული ფასი 12 ლარიდან 180 ლარამდე მერყეობს. მიწის ნორმატიულ ფასს ყოველწლიურად ადგენს ქალაქის საკრებულო ექსპერტის შეფასების საფუძველზე. ბოლო 2 წელი მიწის ნორმატიული ფასი არ შეცვლილა.

ცხრილი 1. მიწის ნორმატიული ფასები ქუთაისში⁵

| ზონებისა და ქვეზონების ჩამონათვალი | საწყისი საპრივატიზებო საფასური 1 კვ.მ-ზე /ლარი/ |
|------------------------------------|---|
| პირველი ზონა /ცენტრალური/ | |
| ა. პირველი ქვეზონა | 180 |
| ბ. მეორე ქვეზონა | 160 |
| გ. მესამე ქვეზონა | 153 |
| მეორე ზონა /შუალედური/ | |
| ა. პირველი ქვეზონა | 125 |
| ბ. მეორე ქვეზონა | 104 |
| გ. მესამე ქვეზონა | 90 |
| მესამე ზონა /პერიფერიული/ | |
| ა. პირველი ქვეზონა | 60 |
| ბ. მეორე ქვეზონა | 38 |
| გ. მესამე ქვეზონა | 25 |
| დ. მეოთხე ქვეზონა | 12 |

ქუთაისში მოსახლეობის სიმჭიდროვე 2293 კაცია 1კვ.კმ.-ზე, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე ბევრად მაღალია.

იმის გამო, რომ ქუთაისში მოსახლეობის სიმჭიდროვე 1კვ.კმ-ზე 1500-დან 5000-მდეა და მოსახლეობა 100 ათასიდან 250 ათასამდე, ევროკომისიისა და OCED-ის განმარტებით იგი საშუალო ზომის ქალაქებს მიეკუთვნება. კავკასის რეგიონში ასეთი ზომის სულ რამდენიმე ქალაქია.


⁵ დადგენილია ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 თებერვლის №127 დადგენილებით.

სურათი 3. კავკასიის საშუალო და დიდი ზომის ქალაქები



მოსახლეობა, დემოგრაფია. 2014 წლის საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში, 65 კვ.კმ ფართობზე 147,6 ათასი მოსახლე ცხოვრობს. დღეს ქუთაისში იმაზე ნაკლები მოსახლეობაა, ვიდრე 1970 წელს ცხოვრობდა.

სურათი 4. ქუთაისის მოსახლეობის დინამიკა




ქუთაისში დასავლეთ საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 11,0% და დასავლეთ საქართველოს ურბანული მოსახლეობის 24,1% ცხოვრობს. 1959 წლიდან 2015 წლამდე ქუთაისის მოსახლეობის წილი საქართველოს ურბანულ მოსახლეობაში 7,5%-დან 7%-მდე შემცირდა.


ცხრილი 2. საქართველოს ქალაქები 40 ათასი და მეტი მაცხოვრებლით (2014 წელი)

| თვითმმართველი ქალაქები | მოსახლეობა | | |
|------------------------|-------------|--|--|
| | სულ (ათასი) | ხვედრითი წილი ქვეყნის მოსახლეობაში (%) | ხვედრითი წილი ქვეყნის ურბანულ მოსახლეობაში (%) |
| ბათუმი | 152.8 | 4.1 | 7.2 |
| გორი | 48.9 | 1.3 | 2.3 |
| ზუგდიდი | 43.0 | 1.2 | 2.0 |
| თბილისი | 1 078.3 | 29.0 | 50.8 |
| რუსთავი | 125.1 | 3.4 | 5.9 |
| ფოთი | 41.5 | 1.1 | 2.0 |
| ქუთაისი | 147.6 | 4.0 | 7.0 |

სურათი 5. ქუთაისის მოსახლეობის განაწილება ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით (2015 წ)




სურათი 6. ქუთაისის მოსახლეობის განაწილება ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით (2015 წ.)



იმერეთის რეგიონი საქართველოს ყველაზე მრავალრიცხოვანი რეგიონია. იმერეთში ცხოვრობს საქართველოს მოსახლეობის 14.4%. იმერეთის ურბანული მოსახლეობა საქართველოს ურბანული მოსახლეობის 12.2%-ია. იმერეთის მოსახლეობის 27,6% ქუთაისში ცხოვრობს, რაც იმერეთის ურბანული მოსახლეობის 57.1%-ია.


2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით საქართველოს რეგიონებში, თბილისის გარდა, მოსახლეობა შემცირებულია 2002 წლის მონაცემებთან შედარებით. დასავლეთ საქართველოს რეგიონების მოსახლეობა 2002-2015 წლებში 5.7-ჯერ მეტად არის შემცირებული, ვიდრე 1989-2002 წლებს შორის; ხოლო ურბანული მოსახლეობა შემცირებულია – 1,2-ჯერ. 2002-2015 წლებში ურბანული მოსახლეობა დასავლეთ საქართველოს რეგიონებიდან გაზრდილია მხოლოდ აჭარის ა/რ-ში, ხოლო დასავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტებიდან – მხოლოდ ბათუმისა და ქედას მუნიციპალიტეტებში. თუმცა საქსტატის ოფიციალური მონაცემებით, ბათუმის მოსახლეობა გაზრდილია მიმდებარე მუნიციპალიტეტების დასახლებების მიერთების გამო.

სურათი 7. მოსახლეობის სიმჭიდროვე საქართველოში



კავკასიის საშუალო და დიდ ქალაქებში მოსახლეობა 2002 წელთან შედარებით შემცირებულია ქუთაისსა და სომხეთის ქალაქებში. 1989 წელთან შედარებით ქუთაისის მოსახლეობა 36%-ით არის შემცირებული. მოსახლეობა მნიშვნელოვნად არის გაზრდილი აზერბაიჯანულ ქალაქებში. მაგალითად, ქალაქ მანგეჩვარში მოსახლეობა 1979 წლის შემდეგ 40%-ით გაიზარდა და 2015 წლისთვის 100 ათასს გადააჭარბა; ხოლო სომხეთის ქალაქ ვანაძორში მოსახლეობა 1979 წლის შემდეგ 60%-ზე მეტად არის შემცირებული.


სურათი 8. მოსახლეობის დინამიკა კავკასიის საშუალო ქალაქებში⁶



⁶ წყარო: 1. საქსტატი, www.geostat.ge; 2. <http://www.citypopulation.de/Asia.html>.


ქუთაისში დაბადებულთა რიცხვი 2000 წლიდან 2010 წლამდე პერიოდში მეტი იყო ვიდრე ბათუმსა და რუსთავში. 2011 წლიდან დაბადებულთა რიცხვი ამ ქალაქებს შორის ყველაზე მეტია ბათუმში, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს ბათუმთან მიმდებარე მუნიციპალიტეტების დასახლებების მიერთებით. გარდაცვლილთა რიცხვი ამ სამ ქალაქს შორის, იგივე პერიოდში, ყველაზე მეტია ქუთაისში.

სურათი 9. მოსახლეობის ბუნებრივი მატება საქართველოს 3 დიდ ქალაქში



2000-2014 წლებში შობადობის კოეფიციენტი ქუთაისში ძირითადად ჩამორჩებოდა ბათუმის ანალოგიურ მაჩვენებელს. გამონაკლის შეადგენდა 2006-2010 წლები და 2014 წელი. შობადობის კოეფიციენტი საქართველოს დიდ ქალაქებში მეტია, ვიდრე ქვეყანაში.

სურათი 10. შობადობის კოეფიციენტი საქართველოს დიდ ქალაქებში




2015 წლისთვის ქუთაისის მაცხოვრებლების 56% შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობისგან შედგებოდა, რაც ნაკლებია 2002 წელთან შედარებით. 2002 წელს სამივე ქალაქში შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა 60%-ზე მეტი, კერძოდ ქუთაისში კი 62% იყო.

ცხრილი 3. ქუთაისის მოსახლეობის სტრუქტურა

| | 2002 წ. | 2014 წ. |
|-----------------|---------|---------|
| 0-18 წელი | 28 % | 23 % |
| 19-64 წელი | 62 % | 56 % |
| 65 და მეტი წელი | 10 % | 21 % |


საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ 2015 წელს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით მომზადებულ ქალაქ ქუთაისის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის კონცეფციაში აღნიშულია, რომ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 65 წელს გადაცილებული მოსახლეობის რიცხვი 31 237-ია, რაც მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობის 21.0%-ს შეადგენს. მთლიანი მოსახლეობიდან 65 წელს გადაცილებული 8,646 მამაკაცია, ხოლო 22,591 – ქალი. შესაბამისად, აღნიშნული ასაკის მამაკაცთა ხვედრითი წილი მუნიციპალიტეტის საერთო პოპულაციაში არის 5.8%, ქალების კი -15.2%. ამდენად, სოციალურ სექტორში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის ღონისძიებების დაგეგმვისა და გატარების დროს გენდერულ ასპექტებს სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს⁷.

⁷ ქალაქ ქუთაისის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის კონცეფცია (გზამკვლევი). 2015 წელი. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია. მომზადებულია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით.




2. ინფრასტრუქტურა და კომუნალური სერვისები

წყლით მომარაგება და წყალარინება. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის 99,84% სარგებლობს ცენტრალური წყალგაყვანილობის სისტემით, რომელსაც ემსახურება შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“. ამ ეტაპზე ყოველდღიური 24-საათიანი რეჟიმით მარაგდება აბონენტების მხოლოდ 24% (ავტომშენებლის დასახლება, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია), 12-საათიანი გრაფიკით მარაგდება აბონენტების 16%, 8-საათიანი გრაფიკით მარაგდება – 7%, ხოლო 6-საათიანი გრაფიკით – 53%.



ქალაქში 1 სულზე დღიურად მოხმარებული წყლის საშუალო ოდენობა 0,22 კუბ/მ-ს შეადგენს.

სურათი 13. წყლის რესურსების მოხმარების დინამიკა



წყალმომარაგების სისტემის მიწების საერთო სიგრძე შეადგენს 526 661 გრძ/მ-ს, მათ შორის: ცენტრალური მაგისტრალის სიგრძე არის 86 655 გრძ/მ, ხოლო მცირედიამეტრიანი განშტოებების სიგრძე არის 440 006 გრძ/მ.

ქალაქის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემა საკმაოდ მოძველებული და ამორტიზებულია. შესაბამისად, მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან ის უკვე ჯეროვნად ვეღარ ფუნქციონირებს. სწორედ ამიტომ, ჯერ კიდევ 2008 წლიდან დაიწყო ქალაქში სისტემის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი დონორი ორგანიზაციების ჩართულობით, რომელთა მხარდაჭერით მოხდა 27 ქუჩის სრული რეაბილიტაცია და დაიდგა 7800 ინდივიდუალური მრიცხველი არასაყოფაცხოვრებო აბონენტებზე. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ფარცხანაყანების და მუხიანის სათავე ნაგებობებს, ასევე ქვიტირის მეორადი ამწეობის სადგურს, აშენდა 2 000 კუბ/მ რეზერვუარი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა საქუსლიის გორაზე მდებარე რეზერვუარებს (სამი ერთეული 10 000 კუბ/მ-იანი და ორი ერთეული 6 000 კუბ/მ-იანი, საერთო ჯამში 42 000 კუბ/მ). მას შემდგომ წლებში მოყვა რეაბილიტაციის სხვადასხვა პროექტების განხორციელება, თუმცა, ამ მასშტაბის პროექტები არსებითად ვერ აუმჯობესებდა ქალაქის მოსახლეობის შესაბამისი სერვისით უზრუნველყოფის დონეს და აუცილებელი იყო გაცილებით ფართომასშტაბიანი რეაბილიტაციის პროექტის დაწყება.

2010 – 2015 წლების ჩათვლით, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ქუთაისის სერვის ცენტრმა შეცვალა – 19800 გრძ/მ წყლის მიწები და 22160 ინდივიდუალური მრიცხველი საყოფაცხოვრებო აბონენტებზე;

„კოკსის პროექტის“ თანახმად პირველ ეტაპზე განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები:

- 2013-2016 წლებში შეიცვალა – 52 000 გრძ/მ სხვადასხვა დიამეტრის წყლის მიწები;
- აშენდა ორი 3 500 კუბ/მ-იანი და ერთი 3 000 კუბ/მ-იანი რეზერვუარი ვაჟა ფშაველას გორაზე;
- აშენდა ორი 2 000 კუბ/მ-იანი რეზერვუარი თეთრამიწის გორაზე;
- აშენდა ერთი 2 000 კუბ/მ-იანი რეზერვუარი ტელეანძის მიმდებარე ტერიტორიაზე;
- დაიდგა 16 000 ინდივიდუალური მრიცხველი საყოფაცხოვრებო აბონენტებზე მაღლივ კორპუსებში.

პროექტი განხორციელდა ესპანურმა კომანია შპს „კობრა ჯორჯიამ“; გამოყოფილი თანხა შეადგენდა 26 მილიონ ლარს.

„კოკსის პროექტის“ თანახმად მეორე ეტაპზე 2016-2018 წლებში განსაზღვრულია შემდეგი სახის სამუშაოები:

- 300 კმ სიგრძის ქსელის რეაბილიტაცია;
- ორი 4000 კუბ/მ-ის მოცულობის რეზერვუარის აშენება სოფელ გოდოგნის მიმდებარე ტერიტორიაზე;
- წერეთლის ქუჩის ბოლო მონაკვეთში 1000 კუბ/მ-ის მოცულობის რეზერვუარის აშენება თავისი სატუმბი სადგურით;
- 20000 ინდივიდუალური მრიცხველის დადგმა საყოფაცხოვრებო აბონენტებზე;

პროექტს ახორციელებს თურქული კომპანია SMK. გამოყოფილი თანხა შეადგენს 84 მილიონ ლარს.

სამუშაოების დამთავრების შემდგომ ქალაქი უკვე ისარგებლებს 24-საათიანი წყალმომარაგებით და ყველა აბონენტი იქნება გამრიცხველიანებული.

2015 წლის მდგომარეობით, წყალარინების ცენტრალური სისტემა არსებობს ქალაქის ტერიტორიის დაახლოებით 80%-ში. სისტემის საერთო სიგრძე არის 266 082 გრძივი მეტრი. მათ შორის, ცენტრალური მაგისტრალის სიგრძე არის 64 000 გრძ/მ, ხოლო განშტოებების სიგრძე 202 082 გრძ/მ.

არსებული წყალარინების ქსელის უდიდესი ნაწილი საჭიროებს რეაბილიტაციას, ხოლო ის უბნები სადაც ქსელი არ არსებობს, საჭიროებს ახალი ქსელის მოწყობას.

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ერთობლივად დაგეგმილია წყალარინების სისტემის მასშტაბური რეაბილიტაციის პროექტი, მოძიებულია თანხები დონორი ორგანიზაციებიდან და პროცესის დასრულება იგეგმება 2020 წლისათვის. წყალარინების სისტემის რეაბილიტაციისა და ახლის მოწყობისათვის გამოყოფილია 100 მლნ. ევრო. შედეგად სრულად მოხდება ქალაქში წყალარინების ქსელის რეაბილიტაცია და აშენდება თანამედროვე გამწმენდი ნაგებობა სოფელ პატრიკეტში.

დასუფთავება. ამჟამად ქალაქში ყოველდღიურად იგვება პრაქტიკულად ყველა ცენტრალური ქუჩა, რომელთა საერთო რაოდენობა 98-ს შეადგენს, მათგან ნაწილი დღეში ორჯერადად. ასევე ხდება ქუჩების ნაწილის მორწყვა. დადგენილი წესის შესაბამისად, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა მაგისტრალებიდან, მოედნებიდან და ქუჩებიდან მიმდინარეობს დღეში 2-ჯერ, ხოლო სხვა ტერიტორიებიდან კვირაში 1-ჯერ.

ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებულია: 1200 ცალი 1100-ლიტრიანი და 370 ცალი 50 ლიტრიანი ურნა, ხოლო პლასტმასისათვის განკუთვნილია 100 ერთეული ურნა და მოსახლეობის მიერ ხდება ნარჩენების სეპარაცია, ხოლო რაც შეეხება მუყაოს ტიპის

ნარჩენებს, ყოველდღიურად სპეციალური ა/მანქანის მიერ ხდება მათი შეგროვება. სამშენებლო ნარჩენების გატანას უზრუნველყოფს თავად დაინტერესებული პირი „მყარი ნარჩენების მართვის“ კომპანიასთან შეთანხმების საფუძველზე. სამედიცინო ნარჩენების გაუვნებელყოფა არ ხდება ქალაქში და შესაბამისად, სამედიცინო დაწესებულებებს გაფორმებული აქვთ მომსახურების ხელშეკრულებები თბილისში, ან ბათუმში არსებულ კერძო კომპანიებთან, რომლებიც შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, ახდენენ ასეთი ნარჩენების გატანა-უტილიზაციას.

დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობა ფიზიკურ პირებზე განსაზღვრულია თვეში 0,5 ლარის ოდენობით 1 სულზე, ხოლო იურიდიულ პირებზე მოქმედებს დიფერენცირებული ტარიფები. 2016 წლის მონაცემებით, დასუფთავების მოსაკრებლის სახით ბიუჯეტში გათვალისწინებულია 1,6 მლნ ლარის მიღება, ხოლო დასუფთავების სფეროსათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილია 3,0 მლნ ლარი.

ქალაქში ამჟამად არის დაახლოებით 85740 ფიზიკური პირი აბონენტი (125616 სული) და 4500 იურიდიული პირი აბონენტი. უახლოეს მომავალში დაგეგმილია აბონენტების ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნა სპეციალურ პროგრამაში, რომელიც სრულ ინფორმაციას მიაწოდებს აბონენტს მასზე დარიცხული მოსაკრებლის, არსებული დავალიანების და სხვა დაკავშირებული საკითხების შესახებ. ასევე, იგეგმება ქალაქის ტერიტორიაზე ურნების რაოდენობის გაზრდა და დამატებითი ტექნიკის შეძენა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. კერძოდ, 2016 წელს ქუჩებში განთავსებული მოძრავი ნაგავშემკრები კონტეინერები გაიზრდება დაახლოებით 100 ერთეულით, ხოლო 2020 წლამდე პერიოდში დაახლოებით გამოსაცვლელი იქნება არანაკლებ 1000 ერთეული ურნა, რომლის ღირებულება არსებული ფასებით შეადგენს დაახლოებით 800 ათას ლარს.

2014-2015 წლებში სსიპ – „მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ სრულად მოწესრიგდა ნიკვას ქუჩაზე არსებული ნაგავსაყრელის სანიტარული და ეკოლოგიური მდგომარეობა და უახლოეს მომავალში ახალი თანამედროვე ტიპის რეგიონული ნაგავსაყრელის შექმნის შემდეგ სრულად მოხდება ძველის დახურვა და მის ადგილზე დიდი რეკრეაციული ზონის გაშენება. აღნიშნული ახალი რეგიონული ნაგავსაყრელი განთავსებული იქნება ქუთაისის საზღვრიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. მისი მშენებლობა ხდება „ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტის“ ფარგლებში, რომელიც ფინანსდება გერმანიის განვითარების ბანკის (KfW) მიერ. პროექტი დასრულდება 2018 წელს და გულისხმობს ქუთაისის მოქმედი ნაგავსაყრელის დახურვას, ახალი თანამედროვე სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობას


(რომელიც იმერეთის რეგიონთან ერთად, ასევე მოემსახურება რაჭა-ლეჩხუმს და ქვემო სვანეთს) და ტექნიკურ დახმარებას „მყარი ნარჩენების მართვის კომპანიისათვის“. ამ ეტაპისთვის უკვე განხორციელებულია შემდეგი აქტივობები:

- მომზადდა ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების დოკუმენტი;
- გაფორმდა სასესხო და საგრანტო ხელშეკრულებები საქართველო-გერმანიას შორის;
- გაფორმდა განსაკუთრებული შეთანხმებები სესხის ხელშეკრულებისა და გრანტის ხელშეკრულების საფუძველზე;
- ჩატარდა ორეტაპიანი ტენდერი, რომლის საფუძველზეც შეირჩა პროექტის განმახორციელებელი ღონისძიებების კონსულტანტი (გერმანული საკონსულტაციო კომპანია ERM) და დამხმარე ღონისძიებების კონსულტანტი (გერმანული საკონსულტაციო კომპანია PEM).

ელექტრომომარაგება. ქალაქის ელექტროენერგიით მომარაგებას ახდენს სს „ენერგო-პრო-ჯორჯია“. ელ. ქსელების საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ქალაქი სრულად უწყვეტ რეჟიმში იღებს ენერგიას, ქსელში მომხდარი მცირე ზომის ავარიების აღმოფხვრა კი ოპერატიულად ხდება. კომპანიამ 2015 წელს საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს მიაწოდა 100 მლნ. კვტ.სთ-ზე მეტი ელექტროენერგია, ხოლო არასაყოფაცხოვრებო სექტორს დაახლოებით 170 მლნ კვტ.სთ ენერგია⁸.

⁸ წყარო: სს „ენერგო- პრო ჯორჯია“

სურათი 14. ელ. ენერჯის მოხმარება ქ. ქუთაისში წლების მიხედვით




ამჟამად ქალაქი მოიხმარს 35 მეგავატ ელექტრო ენერჯიას, საბჭოთა პერიოდში კი მოხმარების მაქსიმუმი იყო 120 მეგავატი. შესაბამისად, მსხვილი საწარმოების შექმნის შემთხვევაში ენერჯო სიმძლავრეების პრობლემა არ იარსებებს.

ბუნებრივი აირი. ქალაქის გაზომომარაგებას უზრუნველყოფს ს.ს. „სოკარ ჯორჯია გაზი“, რომლის აბონენტების საერთო რაოდენობა შეადგენს 58368-ს, მათ შორის, 1679 არის იურიდიული პირი, ხოლო 58368 არის საოჯახო მეურნეობა. დღეის მდგომარეობით ქალაქში გამრიცხველიანება ესაჭიროება დაახლოებით 10 ათას აბონენტს. ბუნებრივ გაზთან წვდომა აქვს მოსახლეების 92%-ს⁹.

⁹ "Knowledge, Attitude and Behavior Baseline Survey: Summary Findings by Target Municipalities". Winrock International. 2014

სურათი 15. ბუნებრივი აირის მოხმარება ქ. ქუთაისში წლების მიხედვით



ბუნებრივი აირის ქსელის საერთო სიგრძე შეადგენს 363 000 გრძ/მ-ს, მათ შორის, 106 700 გრძ/მ არის საშუალო წნევის, ხოლო 256 300 გრძ/მ დაბალი წნევის. ოპერატორმა კომპანიამ 2015 წელს მოახდინა 12 ქუჩის ქსელის რეაბილიტაცია. აღსანიშნავია წლების მანძილზე მოუგვარებელი პრობლემის, კერძოდ გუმათის ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრები, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისათვის, ბუნებრივი აირის გაყვანილობის მონტაჟის და გამრიცხველიანებისათვის საჭირო თანხების ანაზღაურება, თანადაფინანსების პრინციპით, ოჯახზე 200 (ორასი) ლარის ოდენობით. ამ პროგრამის განხორციელებით სრულად მოხდება გუმათის ტერიტორიულ ერთეულში გაზომომარაგების პრობლემის მოგვარება.

გათბობისათვის მოსახლეობის 71.5% იყენებს ბუნებრივ გაზს, 16.6% – ელექტროენერგიას და 11.6% – შეშას, თუმცა ათბობენ მხოლოდ ფართის საშუალოდ 40%-მდე. ასევე, მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილს გააჩნია გაგრილების ტექნოლოგია: 23%-ს აქვს კონდიციონერი, 16% კი იყენებს ვენტილატორს. დანარჩენ მოსახლეობას საერთოდ არ გააჩნია გაგრილების ტექნოლოგია. გათბობის მსგავსად გრილდება დაახლოებით სახლის მესამედი¹⁰.

მომავალში ტემპერატურის შემცირებული გათბობის სავარაუდო პერიოდი მიუთითებს გათბობის სეზონზე უმნიშვნელოდ შემცირებულ ენერჯის ხარჯებზე¹¹. აღნიშნული აგრეთვე

¹⁰ "Knowledge, Attitude and Behavior Baseline Survey: Summary Findings ნუ Target Municipalities". Winrock International. 2014

¹¹ ქალაქ ქუთაისის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის კონცეფცია (გზამკვლევი). 2015 წელი. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია.

მიუთითებს, რომ მომავალში მოთხოვნა გაგრილებაზე გაიზრდება. რადგან გაგრილებისთვის ძირითადი ენერჯის წყაროს წარმოადგენს ელექტროენერჯია, აღნიშნული ცვლილება გაზრდის გაგრილების ტექნოლოგიებზე დატვირთვას და ასევე საჭიროს გახდის უფრო მძლავრი გაგრილების ტექნოლოგიების დაყენებას. გაზრდილი დატვირთვა დამატებით ენერჯიას მოითხოვს, რაც კიდევ უფრო გაზრდის ენერჯის მოხმარებას გაგრილებისთვის და ასევე იმოქმედებს ცხელი ზაფხულის დღეების დატვირთვის მრუდზე. აღნიშნულმა ცვლილებამ შეიძლება იმოქმედოს დღე-ღამური დატვირთვის მრუდზეც და გაზარდოს დღის პიკი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ნაკლებად ეფექტური და ძვირადღირებული გენერაციის ობიექტების გამოყენების საჭიროება.

გარე განათება. 2016 წლის დასაწყისისათვის, გარე განათებით უზრუნველყოფილი იყო ქალაქის ქუჩების 96%. არსებული გარე განათების ქსელის სტრუქტურა მოიცავს:

- გარე განათების მართვის კარადები -229;
- გარე განათებისა და შუქნიშნების მრიცხველები -504;
- გარე განათების ბოძების საერთო რაოდენობა – 13 815;
- გარე განათების სანათების რაოდენობა – 15 435;
- შუქნიშნების რაოდენობა -17.

ამჟამად გარე განათებაზე გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის სანათები, კერძოდ: DNaT ნათურები, LED ტიპის სანათები, ვარვარების ნათურები, მეტალოჰალოგენები და ჰალოგენები. სისტემის წლიური მოხმარება შეადგენს 7 223 800 კილოვატ ელ. ენერჯიას, რაც ღირებულებით მაჩვენებლებში დაახლოებით 1 430 ათ. ლარია.

უახლოეს პერიოდში განხორციელდება განათების ქსელის სრული რეაბილიტაცია ენერგოეფექტური სანათი მოწყობილობებით (LED სანათებით), კერძოდ 2016 წლის განმავლობაში შეიძლება დაახლოებით 1500 სანათი წერტილი, ასევე ინერგება სპეციალური სისტემა იმისათვის, რომ გარე განათების მართვა (ჩართვა-გამორთვა, დაზიანებული წერტილების აღრიცხვა და ანალიზი და ა.შ.) მოხდეს IT ტექნოლოგიების გამოყენებით, რაც მნიშვნელოვნად დაზოგავს საბიუჯეტო რესურსებს.

გზები და ხიდები. ქუთაისი რამდენიმე მნიშვნელოვანი საავტომობილო მაგისტრალის გადაკვეთაზე მდებარეობს. ქალაქში გადის საქართველოს საავტომობილო გზები ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი, ქუთაისი-ბაღდათი-ვანი და ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაური. ქალაქის განვითარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მშენებარე ავტომაგისტრალი, რომელიც არ შემოდის ქალაქში, თუმცა

მომზადებულია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით.

პერსპექტივაში იძლევა ახალ ავტომაგისტრალამდე ქალაქის გაფართოების შესაძლებლობას. ქალაქის განვითარებისთვის დამატებითი სტიმულის მიმცემი იქნება ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა სხვა მიმართულებებითაც: ქუთაისი-ფოთი, ქუთაისი-ზუგდიდი-ანაკლია, ქუთაისი-მესტია, ქუთაისი-ამბროლაური, ქუთაისი-ახალციხე. აეროპორტის განვითარებასთან ერთად ეს პროექტები ხელს შეუწყობს ქუთაისის გადაქცევას კავკასიის ერთ-ერთ მთავარ ქალაქად, რომლის ეკონომიკაზე მიბმული იქნება დასავლეთ საქართველოს შედარებით მცირე ზომის მუნიციპალიტეტების ეკონომიკა.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის ჯამური სიგრძე შეადგენს 7000 გრძ/მ-ს, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის სიგრძე შეადგენს 409 950 გრძ/მ-ს.

შიდასახელმწიფოებრივი გზის მთლიანი ფართობი მოწყობილია ასფალტბეტონის საფარით, რომლის რეაბილიტაციას ახორციელებს საგზაო დეპარტამენტი და აღნიშნული გზები დღეის მდგომარეობით სრულად არის რეაბილიტირებული. ადგილობრივი მნიშვნელობის გზები მოწყობილია ასფალტბეტონის, ბეტონის, გრანიტის ფილისა და დეკორატიული ფილის საფარით.


2013-2015 წლების განმავლობაში რეაბილიტაცია ჩატარდა 152 400 გრძ/მ ასფალტბეტონისა და 80 100 გრძ/მ ბეტონის გზებს, 3100 გრძ/მ მოეწყო გრანიტის ფილით და დაიგო 22 500 გრძ/მ დეკორატიული ფილა.

რეაბილიტაციას საჭიროებს 122 900 გრძ/მ ასფალტბეტონის, 28 000 გრძ/მ ბეტონის გზა, ასევე 300 გრძ/მ გრანიტისა და 650 გრძ/მ დეკორატიული ფილით მოწყობილი გზები. ამასთან, 15850 გრძ/მ წარმოდგენილია გრუნტის სახით, რომელთაც წლების განმავლობაში არ ჩატარებია სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საავტომობილო გზებზე განთავსებულია 10 ხიდი, მათ შორის, – 5 სახელმწიფო მნიშვნელობის და 5 ადგილობრივი მნიშვნელობის გზაზე. ყველა მათგანი გამართულია და იმყოფება ექსპლოატაციაში.

ნაპირსამაგრ სამუშაოებს საჭიროებს – 16000 გრძ/მ მდინარე რიონის კალაპოტი და მდინარე ოლასკურის კალაპოტი, საერთო სიგრძით -2 300 გრძ/მ.

სურათი 16.



საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ქალაქში არის რკინიგზის სადგური, საიდანაც არის მუდმივი მიმოსვლა თბილისსა და ბათუმში. ქუთაისიდან 18 კილომეტრში, კოპიტნარში, მოქმედებს დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი, საიდანაც დღეის მდგომარეობით მსოფლიოს 8 ქალაქში არის პირდაპირი ფრენები, ხოლო 2016 წლის სექტემბრიდან კი დამატებით ამოქმედდება ფრენები 7 ქალაქის მიმართულებით, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ტურისტების ზრდას ქუთაისსა და მთლიანად რეგიონში.

ქალაქის საქალაქთაშორისო სატრანსპორტო მიმოსვლას უზრუნველყოფს 6 მოქმედი ავტოსადგური. ქუთაისიდან საქართველოს თითქმის ყველა მსხვილ ქალაქში ხორციელდება პირდაპირი ავტოსამგზავრო რეისები არანაკლებ დღეში ერთჯერ მაინც, თუმცა ქალაქების უმეტესობაში და ასევე იმერეთის მუნიციპალიტეტებში მრავალჯერადად, მაგალითად, თბილისის მიმართულებით ყოველდღიურად 20-ზე მეტი ავტოსამგზავრო რეისი სრულდება ქალაქში არსებული ავტოსადგურებიდან. აგრეთვე, შესაძლებელია საავტომობილო მგზავრობა ევროპის სხვადასხვა ქვეყნების მიმართულებით.

სურათი 17: ქუთაისიდან მოძრავი საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმართულებები.



ქ. ქუთაისის საქალაქო ტრანსპორტში ფუნქციონირებს:

- M₃ კატეგორიის საქალაქო კლასის ავტობუსების 10 მარშრუტი;
- M₂ კატეგორიის ავტობუსების (მიკროავტობუსები) 42 მარშრუტი;
- M₁ კატეგორიის ავტომობილების (მსუბუქი ავტომობილები) 4 მარშრუტი.


M₃ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე ყოველდღიურად მომუშავე საქალაქო კლასის ავტობუსების რაოდენობა შეადგენს 68-ს, ხოლო ინვენტარული რაოდენობაა – 91-ს.

M₂ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე ყოველდღიურად მომუშავე მიკროავტობუსების რაოდენობა შეადგენს 160-ს, ხოლო ინვენტარული რაოდენობაა – 320.

M₁ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე ყოველდღიურად მომუშავედ რეგისტრირებულია 4 მსუბუქი ავტომობილი, ინვენტარული რაოდენობაა – 8.

სულ საქალაქო ტრანსპორტში ყოველდღიურად მუშაობს 232 სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალება, ინვენტარული რაოდენობა – 419 ავტოსატრანსპორტო საშუალება, დასაქმებულია 675 მძღოლ-ოპერატორი. 2015 წლამდე ძირითადად ქალაქში მოძრაობდა 1997-2002 წლებში გამოშვებული ტრანსპორტი და საშუალო წლოვანება შეადგენდა 16-17 წელს. 2015 წელს ჩატარებული კონკურსების შემდგომ საგრძნობლად გაუმჯობესდა პარკი, 20 ხაზიდან 15 ხაზზე საშუალო ასაკი 2007 წელია, ხოლო 4 ხაზზე – 2002 წელი. შესაბამისად, ამჟამად ქალაქში მოძრავი მიკროავტობუსების საშუალო წლოვანება არის 11-12 წელი.

სურათი 18: საქალაქო საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის სქემა.



2013 წელს ბიუჯეტში ნებართვების საფასურიდან შემოსავალი 270,0 ათას ლარს, ხოლო 2014 წელს 300,0 ათას ლარს შეადგენდა.

2015 წელს შემუშავდა შიდასაქალაქო სამგზავრო გადაყვანაზე ნებართვის გაცემისათვის კონკურსის ახალი წესი და მის შესაბამისად, ნებართვა გაიცა 20 სამარშრუტო ხაზზე. დაიწყო ადმინისტრირების გაძლიერება:

- საჯარიმო სანქციების ამოქმედებით;
- GPS სისტემების დამონტაჟებით და ავტოსატრანსპორტო საშუალებათა კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესებით.

ქალაქში საშუალოდ წელიწადში შიდასაქალაქო საზოგადოებრივი ტრანსპორტით 16-18 მლნ. კაცის გადაყვანა ხდება. თუმცა, უკანასკნელი წლების განმავლობაში მგზავრთა ოდენობა მცირდება, რაც, ერთი მხრივ, განპირობებულია პირადი ავტომობილის ყოლის ხელმისაწვდომობის გაზრდით, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნაკლებად კომფორტულობით.

ქ. ქუთაისში ადგილობრივ შიდა საქალაქო რეგულარულ სამგზავრო მარშრუტებზე მგზავრთა გადაყვანას ახორციელებს 16 ნებართვის მფლობელი გადამზიდავი. ყველა მათგანი არის კერძო კომპანია და ნებართვა მიღებული აქვს კონკურსის შედეგად.

სხვა დიდი ქალაქებისაგან (თბილისი, ბათუმი, რუსთავი) განსხვავებით, ქუთაისს არ ჰყავს საკუთრებაში მუნიციპალური ტრანსპორტი, რომლის შექმნა მოსახლეობისათვის უფრო მაღალი ხარისხის მომსახურების გაწევისა და მოქნილი საფასო პოლიტიკის განხორციელებისათვის შესაძლებლობას შექმნიდა, თუმცა ამ დრომდე ვერ იქნა მოძიებული საჭირო ფინანსური რესურსები, რომლის სავარაუდო მოცულობა საწყის ეტაპზე შეადგენს 20 მლნ ლარს.

ქალაქში რეაბილიტაციას საჭიროებს ავტობუსების გაჩერებების დიდი ნაწილი. ასევე მოსაწყობია ელექტრონული საინფორმაციო ტაბლოები (სასურველია 2 ენაზე მაინც) გაჩერებებზე.

პარკირება. 2015 წლამდე ქალაქში პარკირების სისტემა სრულად მოუწყვრიგებელი იყო, სადგომის მეთვალყურეები ხელზე ახდენდნენ თანხების აკრეფას, საიდანაც მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ხვდებოდა ადგილობრივ ბიუჯეტში. 2015 წლიდან ქალაქის მუნიციპალიტეტმა დაიწყო ზრუნვა პარკირების თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბებაზე, მიღებულ იქნა შესაბამისი ნორმატიული ბაზა და ვინაიდან კერძო სექტორი არ დაინტერესდა სფეროთი, რამდენჯერმე არშემდგარი აუქციონის შემდეგ, თვითმმართველობა იძულებული გახდა შეექმნა მუნიციპალური საწარმო, რომელიც ახდენს სისტემის ადმინისტრირებას. აღნიშნულმა საწარმომ შექმნა და დანერგა პარკირების მოსაკრებლის გადახდის თანამედროვე მოსახერხებელი მეთოდები, სისტემატურ რეჟიმში ახდენს პარკირების საქალაქო ინფრასტრუქტურის მოწყვრიგებას და ზრუნავს სისტემის შემდგომ განვითარებაზე, მათ შორის, პარკირების დამატებითი ადგილების შექმნაზე ქალაქის ცენტრალურ ადგილებში. ამჟამად ქალაქის ტერიტორიაზე შესაძლებელია ერთდროულად დაახლოებით 3500 მანქანის პარკირება, თუმცა ცალკეულ ცენტრალურ ადგილებში პერიოდულად მწვავედ დგება პარკირების ადგილების ნაკლებობის პრობლემა, რაც ქალაქის თვითმმართველობის შემდომი ზრუნვის საგანია.

3. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური სფერო


2015 წლის მონაცემებით, ქ. ქუთაისში ჯანდაცვის ინფრასტრუქტურა შედგება 115 სამედიცინო დაწესებულებისაგან, მათ შორის:

ცხრილი 4.


| სამედიცინო დაწესებულებები | |
|----------------------------------|------------|
| მრავალპროფილური კლინიკა | 28 |
| ონკოლოგიური | 1 |
| სამშობიარო | 3 |
| კონსულტაცია | 2 |
| პირველადი ჯანდაცვის დაწესებულება | 8 |
| დისპანსერი | 2 |
| სისხლის ბანკი | 1 |
| სტომატოლოგიური კაბინეტი | 70 |
| ჯამი | 115 |

მართალია 2000 წლიდან იმერეთში შემცირდა საწოლების რაოდენობა საავადმყოფოებში, მაგრამ დასავლეთ საქართველოში იმერეთს მაინც ლიდერის პოზიცია უჭირავს.

სურათი 19. საწოლების რაოდენობა სამედიცინო დაწესებულებებში (ათასი).



სურათი 20. სამედიცინო დაწესებულებების რაოდენობა 10 ათას მცხოვრებზე



ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ქუთაისის სამედიცინო დაწესებულებების მომსახურების არეალში ცხოვრობს დაახლოებით 700 ათასი კაცი.

ქალაქში არსებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში დასაქმებულია 132 მუშაკი, მათ შორის, 43 ექიმი. ყოველდღიურად 24 საათის განმავლობაში 10 სამედიცინო დახმარების ბრიგადა ემსახურება როგორც ქალაქ ქუთაისს, ასევე საჭიროების შემთხვევაში მის შემოგარენს.

ქუთაისში სახელმწიფო პენსიის ან/და სოციალური პაკეტის მიმღები 39 868 პირია (მთლიანი მოსახლეობის თითქმის 27%). აქედან, სახელმწიფო პენსიის მიმღებია 31825 პირი,

სოციალური შემწეობის მიმღებია 3630 ოჯახი, 10 075 პირი. შ.შ.მ პირია 6343, ხოლო მრავალშვილიანია 483 ოჯახი.

ქუთაისის მუნიციპალიტეტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყოველწლიურად აფინანსებს 20-მდე პროგრამას სოციალურად შეჭირვებული ადამიანებისათვის. 2016 წელს დაფინანსებული პროგრამების ბიუჯეტი 3,557 მლნ ლარს შეადგენს (პროგრამების ჩამონათვალი მოცემულია თავი XII-ში.). პროგრამების მიზანია მოიცვას ის ბენეფიციარები ან/და სოციალური პრობლემების ის კომპონენტები, რომლებსაც ვერ ფარავს სახელმწიფო პროგრამები. ასევე, მნიშვნელოვანია ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ უკანასკნელ წლებში განხორციელებული პროექტები განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს შესაქმნელად, მათ შორის, ქუჩის და შენობების პანდუსების მოწყობა, ხმოვანი შუქნიშნების მონტაჟი და სხვა.

4. საბინაო ფონდი

ქალაქის საბინაო ფონდი შედგება მრავალბინიანი (კორპუსი) და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისაგან. ამასთან, ქალაქის ძველ, ისტორიულ ნაწილში ძირითადად განლაგებულია ინდივიდუალური სახლები, ხოლო შედარებით ახალ უბნებში მრავალსართულიანი სახლები.

ცხრილი 5. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები.

| № | ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება | მრავალბინიანი სახლების რაოდენობა სართულიანობის მიხედვით | | | | | | | | | | | საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ.) |
|----|-------------------------------------|---|-----------|------------|------------|----------|-----------|------------|-----------|-----------|----------|----------|------------------------------|
| | | 2 | 3 | 4 | 5 | 6. | 8 | 9 | 10 | 14 | 15 | 16 | |
| 1 | ავტოქარხანა | 43 | 24 | 25 | 52 | - | - | 53 | - | 1 | 1 | - | 294 411, 40 |
| 2 | გამარჯვება | 8 | 4 | 18 | 29 | - | 22 | 55 | - | 1 | - | 1 | 269 830, 47 |
| 3 | უქიმერიონი | 16 | 3 | 8 | 16 | - | - | 4 | - | 1 | - | - | 39 574, 60 |
| 4 | ნიკეა | 13 | - | 8 | 9 | 1 | 1 | 46 | 6 | 3 | - | - | 148 058, 38 |
| 5 | ვაკისუბანი | 5 | - | 2 | 24 | - | - | 47 | - | 4 | - | 2 | 149 465, 00 |
| 6 | ძელქვიანი | 7 | 6 | 33 | 26 | - | - | 5 | 2 | 1 | - | - | 96 404, 89 |
| 7 | კახიანოური | 15 | 9 | 15 | 19 | 1 | 1 | 21 | 2 | - | - | - | 99 561, 18 |
| 8 | ქალაქ-მუზეუმი | 127 | 9 | 6 | 9 | 2 | - | - | - | - | - | - | 43 153, 87 |
| 9 | სულხან-საბა | 14 | - | 2 | 4 | - | 3 | 45 | 1 | - | - | - | 104 767, 00 |
| 10 | საფიჩხია | 12 | - | - | 3 | - | - | - | - | - | - | - | 2 280, 30 |
| 11 | გუმათი | 38 | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | 12 896, 05 |
| 12 | მუხნარი | 8 | 3 | - | - | - | - | - | - | - | - | - | 3 781, 04 |
| | სულ | 306 | 58 | 117 | 191 | 4 | 27 | 276 | 11 | 11 | 1 | 3 | 1 264 184, 18 |

საქსტატის ოფიციალური მონაცემებით, უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ქალაქში საშუალოდ წლიურად ექსპლოატაციაში შედიოდა დაახლოებით 30 000 კვ.მ. ახალი საცხოვრებელი ფართი.

ქ. ქუთაისში რეგისტრირებულია 927 ოჯახი, რომლებიც უსახლკაროდ მიიჩნევენ თავს. მათივე ინფორმაციით, ისინი დაზარალებულნი არიან სხვადასხვა მიზეზით: 1. სტიქიური უბედურების შედეგად (მეწყერი, ქარი, წყალდიდობა, დიდთოვლობა, მიწისძვრა, ხანძარი); 2. საცხოვრებელი შენობა-ნაგებობის სიძველის გამო; 3. ოჯახური კონფლიქტების შედეგად (ოჯახის ის წევრები, რომლებიც სახლიდან წამოვიდნენ და ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი არ აქვთ); 4. იპოთეკით; 5. ოჯახები, რომელთაც არასოდეს ჰქონიათ საცხოვრებელი ფართი; 6. სხვადასხვა დროს შექმნილი ამხანაგობების ფარგლებში ახალი ბინების მშენებლობის მიზნით გაყიდეს საკუთარი ბინები და ახალი ბინების მშენებლობა არ მოხდა.


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად, საბინაო ფონდის შექმნა თვითმმართველობის კომპეტენციას წარმოადგენს. ქალაქში მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული თავისუფალი საბინაო ფონდი არ არსებობს. 2016 წლიდან ადგილობრივი ბიუჯეტით იწყება გრძელვადიანი პროგრამის განხორციელება დროებითი საცხოვრისის შესაქმნელად, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტით 2016 წელს განსაზღვრულია 1 მლნ ლარი, ხოლო 2017 წელს დამატებით 1,5 მლნ. ლარი. კონკურსის საფუძველზე შერჩეულია სამუშაოების შემსრულებელი კომპანია, რომელმაც 2017 წლის 1

თებერვლამდე უნდა უზრუნველყოს სოციალური საცხოვრისის მოწყობა დაახლოებით 50 ოჯახისათვის.

ამავე დროს, დროებითი საცხოვრისის შექმნასთან ერთად, ქუთაისი ახორციელებს არსებული საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და რეაბილიტაციის პროგრამებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებთან მჭიდრო თანამშრომლობით. კერძოდ, მუნიციპალურ ბიუჯეტში გათვალისწინებულია სპეციალური პროგრამები, რომლებიც თანადაფინანსების წესით ეხმარება მრავალბინიან სახლებში მცხოვრებ მოქალაქეებს ეზოების, ლიფტების, სახურავის და სხვა ინფრასტრუქტურის მოწყობაში. ამასთან, საბიუჯეტო დაფინანსების პროცენტი სხვადასხვა მიმართულებით 70-დან 90-მდე მერყეობს.

5. განათლება, კულტურა, სპორტი

განათლება. ქალაქში სკოლამდელი აღზრდის პროცესს 37 საჯარო და 26 კერძო ბაგა-ბაღი ემსახურება. ამასთან, გაზრდილი მოთხოვნის არსებობის გამო, ქალაქმა ააშენა და მიმდინარე წლიდან ექსპლუატაციაში შევიდა ორი ახალი საბავშვო ბაღი, ასევე რამდენიმე ბაღზე კეთდება მიშენება, რათა გაფართოვდნენ და დამატებითი აღსაზრდელების მიღება შეძლონ. სულ ქალაქში ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა რაოდენობა არის 10 446, აქედან საჯარო ბაგა-ბაღებში ამჟამად 9723, ხოლო კერძო ბაღებში 640 აღსაზრდელია.



დღეს ქალაქში არის 53 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომელთაგან 15 კერძოა, 38 კი საჯარო. საქსტატის ოფიციალური მონაცემებით, სულ მათში 26747 მოსწავლე იღებს განათლებას. მოსწავლეთა რაოდენობით ქუთაისი, თბილისის გარდა, ყველა სხვა ქალაქს უსწრებს. ამასთან, მზარდია უკანასკნელი წლების დინამიკა, რაც უახლოეს მომავალში დადებითად უნდა აისახოს ქალაქში შრომითი რესურსების ოდენობაზე.

ცხრილი 6. საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა

| | საგანმანათლებლო დაწესებულები | | | | | | მოსწავლეთა რაოდენობა 1 პედაგოგზე | |
|---------------------|------------------------------|-------|----------------------------------|-------|-----------------------|-------|----------------------------------|-------|
| | რაოდენობა | | მოსწავლეთა რაოდენობა (სიმძლავრე) | | პედაგოგიური პერსონალი | | | |
| | საჯარო | კერძო | საჯარო | კერძო | საჯარო | კერძო | საჯარო | კერძო |
| სკოლამდელი | 37 | 26 | 9,723 | 640 | 750 | | 12.96 | |
| ზოგადი საშუალო | 38 | 15 | 23,790 | 2,957 | 1900 | 563 | 12.52 | 5.25 |
| პროფესიული/სახელობო | 1 | 8 | 1,300 | 1,778 | 66 | 366 | 19.70 | 4.86 |
| უმაღლესი | 1 | 1 | 8,348 | 496 | 789 | 64 | 10.58 | 7.75 |

ქუთაისში 1974 წლიდან წარმატებით ფუნქციონირებდა ფიზიკა-მათემატიკური სკოლა პანსიონი, რომელიც იზიდავდა ტექნიკური ნიჭის მქონე ახალგაზრდებს მთელი დასავლეთ საქართველოდან და საკმაოდ მაღალი შედეგებიც ჰქონდა. 1995 წლიდან, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო, მოხდა პანსიონის გაუქმება და სკოლა დღემდე ჩვეულებრივი საჯარო

სკოლის სტატუსით ფუნქციონირებს. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას ამჟამადაც დიდი წარმატებები აქვს და საქართველოს ყველაზე მოთხოვნადი სკოლების რეიტინგში მეხუთე ადგილს იკავებს, პანსიონის არარსებობის გამო ძირითადად მხოლოდ ქუთაისის მაცხოვრებლებს ემსახურება. პანსიონის აღდგენა კი კვლავ მისცემს საშუალებას დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების ნიჭიერ ახალგაზრდებს განავითარონ თავიანთი შესაძლებლობები და გახდნენ წარმატებულები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით საქართველოს ყველაზე მოთხოვნადი სკოლების ათეულში შედის ქუთაისის 3 სკოლა.

ცხრილი 7. საქართველოს მოთხოვნადი სკოლები¹²


| № | ქალაქი | სკოლის დასახელება | სკოლის მიერ განსაზღვრული პირველ კლასელთა მიღების ზღვარი | დარეგისტრირებულთა რაოდენობა რეგისტრაციის პირველ დღეს | რეგისტრაციის პროცენტული მაჩვენებელი |
|---|---------|--|---|--|-------------------------------------|
| 1 | თბილისი | თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლა | 270 | 270 | 100 |
| 2 | თბილისი | გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლა | 240 | 239 | 100 |
| 3 | თბილისი | ქალაქ თბილისის №161 საჯარო სკოლა | 210 | 209 | 100 |
| 4 | ქუთაისი | აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლა | 180 | 179 | 99 |
| 5 | ქუთაისი | ანდრია რაზმაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის №41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა | 180 | 179 | 99 |
| 6 | თბილისი | ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის №87 საჯარო სკოლა | 180 | 178 | 99 |
| 7 | რუსთავი | ქალაქ რუსთავის №4 საჯარო სკოლა | 180 | 175 | 97 |

¹² <http://businesscontact.ge/ka/article/sagartveloshi-yvelaze-motxovnadi-skolebis-reitingi-/3144>, ბოლო შესვლა 2016 წლის 30 აპრილი

| | | | | | |
|----|---------|--|-----|-----|-----|
| 8 | თბილისი | ქართველ იუნკერთა სახელობის ქალაქ თბილისის №52 საჯარო სკოლა | 180 | 174 | 97 |
| 9 | თბილისი | თბილისის კლასიკური გიმნაზია | 150 | 150 | 100 |
| 10 | ქუთაისი | წმინდა ნინოს სახელობის ქალაქ ქუთაისის №3 საჯარო სკოლა | 150 | 148 | 99 |

ქალაქის პრიორიტეტების წარმატებით განხორციელება დიდად არის დამოკიდებული ამ პროცესში უმაღლესი საგანმანათლებლო და პროფესიული სასწავლებლების პოტენციალის ჩართულობაზე როგორც დეფიციტურ სპეციალობებში (განსაკუთრებით, პედაგოგიკა, კვების და მსუბუქი მრეწველობის ტექნიკა და ტექნოლოგია, ელექტროინჟინერია, ბიზნესის დაგეგმარება და სტრატეგიული მართვა, აგრონომია, მშენებლობა, ტრანსპორტი და ლოგისტიკა, ორიენტალისტიკა, სამკურნალო საქმე და სხვა) კადრების მომზადება-გადამზადების, ისე ცალკეული ბიზნეს-პროექტების შემუშავების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების მიმართულებითაც.


გასულ საუკუნეში ქალაქ ქუთაისში აკადემიური და პროფესიული კადრების გამოცდილი და კვალიფიციური შემადგენლობა ჩამოყალიბდა. ამასთან, ტრადიციებიდან და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე ქალაქს ტექნიკური და ტექნოლოგიური განათლების განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი შესაძლებლობები გააჩნია. ამჟამად ქუთაისში ფუნქციონირებს 2 აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ქუთაისის უნივერსიტეტი. ასევე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქუთაისის სასწავლო ცენტრი, რომელიც პროფესიულ პროგრამებს ახორციელებს და რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება. უმაღლეს სასწავლებლებში ამჟამად 8844 სტუდენტი სწავლობს. ეს მაჩვენებელი საუკეთესოა ქვეყანაში თბილისის შემდეგ და დაახლოებით 50%-ით აღემატება ამ მხრივ მესამე ადგილზე მყოფ ქალაქს – ბათუმს.



2015-2016 სასწავლო წლისათვის, ქალაქ ქუთაისში არსებულ უმაღლეს სასწავლებლებში დასაქმებულ პროფესორ-მასწავლებელთა საერთო რაოდენობა 853-ს შეადგენს.

გარდა საჯარო სკოლებისა და უნივერსიტეტებისა, ქალაქში ასევე ფუნქციონირებს სხვადასხვა სახელოვნებო დაწესებულებები, კერძოდ, სამუსიკო სასწავლებლები, სამხატვრო სკოლა და ა.შ., რომელთა სერვისები მაქსიმალურად ხელმისაწვდომია მოსახლეობისათვის.

სურათი 23. განათლების და ჯანდაცვის ობიექტების განლაგება უბნების მიხედვით



კულტურა. ქუთაისში, 220-ზე მეტი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ქალაქის ისტორიულ-კულტურულ მნიშვნელობას საქართველოს მასშტაბით.

ქუთაისში 5 თეატრი მოქმედებს, მათ შორის, დრამატული თეატრი, ოპერისა და ბალეტის თეატრი, თოჯინების თეატრი, რომლებშიც საერთო ჯამში 1525 ადგილია. ქუთაისში მოქმედებს 14 მასობრივი და უნივერსალური ბიბლიოთეკა, სხვადასხვა პროფილის მუზეუმები, ფოლკლორის სასახლე, მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი, სამხატვრო გალერეა და სხვა სახელოვნებო და კულტურული დაწესებულებები.

ცხრილი 8. მონაცემები თეატრის მუშაობის შესახებ რეგიონების მიხედვით

| | თეატრების რაოდენობა | | ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა, ერთეული | | მაყურებელთა რიცხოვნობა, ათასი კაცი | |
|------------------------|---------------------|------|--|------|------------------------------------|-------|
| | 2013 | 2014 | 2013 | 2014 | 2013 | 2014 |
| ქ. თბილისი | 22 | 23 | 2384 | 2845 | 269.5 | 293.6 |
| აჭარის არ | 3 | 3 | 170 | 135 | 25.4 | 20.9 |
| იმერეთი | 9 | 9 | 614 | 649 | 73.0 | 81.2 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 3 | 3 | 106 | 99 | 19.0 | 19.5 |
| სამცხე-ჯავახეთი | 3 | 3 | 280 | 284 | 20.7 | 20.0 |
| დანარჩენი რეგიონები | 8 | 8 | 317 | 421 | 26.3 | 51.7 |

მნიშვნელოვნად განვითარებულია დრამატული, საოპერო, სახელოვნებო და სხვა მიმართულებები. ქალაქის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით გრძელდება კულტურული დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის, სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

ცხრილი 9. მონაცემები მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების მუშაობის შესახებ რეგიონების მიხედვით

| | მუზეუმების რიცხვი, ერთეული | | დამთვალიერებელთა რიცხვი, ათასი კაცი | | ექსკურსიების რიცხვი, ერთეული | | გამოფენების რიცხვი, ერთეული | |
|---------------------------|----------------------------|------|-------------------------------------|-------|------------------------------|-------|-----------------------------|------|
| | 2013 | 2014 | 2013 | 2014 | 2013 | 2014 | 2013 | 2014 |
| აჭარის არ | 16 | 16 | 111.1 | 128.7 | 1,758 | 2,087 | 120 | 143 |
| იმერეთი | 27 | 27 | 58.5 | 62.6 | 2,493 | 2,432 | 72 | 82 |
| ქვემო ქართლი | 10 | 10 | 22.8 | 21.3 | 576 | 838 | 27 | 29 |
| გურია | 11 | 11 | 19.4 | 19.1 | 743 | 762 | 16 | 20 |
| რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი | 5 | 5 | 6.5 | 5.5 | 328 | 210 | 25 | 43 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 20 | 21 | 91.6 | 85.2 | 3,558 | 4,485 | 70 | 78 |
| კახეთი | 30 | 31 | 126.8 | 129.7 | 6,560 | 6,684 | 66 | 73 |
| მცხეთა-მთიანეთი | 10 | 10 | 38.3 | 25.7 | 1,434 | 1,333 | 40 | 37 |

ქალაქის მიზანია ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, მათი საქმიანობის მხარდაჭერა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა, ევროპული ღირებულებების გაზიარება და ევროსაბჭოს, ევროპარლამენტისა და სხვა სტრუქტურების საქმიანობის შესწავლა პრაქტიკის მიღების მიზნით. სკოლის გარე განათლების ხელშეწყობა, თანამედროვე სტანდარტების მქონე მატერიალურ-ტექნიკური

ბაზის შექმნა, შესაბამისი განათლების მიცემის უზრუნველყოფისათვის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

ყოველწლიურად თვალშისაცემია მოსწავლეთა მაღალი შედეგები სხვადასხვა მიმართულებით (წლიურად 2800-ზე მეტი მოსწავლე), რაც ქალაქისათვის როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე მნიშვნელოვან წარმატებებს განაპირობებს.


სპორტი. სპორტსმენების ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით ხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, სპორტული ინვენტარის შექმნა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენტა კვებით უზრუნველყოფა, შეკრებებისა და მივლინებების განხორციელება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების ყოველწლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, მათთვის სოციალური პირობების შექმნა, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება/მათში მონაწილეობა.

წლის განმავლობაში ქალაქში ოცდაათამდე სხვადასხვა დონის და სპორტის სხვადასხვა სახეობის შეჯიბრება ტარდება.

ქუთაისში 5 სტადიონია, რომლებშიც მთლიანობაში 20 ათასი ადგილია. გარდა ამისა, ქუთაისის ტერიტორიულ ერთეულებში 25 საუბნო სპორტული მოედანია, რომელთა რიცხვი მუდმივად მზარდია.

ქალაქი თავისი ტრადიციებიდან გამომდინარე ფინანსურად მხარს უჭერს 38 სპორტის სახეობას (23 ოლიმპიური და 15 არაოლიმპიური), რომლებშიც გადანაწილებულია 11 სპორტულ სკოლაში. 2016 წელს სპორტით დაკავებული არის 3900-მდე ახალგაზრდა, ხოლო საწვრთნელ პროცესს ემსახურება 248 მწვრთნელი. აღნიშვნის ღირსია ცალკეულ სახეობებში სპორტსმენების შედეგები სხვადასხვა რანგის ტურნირებზე და სპორტით დაკავებული ახალგაზრდების რაოდენობა. კერძოდ, 2011 წელს სპორტით დაკავებული ახალგაზრდების რაოდენობა 1400 იყო.

სურათი 24.



მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ქალაქში არსებული ადგილობრივი მედიასაშუალებების დაფარვის არეალი ვრცელდება მთლიანად იმერეთის რეგიონზე და ცალკეულ შემთხვევებში ასევე სცდება რეგიონის საზღვრებსაც.

ცხრილი 10. ადგილობრივი მედიასაშუალებები

| ადგილობრივი მედია | რაოდენობა |
|--------------------------------|-----------|
| გაზეთი (ბეჭდური, ონლაინ) | 3 |
| ჟურნალი | 1 |
| ტელევიზია | 1 |
| რადიო | 2 |
| საკაბელო ტელევიზიათა რაოდენობა | 3 |

ქალაქში ფუნქციონირებს ასევე თითქმის ყველა ცენტრალური ტელევიზიის და რამდენიმე რადიომაუწყებლის წარმომადგენლობა ან წარმომადგენელი.

6. ეკოლოგია

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გამწვანებული ობიექტების ნაწილის გამწვანება-განაშენიანებას, მოწყობას, მოვლა-პატრონობასა და ექსპლუატაციას.

უკანასკნელი წლების განმავლობაში, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა ბოტანიკური ბაღის და ნინოშვილის ბაღის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. პროექტების ფარგლებში მისასვლელი გზები, სავალი ბილიკები, აუზები, ძველი ისტორიული შენობები და გეოფლორისტული ნაკვეთები მოწესრიგდა, აგრეთვე, ქუთაისში განხორციელდა მოსწავლე ახალგაზრდობის პარკის ტერიტორიის შემოღობვითი სამუშაოები. მოხდა რეკრეაციული ზონების და მწვანე საფარის გაზრდა, კერძოდ: 2015 წელს რუსთაველის გამზირზე (პრესის სახლის მიმდებარედ) და ბუხაიძის ქუჩა №6 -ში დაიგეგმა და განხორციელდა ახალი სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები, სკვერში შესრულდა დენდროლოგიური სამუშაოები და შეტანილ იქნა საბაღე ფურნიტურა. აგრეთვე განხორციელდა აღმაშენებლის გამზირზე ვაშინგტონის ჯიშის პალმების ხეივნის აღდგენა-რეაბილიტაცია, დაზიანებული პალმების ჩანაცვლება. განახლებულ იქნა ცენტრალური ბაღის კიდის (რუსთაველის მხრიდან) ემონიუსების ზოლი, რისთვისაც დაირგო 250 ძირი ნერგი და ა.შ.


გასულ წელს ქალაქში დაირგო ვერცხლისფერი ნაძვის სახით 60 ძირი წიწვოვანი ხე-მცენარე და სხვადასხვა ჯიშის 100 000 ცალი სეზონური ყვავილი.

მუნიციპალიტეტის მიერ ხდება ქუთაისის გარემოსდაცვითი სტრატეგიის შემუშავება. სტრატეგიის მიზანს წარმოადგენს ქუთაისის გარემოს მდგრადი და ინტეგრირებული მართვის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს: ქუთაისში გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებას, ადგილობრივ დონეზე გარემოს გამოწვევების განსაზღვრას, გარემოს პრობლემების გადასაჭრელად საუკეთესო მიდგომების შემუშავებას, გარემოსდაცვითი საკითხების დაგეგმვას და შემდგომი განხორციელების გზით გადაწყვეტილებების მიღებას, პროცესში საზოგადოებრივი ჩართულობის უზრუნველყოფით. აღსანიშნავია, რომ მიმდინარეობს ქალაქ ქუთაისის მწვანე საფარის ინვენტარიზაცია, სამუშაოების ფარგლებში ჩატარდა ხარაზოვის ბაღის, ნინოშვილის ბაღის, კიკვიძის სახელობის სკვერის, ცენტრალური ბაღისა და მრეწველთა სახლის გვერდით არსებული სკვერის აღწერა, მიღებული მონაცემები კი დატანილი იქნა ტოპოგრაფიულ რუკაზე.

ქალაქ ქუთაისში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგი წარმოებს ქალაქის მხოლოდ 1 (ერთი) წერტილში – ი. ჭავჭავაძის გამზირზე.

ჰაერი უმეტესწილად ქალაქის ცენტრალურ უბნებშია დაბინძურებული, სადაც ტრანსპორტი ინტენსიურად მოძრაობს. ჰაერში საერთო დაბინძურების გაფრქვევის 90 %-ზე მეტი მოდის ავტოტრანსპორტზე. მათგან დამაბინძურებელი ნივთიერებების დიდი რაოდენობით ემისია მრავალი ფაქტორით არის განპირობებული, მათ შორის, არის საგზაო მოძრაობის არასათანადო ორგანიზება და მართვა, საწვავის დაბალი ხარისხი, კატალიზატორის კონვერტორის გაუმართაობა, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ასაკი და ა.შ.

სურათი 25¹³.



ქ. ქუთაისში ბუნებრივი კატასტროფების მხრივ აქტუალურია წყალდიდობები, მდინარეთა ნაპირების რეცხვა და დატბორვები.

მდინარე რიონზე პერიოდულად წარმოქმნილი წყალდიდობები, მდინარის დონის მაქსიმალური აწევის დროს პერიოდულად ტბორავენ არა მარტო დაბალი დანიშნულების რელიეფს, არამედ ზოგჯერ ტერასის ზედაპირებსაც. ამ მხრივ აღსანიშნავია გასული საუკუნის 90-იანი წლებისა და 2005 წლის წყალდიდობები მდ. რიონზე, როდესაც დაიტბორა „რიონჰესის“ ახალი დასახლების მნიშვნელოვანი ნაწილი, განვითარდა სანაპირო მეწყრები, დაინგრა რამდენიმე საცხოვრებელი სახლი.

¹³ წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

ქალაქის მოსახლეობას პერიოდულად ემუქრება აგრეთვე მდინარე რიონის ხეობის მარჯვენა მალაღი ტერასების კარბონატული ქანებით აგებულ საფეხურებში პერიოდულად წარმოქმნილი ქვათაცვენები და ცალკეული ლოდების გამოვარდნები, ხოლო ნაწილობრივ ბორცვიან-სერებიანი რელიეფის ზონაში ლოკალურად განვითარებული ზედაპირული მეწყრები. კონკრეტულად, მეწყრული პროცესების საშიშროების რისკში მოხვედრილია რუას და ყაზბეგის ქუჩების მცხოვრებლები¹⁴.

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ 2015 წელს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით მომზადებულ ქალაქ ქუთაისის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის კონცეფციაში აღნიშნულია, რომ მიმდინარე საუკუნის მომავალ პერიოდში ქუთაისის ტერიტორიაზე წყალდიდობები და სხვა სახის სტიქიური გეოლოგიური პროცესების გააქტიურების დინამიკური ტენდენციები უნდა იყოს რამდენადმე შემცირებული.

7. ეკონომიკა

ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ეკონომიკის ძველი სისტემის შეცვლამ და ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის სიძნელეებმა, მძაფრი პოლიტიკური და სოციალური გარდაქმნების პირობებში, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ქვეყნის და, შესაბამისად, საქართველოს ყველა ქალაქის, მათ შორის, ქუთაისის ეკონომიკა. ქუთაისის სამრეწველო სექტორი ყოველთვის გამოირჩეოდა მსხვილი სამრეწველო საწარმოების სიმრავლით, სადაც დაახლოებით 50 ათასი ადამიანი იყო დასაქმებული.


ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1995-2001 წლებში ქალაქის ეკონომიკურ სფეროში ცალკეული პოზიტიური ძვრები აღინიშნა, თუმცა, ზოგადი მდგომარეობა კვლავ რთული დარჩა. უკიდურესად დაბალი იყო საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვა, საწარმოთა უმრავლესობა ვერ ახერხებდა ძირითადი პროფილის მიხედვით რენტაბელურად ფუნქციონირებას, მათი საქმიანობა ცალკეული მცირე მოცულობის დაკვეთების შესრულებით და სხვა დროებითი შემოსავლების მიღებით (საწარმოო ფართების გაქირავება, ქონების გაყიდვა და ა.შ.) შემოიფარგლებოდა. წარმოების უმოქმედობის ან მცირე დატვირთვის პირობებში, საწარმოებს დიდძალი საგადასახადო დავალიანებები

¹⁴ ქალაქ ქუთაისის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის კონცეფცია (გზამკვლევი). 2015 წელი. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია. მომზადებულია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით



დაუგროვდათ, რამაც, თავის მხრივ, დაამძიმა სარეაბილიტაციო ღონისძიებათა განხორციელების შესაძლებლობა.

2002-2006 წლებში პროდუქციის გამოშვების მოცულობა და ბრუნვის საერთო მოცულობა ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. 2007-2014 წლებში ფაქტობრივად შენარჩუნდა წარმოებული პროდუქციის ზრდის ტენდენცია. 2015 წლიდან კი მცირე გამოცოცხლება შეინიშნება.

სურათი 26.




ეკონომიკის ზრდაზე მეტყველებს უკანასკნელი წლების მშპ-ის დინამიკა, რომელიც, მართალია, განსაზღვრულია ქვეყნის დონეზე, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ ქუთაისის მაჩვენებელი დიდად არ იქნება განსხვავებული ქვეყნის საშუალო მაჩვენებლისაგან.




მართალია, ამ მონაცემში კონსოლიდირებულია რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონის მაჩვენებლები, თუმცა მისი წილი, როგორც წესი, მცირეა. მთლიანი დამატებული ღირებულების მოცულობით იმერეთის რეგიონი, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონთან ერთად საქართველოში თბილისის შემდეგ პირველ ადგილზეა.


იმერეთის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გადამამუშავებელ მრეწველობას, მაგრამ არ წარმოადგენს ეკონომიკის მამოძრავებელ ძალას, რაზეც მეტყველებს რეგიონში და მ.შ. ქუთაისში არსებული საწარმოების მოქმედი სიმძლავრეები. გადამამუშავებელ მრეწველობაზე მოდის იმერეთის ბოლო 5 წლის საშუალო ბრუნვის 32.7%, პროდუქციის გამოშვების 55% და სამუშაო ადგილების 30%. ქვემო ქართლში იგივე მაჩვენებლები 47.5%, 58.6% და 33.4%-ს შეადგენს. მაგრამ ორივე რეგიონში ეს დარგები არ განაპირობებდნენ რეგიონებში ეკონომიკის ზრდას. ორივე რეგიონში 2010-2014 წლებში ყველაზე სწრაფად იზრდებოდა მშენებლობის, ტურიზმის და ვაჭრობის დარგები. ეს ნიშნავს, რომ რეგიონის ძირითადმა დარგებმა იმერეთსა და ქვემო ქართლში დაკარგეს თავიანთი როლი, მაგრამ რუსთავისგან განსხვავებით, ტრადიციულ გადამამუშავებელ მრეწველობას ქუთაისში აღარ დაბრუნებია პერსპექტივა. ეს შეიძლება იყოს ქუთაისის წარმოებისთვის მიწოდების ჯაჭვის შეწყვეტისა და წარმოებული პროდუქციის მიერ გასაღების ბაზრების დაკარგვის შედეგი, რასაც ნაკლებად ჰქონდა ადგილი (ან დროებითი იყო) რუსთავის შემთხვევაში.

სურათი 29. ქუთაისი





სურათი 31. ბათუმი




21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში ქუთაისში ეკონომიკის ზრდა დაკავშირებული იყო ქალაქში საქართველოს პარლამენტის და სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებების გადატანასთან, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა ქალაქის ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის. დღეს ქუთაისი იმყოფება გზების გასაყარზე და კრიზისიდან გამოსასვლელად საჭიროებს ზრდის ახალ სტრატეგიებს, რათა შეინარჩუნოს დასავლეთ საქართველოს ადმინისტრაციული, კულტურული და ეკონომიკური ცენტრის სტატუსი.

საქსტატის ოფიციალური მონაცემებით ქ. ქუთაისში 2015 წლისათვის რეგისტრირებული იყო 35 776 ბიზნესსუბიექტი. ბიზნესის მთლიანმა ბრუნვამ 2014 წლისათვის შეადგინა 1 176,3


მლნ. ლარი. ამ მაჩვენებლით ქუთაისი მსხვილი ქალაქებიდან¹⁵ ჩამორჩება როგორც ბათუმს, ასევე რუსთავს.

სურათი 32.



აღნიშნულის მიუხედავად, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 2013-2014 წლებში რეგისტრირებული საწარმოების რაოდენობის მიხედვით ქუთაისი უსწრებს ყველა დიდ ქალაქს საქართველოში, თბილისის გარდა და, ამასთან, დადებითი დინამიკით ხასიათდება, რაც იძლევა იმის ვარაუდის საშუალებას, რომ სათანადო ხელშეწყობის პირობებში, რამდენიმე წელში, როდესაც ახლად შექმნილი საწარმოები ზრდას დაიწყებენ, ქალაქის ეკონომიკური მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

სურათი 33.



ამჟამად ქუთაისში ძირითადად შემდეგი პროდუქცია იწარმოება:

- ელექტროენერგეტიკა;

¹⁵ ანალიზისას არ გაითვალისწინება თბილისის მაჩვენებლები, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება ყველა სხვა ქალაქს და, შესაბამისად, მათი შედარება მიზანშეუწონელია.

- ელექტრომწიფობილობები და ელექტრონული კომპონენტები;
- დეკორატიული და სამშენებლო ქვის დამუშავება (მარმარილო, ცარცი, გრანიტი და ა.შ.);
- გადამამუშავებული ხე-ტყე, ავეჯი;
- ლითონი და ლითონნაკეთობები, თუჯის სხმულები;
- პლასტმასი და მშენებლობაში გამოსაყენებელი პლასტმასის ნაკეთობები;
- ბეტონი, რკინაბეტონი და ბეტონის ასაწყობი კონსტრუქციები, საკედლე ბლოკები და სილიკატური აგური;
- საღებავები, ლაქები, ემალები და მათი მინერალური პიგმენტები;
- ქიმიური ნივთიერებები;
- საკვები პროდუქტები (პურფუნთუშეულის წარმოება, ხორბლის გადამამუშავება, ღვინო, სპირტიანი სასმელები, ლუდი, მინერალური და უალკოჰოლო სასმელები, ხორცი და ხორცპროდუქტები, საკონდიტრო, რძის პროდუქტები, მაკარონი, ჩაი)
- სუნელსანელებლები და საკმაზსანელებლები;
- ტყავი და ტყავის ნაწარმი (მეტწილად ფეხსაცმელი);
- ტექსტილი, ტრიკოტაჟი და ნაქსოვი ტილო, შალის ბოჭკო, ქსოვილები და საგალანტერიო ნაწარმი;
- სამკერვალო ნაწარმი.

სურათი 34. ექსპორტი ქუთაისიდან




ქუთაისში წარმოებული პროდუქციის ექსპორტი მსოფლიოს 20-მდე ქვეყანაში ხორციელდება, რომელთაგან ძირითადი ქვეყნები მოცემულია ცხრილი 11-ში.

ცხრილი 11. ქუთაისში წარმოებული საექსპორტო პროდუქცია

| პროდუქცია | ქვეყანა |
|----------------------------|---|
| დაფნა | თურქეთი, ინგლისი, ირანი |
| თხილის გული | საბერძნეთი |
| მშრალი მცენარეული ნედლეული | გერმანია, პოლონეთი, ჩეხეთი, უკრაინა, რუსეთი |
| მწვანე აგურა ჩაი | მონღოლეთი |
| ტექსტილი | გერმანია, თურქეთი, იტალია |
| ტყავფეხსაცმელი | თურქეთი |
| ქვა | ისრაელი |
| ჯაგრისი | რუმინეთი, საფრანგეთი |


იმერეთის რეგიონი, განხორციელებული პირდაპირ უცხოური ინვესტიციებით, მნიშვნელოვნად ჩამორჩება აჭარას და ბოლო ორი წელი ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციების დაახლოებით 1%-ია; ხოლო 2011 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა უარყოფითი იყო. ეს რეგიონის დაბალ საინვესტიციო მიმზიდველობაზე მეტყველებს.

სურათი 35. პირდაპირ უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით




დასაქმება. ბოლო ათწლეულებში ქალაქის ეკონომიკაში დომინირებადი სამრეწველო პოზიციების დაკარგვამ და საბაზრო სისტემაზე სრულმა გადასვლამ ეკონომიკის დარგებში რაოდენობრივი სტრუქტურის ძირეული ცვლილება გამოიწვია. ძირითადად „დატვირთვამ“ მომსახურე დარგებზე გადაინაცვლა, კერძოდ, 2015 წლისათვის ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაში რაოდენობრივად საწარმოო სფეროს მხოლოდ 17% უჭირავს, ვაჭრობა 36,5%-ით ფიქსირდება, განათლება, ჯანდაცვა და სპორტი 7,5%-ით, ხოლო მშენებლობა 12%-ით.

2014 წლის ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით ქუთაისი მსხვილი ქალაქებიდან ორჯერ ჩამორჩება ბათუმს და მცირედით უსწრებს რუსთავს.



ქალაქის უმთავრეს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემად კვლავ რჩება უმუშევრობა, რომლის დონე ჯერ კიდევ მაღალია. 2014 წელს იმერეთის უმუშევრობის მაჩვენებელი 10,1% იყო, რაც ეროვნულ მაჩვენებელზე (12,4%) ნაკლებია.


სურათი 37. უმუშევრობის დინამიკა იმერეთში (%)



რეალურ ვითარებაში მაღალია თვითდასაქმებულთა რიცხოვნობა, რაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 16-18%-ს შეადგენს. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა ქალაქის დასაქმების სტრუქტურა. კერძოდ, თუკი ტრადიციულად ქალაქის ეკონომიკაში სამრეწველო სექტორი დომინირებდა, ახლა მრეწველობაში დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობა შეადგენს 11,1%-ს, ხოლო ვაჭრობა-მომსახურებაში – 38,7%-ს, ჯანდაცვაში – 9,2%-ს, განათლებასა და სპორტში – 17,8%-ს¹⁶.

მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა მუნიციპალურ სტრუქტურებში დასაქმებულთა რაოდენობა (7,5%), რაც მცირე ზომის ქალაქისათვის, რომლის ბიუჯეტის შემოსავლების ძირითად ნაწილს გრანტები შეადგენენ, არასასურველია.

სურათი 38. დასაქმებულთა განაწილება დარგების და სფეროების მიხედვით (%)




იმის გამო, რომ იმერეთის რეგიონის, მოსახლეობის მიხედვით ყველაზე დიდი მუნიციპალიტეტების უმეტესობა განლაგებულია ქუთაისის გარშემო არაუმეტეს 30-35 კმ-ის დაშორებით და მათ აქვთ ხელმისაწვდომი კომუნიკაცია ქუთაისთან, შეიძლება მათი

¹⁶ ინფორმაციის წყარო: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, ბიზნესის კვლევის შედეგები.

მოსახლეობის აქტიური ნაწილი – სამუშაო ძალა, განხილულ იქნეს ქუთაისისათვის, როგორც ადვილად ხელმისაწვდომი შრომითი რესურსი. ამასთან, თანამედროვე პირობებში, ქალაქთან დამაკავშირებელი სატრანსპორტო კომუნიკაციების გაუმჯობესების შემთხვევაში, დაკავშირებისათვის საჭირო დროის შემცირების კვალობაზე, ქუთაისისათვის ხელმისაწვდომი შრომითი რესურსების არეალი შეიძლება გაიზარდოს დაახლოებით 80-100 კმ-მდე ქალაქის გარშემო. რაც იმას ნიშნავს, რომ ქალაქს ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს არა მხოლოდ იმერეთის არამედ, გურიის და სამეგრელოს, ასევე რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონში არსებული შრომითი რესურსებითაც. ისიც აღსანიშნავია, რომ ათწლეულების წინ მე-20 საუკუნეში ქალაქში მსხვილი ინდუსტრიების განვითარების კვალობაზე მოსახლეობის ზრდა ძირითადად მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან შრომითი რესურსების მიგრაციის შედეგად ხდებოდა.

შემოსავლები. 2011-2014 წლებში იმერეთის რეგიონში იზრდებოდა მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლები. ამასთან, რეგიონში შექმნილი შემოსავლები საქართველოში შექმნილი მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების 17.5-19%-ს შეადგენდა, მაშინ როცა აჭარასა და ქვემო ქართლში იგივე პერიოდში ეს მაჩვენებელი 8%-ის ფარგლებში იყო. ამავე დროს, მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლები, გაანგარიშებული ერთ შინამეურნეობაზე, იმერეთში ნაკლებია, ვიდრე აჭარასა და ქვემო ქართლში.

სურათი 39. მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლები (მილიონი ლარი)



თავისუფალი ინდუსტრიული ზონები. ქუთაისის ტერიტორიაზე არსებობს ორი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა.

ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა შეიქმნა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 მარტის №109 დადგენილებით და მისი ფუნქციონირების ვადად 30

წელი განისაზღვრა. კომპანია „ჰუალინგ ჯგუფი“ ამ ზონაში არანაკლებ 30 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციის ჩადებას აპირებს. თიზ-ი ფუნქციონირებს მისთვის გამოყოფილ 359 251 კვ.მ ტერიტორიაზე, მასში დასაქმებულთა არანაკლებ 75% უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ინვესტიციები თიზ-ის ტერიტორიაზე ხორციელდება როგორც თიზ-ის ორგანიზატორის (ძირითადად, ინფრასტრუქტურის მოწყობის დასასრულებლად), ასევე უცხოელი ინვესტორების მიერ, წარმოების სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, არის ხე-ტყისა და ხის მასალის გადამუშავება, სხვადასხვა სახის ავეჯის (მათ შორის, საოფისე) წარმოება, ქაღალდის წარმოება; სამშენებლო მასალების წარმოება, მათ შორის, მეტალო-კონსტრუქციების, დსპ-ს, მდფ-ის, კარ-ფანჯრების, პარკეტის წარმოება და სხვა; ასევე ბუნებრივი ქვებისა და ნედლეულის გადამუშავება სხვადასხვა ტიპის სამშენებლო მიზნებისათვის (ქვის ბლოკები, მოსაპირკეთებელი მასალა, კრამიტი, აბაზანის მოწყობილობები, ქვის ავეჯი და სხვა); გარდა ამისა, დაგეგმილია ინვესტიციების მოზიდვა მსუბუქი მრეწველობის სხვადასხვა დარგში, კერძოდ, ტექსტილის, ქიმიური, კვების პროდუქტების, საკანცელარიო საქონლის და მინის პროდუქციის წარმოებაში.

ქუთაისის ტერიტორიაზე ასევე ფუნქციონირებს მეორე თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, რომლის ოპერატორი კომპანია არის „FRESH-GEORGIA LTD“. მისი საქმიანობის სახეა საყოფაცხოვრებო გაზქურებისა და ელექტროტექნიკის წარმოება-რეალიზაცია. განხორციელებულმა ინვესტიციამ 2009 წელს შეადგინა 55 750 580 აშშ დოლარი. 2014-2015 წლებში კომპანიის საქმიანობაში იყო მნიშვნელოვანი შეფერხებები, თუმცა 2016 წლიდან კომპანიამ კვლავ აღადგინა წარმოება და გეგმავს გაფართოებას.

ტურიზმი. ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორია საქართველოში. ტურიზმის წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 6.2% შეადგენს. საქართველოში ტურისტთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, 2013 წელთან შედარებით 2014 წელს დაფიქსირდა 2%-იანი ზრდა, ხოლო 2015 წლის მონაცემებით დაფიქსირებულია 6,8 % ზრდა. ქუთაისსა და იმერეთის რეგიონზე 2014 წლის მაჩვენებლით მოდის საქართველოში შემომსვლელ ტურისტთა 7,3%, ხოლო 2015 წლის მონაცემებით 13,8%.


ქალაქის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის მთავარი ობიექტია ბაგრატის საკათედრო ტაძარი უქიმერიონის გორაზე – მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. სხვა ობიექტებიდან აღსანიშნავია ეროვნული მნიშვნელობის კულტურის უძრავი ძეგლები: „მწვანეყვავილა“ (XI-XVII ს), საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, „ოქროს ჩარდახი“ – იმერეთის მეფეთა სასახლე და XIX საუკუნის ჯაჭვის ხიდი მდინარე რიონზე. ქალაქში

ფუნქციონირებს: ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, დავით კაკაბაძის სახელობის ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეა, ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი, ქუთაისის სპორტის მუზეუმი, ქუთაისის დავით მხეიძის სახელობის ფოტო-კინო მატეანეს მუზეუმი, ქუთაისის საბრძოლო დიდების ეროვნული მუზეუმი.

ტურიზმის განვითარებისათვის ქუთაისის თვითმმართველობის საქმიანობა ფოკუსირებულია ორ ძირითად მიმართულებაზე:


1. ტურისტების მოზიდვა ქალაქში;
2. ტურისტული ინფრასტრუქტურის მუდმივი გაუმჯობესება.

2015 წლის ბოლოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შექმნილი იქნა შენობა რუსთაველის გამზ. №9-ში ტურიზმის ახალი საინფორმაციო ცენტრის შექმნისათვის. ამჟამად მიმდინარეობს მისი სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც მიმდინარე წელსვე დასრულდება. ცენტრი იქნება საქართველოში ყველაზე დიდი და მრავალფუნქციური.



ქუთაისში ბოლო 4 წლის განმავლობაში იზრდება ტურისტების რაოდენობა პოლონეთიდან, გერმანიიდან, ლიტვიდან, ჩეხეთიდან, რუსეთიდან, ჰოლანდიიდან, საფრანგეთიდან და აშშ-დან (სურათი 40). ტურისტების გაზრდილი დინამიკის გამო სავარაუდოდ მომავალში ქალაქში უნდა ველოდოთ სასტუმროების, მ.შ. ბრენდირებული სასტუმროების მშენებლობის ზრდას. ვინაიდან ამჟამად არსებულ სასტუმროებს ტურისტულ სეზონზე საკმაოდ მაღალი დატვირთვის კოეფიციენტი აქვთ.

¹⁷ რეიტინგი გაკეთებულია ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრში შემოსული ტურისტების სტრუქტურის შესაბამისად.



ქუთაისისათვის უახლოეს მომავალში ნავარაუდები კლიმატური ცვლილებების ტენდენციები დადებითია ტურისტული სეზონის გახანგრძლივების თვალსაზრისით – ტურიზმისათვის ხელსაყრელი პირობები იქმნება შემოდგომის, ზამთრისა და გაზაფხულის პერიოდებში.


მცირე და საშუალო ბიზნესი. იმერეთში, ქვეყნისგან განსხვავებით, უმრავლესობა საშუალო და მცირე საწარმოებშია დასაქმებული. შესაბამისად, საშუალო და მცირე საწარმოებში უფრო მეტად არის გაზრდილი პროდუქციის გამოშვება, ვიდრე მსხვილ საწარმოებში. იმერეთში, მსხვილ და საშუალო საწარმოებში ოთხი წლის განმავლობაში შემცირდა სამუშაო ადგილების რაოდენობა, მაშინ როცა მცირე საწარმოებში 26%-ით გაიზარდა. იგივე პერიოდში, საქართველოში, მსხვილ და მცირე საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა 1%-ით შემცირდა. იმერეთის მსხვილ საწარმოებში ბრუნვის ზრდა (56.8%) საშუალო საწარმოებთან შედარებით 3-ჯერ, ხოლო მცირე საწარმოებთან შედარებით 4-ჯერ ნაკლებად.

8. ქალაქის მმართველობა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს ჰყავს პირდაპირი წესით არჩეული აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი – მერი და 25 წევრისაგან შემდგარი წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო, რომლის 10 წევრი არჩეულია მაჟორიტარული, ხოლო 15 წევრი პროპორციული სისტემით. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელისა და წარმომადგენლობითი ორგანოების წევრების არჩევა ხდება 4 წლის ვადით; მოქმედი მერისა


და საკრებულოს წევრების არჩევა მოხდა 2014 წელს და მომდევნო არჩევნები იქნება 2017 წლის ოქტომბერში.

საქართველოს ორგანული კანონის – ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებობს 9 სტრუქტურული ერთეული, რომელთაც კურირებს მერი, ან მერის მოადგილეები (იხილეთ თავი X). ქუთაისის თვითმმართველობაში სულ დასაქმებულია 393 (შტატით – 359, შტატგარეშე – 34) ადამიანი, მათ შორის: მერიაში – 336 (შტატით – 310, შტატგარეშე – 26), საკრებულოში – 57 (შტატით – 49, შტატგარეშე – 8). ქუთაისში ყოველ 1000 მაცხოვრებელზე მოდის 2,6 მოხელე. თვითმმართველობის მიერ დაფუძნებულია და ფუნქციონირებს 13 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და 10 მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორია დაყოფილია 12 ადმინისტრაციულ ერთეულად. თითოეულ ერთეულში მუნიციპალიტეტის მერს ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი.



უკანასკნელი წლების განმავლობაში თვითმმართველობის მიერ აქტიურად ხორციელდება ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება, რაც იწვევს ფინანსური რესურსის დაზოგვას და მისი ინფრასტრუქტურული და სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად მიმართვას. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 156-ე მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის (მერია, საკრებულო) აპარატის საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების 25%-ს, რაც ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის შეადგენს 8,6%-ს. სურათი 44-ზე ნათლად ჩანს ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ წლების მანძილზე ადმინისტრაციული ხარჯების დაზოგვის პოლიტიკის შედეგი.

სურათი 44.



ქალაქის ხელისუფლებას მჭიდრო თანამშრომლობა აქვს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან ქალაქისათვის მნიშვნელოვან ყველა საკითხთან მიმართებაში. ქუთაისის მუნიციპალიტეტი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებთან „ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის“ ფარგლებში, რომლის ვიცე-პრეზიდენტი ამჟამად არის ქალაქ ქუთაისის მერი. ქალაქის ხელისუფლება ასევე აქტიურად თანამშრომლობს, იმერეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციასთან როგორც საკონსულტაციო საბჭოს ფორმატში, ასევე ქალაქისათვის და რეგიონისათვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა აქტივობების განხორციელების კუთხით.

ქუთაისში არ არსებობდა ბიზნესთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ინსტიტუტები, თუმცა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 6 ივნისის ბრძანებით შეიქმნა მერთან არსებული ბიზნესსაბჭო, როგორც მერის სათათბირო ორგანო და დამტკიცდა საბჭოს დებულება. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტური მუშაობისა და ბიზნესის განვითარების მიზნით წინადადებების და რეკომენდაციების მომზადება, ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. ბიზნესის ხელშეწყობისათვის რეფორმების განხორციელების მიზნით საკანონმდებლო ინიციატივათა მომზადება, რეფორმების დაგეგმვის და მიმდინარეობის პროცესის მხარდაჭერა და კომპეტენციის ფარგლებში მონიტორინგი. ამ ეტაპზე ბიზნესსაბჭოში 37 ბიზნესკომპანიის ხელმძღვანელია წარმოდგენილი.

ქალაქი ქუთაისი დამეგობრებულია მსოფლიოს 19 ქალაქთან და მათ უმრავლესობასთან მჭიდრო ურთიერთობა აქვს სხვადასხვა სფეროში, რაც ერთობლივი პროექტების და ღონისძიებების განხორციელებაშიც გამოიხატება. აღნიშნული პროექტები ძირითადად ეხება ქალაქებს შორის გამოცდილების გაზიარებას სხვადასხვა სფეროში.


ცხრილი 12. ქუთაისთან დამეგობრებული ქალაქები

| | ქალაქი | ქვეყანა | დამეგობრების თარიღი |
|----|-----------------|-----------------------------|---------------------|
| 1 | დონეცი | უკრაინა | 1999 წელი |
| 2 | ზაპოროჟიე | უკრაინა | 2005 წელი |
| 3 | ლვოვი | უკრაინა | 2002 წელი |
| 4 | ჟიტომირი | უკრაინა | 2007 წელი |
| 5 | ხარკოვი | უკრაინა | 2005 წელი |
| 6 | დნეპროპეტროვსკი | უკრაინა | 2007 წელი |
| 7 | აშკელონი | ისრაელი | 1997 წელი |
| 8 | განჯა | აზერბაიჯანი | 1995 წელი |
| 9 | კოლუმბია | აშშ, მისური | 1997 წელი |
| 10 | ნიუპორტი | უელსი, გაერთიანებული სამეფო | 1989 წელი |
| 11 | პოზნანი | პოლონეთი | 2009 წელი |
| 12 | სომბათჰეი | უნგრეთი | 2015 წელი |
| 13 | უნგენი | მოლდოვა | 2015 წელი |
| 14 | ნანჩანგი | ჩინეთი | 2015 წელი |
| 15 | კარშიაკა | თურქეთი | 2012 წელი |
| 16 | გომელი | ბელორუსია | 2016 წელი |
| 17 | ვალგა | ესტონეთი | 2016 წელი |
| 18 | ვალკა | ლატვია | 2016 წელი |
| 19 | ლაივუ | ჩინეთი | 2016 წელი |


ქუთაისის მუნიციპალიტეტი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან. მათი მხარდაჭერით არაერთი პროექტი განხორციელებულა და ამჯამადაც ხორციელდება ქალაქ ქუთაისში.

მუნიციპალური ბიუჯეტი. ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობებმა 71 445,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც ყველაზე მაღალია ქალაქისათვის უკანასკნელი წლების განმავლობაში, თუმცა 2016 წლის ბიუჯეტმა უკვე გადააჭარბა აღნიშნულ მაჩვენებელს.


სურათი 45.



საქართველოს მთავრობის მიერ აქტიურად მიმდინარეობს თვითმმართველობის რეფორმა, რომელიც საბოლოოდ ქვეყანას სრულ დეცენტრალიზაციასა და მუნიციპალური განვითარების ეფექტურ შესაძლებლობებთან მიიყვანს. სწორედ ამ რეფორმის ფარგლებში, განხორციელდა „საქართველოს საგადასახადო კოდექსით“ განსაზღვრული საშემოსავლო გადასახადის რიგი სახეობების ადგილობრივ ბიუჯეტებში მობილიზება, რითაც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 12,5 მლნ ლარით გაიზარდა.



ქალაქის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობებმა 1 სულ მოსახლეზე საშუალოდ 464 ლარი შეადგინა, რაც ასევე უპრეცედენტოა უკანასკნელი წლების განმავლობაში.




ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე წლების მანძილზე აღურიცხავი იყო მიწის ნაკვეთები, რომელთაც მესაკუთრე არ ჰყავდა. ამავდროულად 2010 წლიდან მუნიციპალიტეტებს საშუალება მიეცათ აუქციონები გაემართათ ელექტრონული სისტემის საშუალებით, რომლის მთავარ განმახორციელებლად ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო იქნებოდა. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ 2014 წლის იანვრიდან დაინერგა ელექტრონული აუქციონების სისტემა, რამაც უკანონო გარიგებების შესაძლებლობა პრაქტიკულად ნულამდე შეამცირა და კონკურენციის მნიშვნელოვან ზრდას შეუწყო ხელი. შედეგად, 2014 წელს

პრივატიზაციის გეგმა 2300,0 ათასი ლარი, გადაჭარბებით შესრულდა, ხოლო 2015 წელს მუნიციპალიტეტის მიერ 2947,5 ათასი ლარის ქონება იქნა რეალიზებული. ამავდროულად მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა სატენდერო დოკუმენტაცია ქალაქის ტერიტორიაზე არსებული დაურეგისტრირებელი მიწების აღრიცხვისა და მათზე ელექტრონული აზომვითი ნახაზების დამუშავების შესახებ. განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის შედეგად გამარჯვებულმა კომპანიამ მოამზადა 420 ელ.ნახაზი, რომლის ჯამურმა ფართობმა 100 ჰა-ს გადააჭარბა. აღნიშნული მიწის ნაკვეთების დიდი ნაწილი უკვე რეგისტრირებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.


პრივატიზაციის ტემპების ზრდა, უდავოდ კარგი ტენდენცია არის ეკონომიკის სტიმულირებისათვის, პირველ ყოვლისა ინვესტიციების მოზიდვის კუთხით.

სურათი 48.

სურათი 49.



2015 წელს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით გადანაწილებულია შემდეგნაირად:



9. ქუთაისის კავშირები და როლი რეგიონში

საბჭოთა კავშირის პერიოდში ქუთაისი აწარმოებდა ავტომობილებს, ტრაქტორებს, მოწყობილობებს შახტებისთვის, საღებავებს და ქიმიკატებს, სამშენებლო მასალას, აბრეშუმისა და შალის ნაჭრებს, ფეხსაცმელს, ტანსაცმელს, ავეჯს, ხილის და ბოსტნეულის კონსერვებს და ა.შ. ამავე დროს ქალაქის ეკონომიკური გავლენა მთელ დასავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა. გავლენის ზონა იწყებოდა მიმდებარე დასახლებებიდან და მოიცავდა იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებს, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებს. ქუთაისიდან დაშორების მიხედვით, ზონაში შედიოდნენ რაიონები, რომელთაც მჭიდრო ყოველდღიური საწარმო-ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდათ ქუთაისთან; საიდანაც ხდებოდა ქალაქის მოსახლეობით მექანიკური მომარაგება; საიდანაც ნედლეულს ღებულობდნენ ქუთაისში განთავსებული ადგილობრივი რესურსების ბაზაზე შექმნილი კვებისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოები და დასახლებული პუნქტები, რომლებიც მარაგდებოდნენ ქუთაისის სავაჭრო და გასაღების ბაზებიდან. კომუნიკაციები თავს იყრიდა ქუთაისში. ქალაქი ინტენსიური სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვებით აკავშირებდა და აახლოებდა საქართველოს რაიონებს. მისი კულტურულ-საგანამანათლებლო დაწესებულებები გავლენას ახდენდნენ დასავლეთ საქართველოს კულტურულ ცხოვრებაზე. ქუთაისის

უნივერსიტეტებში, ასევე პროფესიულ სასწავლებლებში სწავლობენ ახალგაზრდები მთელი დასავლეთ საქართველოდან. ქუთაისში მიმდინარეობდა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რომელთაც პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდათ დასავლეთ საქართველოს ეკონომიკისთვის (კვების მრეწველობა, მეზოსტნეობა, აბრეშუმის წარმოება და ა.შ.).


თანამედროვე საქართველოში თბილისის გავლენის ზონა აღმოსავლეთ საქართველოთი არის შემოფარგლული, დასავლეთ საქართველოში ქუთაისის სიდიდის მქონე კიდევ ერთი ქალაქია – ბათუმი. ქვეყანაში შექმნილი დემოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე მოსალოდნელი არ არის, რომ სხვა ქალაქებში (ზუგდიდი, ფოთი, ა.შ.), მოსახლეობა გაიზარდოს ქუთაისის და ბათუმის დონემდე. სახელმწიფო პოლიტიკა არ არის მიმართული ამ ქალაქების განსაკუთრებულად სწრაფი ზრდისკენ. არც დასავლეთ საქართველოში არსებულ ქალაქებს გააჩნიათ ამ ეტაპზე ზრდის სტრატეგია და არც წარსულში ჰქონდათ მათ დასავლეთ საქართველოს მთავარი ქალაქის ფუნქცია. ვითარება შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ქალაქ სოხუმზე საქართველოს კონტროლის აღდგენის შემდეგ.

კვლევამ აჩვენა, რომ დასავლეთ საქართველოს არც ერთ მუნიციპალიტეტს არ გააჩნია სტრატეგია. ცალკეულ შემთხვევებში, ისინი მომზადებულია სხვადასხვა დონორებთან ერთად, მაგრამ არ არის დამტკიცებული, ან შემუშავების პროცესშია. ამ ეტაპისთვის შემუშავებული ხედვების ანალიზიდან ჩანს, რომ ძირითადად ისინი ლოკალურ საკითხებზე არიან ორიენტირებული და მუნიციპალიტეტებს არ აქვთ რეგიონული ამბიციები. გამონაკლისებს წარმოადგენენ სამტრედია, ზესტაფონი და ბათუმი. სამტრედიის მუნიციპალიტეტი თვლის, რომ მას გააჩნია სპორტული ობიექტები, რომელსაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გარდა გამოიყენებს მეზობელი დასახლებების მაცხოვრებლები ჯანსაღი ცხოვრებისა და სპორტული მიღწევებისათვის; ზესტაფონს სურს იყოს ზემო იმერეთის სავაჭრო ცენტრი; ხოლო ბათუმი აპირებს თავისი პოზიციების გაძლიერებას სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში. სხვა მიმართულებით მუშაობასთან ერთად ბათუმს სურს ჰყავდეს მოსახლეობა, რომელიც წარმატებული დამსაქმებელი იქნება.

კიდევ ერთი მუნიციპალიტეტი, რომელიც შეიძლება ქუთაისის მუნიციპალიტეტის კონკურენტი იყოს, მსგავსი ინდუსტრიული ისტორიიდან გამომდინარე, არის რუსთავი. სხვადასხვა სტრატეგიულ დოკუმენტებში რუსთავი თავის თავს ხედავს თბილისის აგლომერაციის ფარგლებში, მისი ხელისუფლება ფოკუსირებული იქნება წარმოების დინამიურ განვითარებასა და დივერსიფიკაციაზე. რუსთავი აპირებს საქართველოს მასშტაბით წარმოადგენდეს ქვეყნის ინდუსტრიულ და ლოჯისტიკურ ცენტრს.

ხელისუფლების, ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომომადგენელთა მოსაზრებით ქუთაისში, რუსთავსა და ბათუმში ბოლო წლების განმავლობაში მომხდარი ცვლილებები პოზიტიურია. ქალაქების კონკურენციულობის შეფასებისათვის SWOT ანალიზი მოცემულია დოკუმენტის შესაბამის ნაწილში.

სურათი 51. სამთავრობო დაწესებულებები ქუთაისში უზენის მიხედვით



ქუთაისი არის ქვეყნის მასშტაბით, დასავლეთ საქართველოში ან მის ნაწილში მომუშავე სახელმწიფო სტრუქტურების განთავსების ადგილი. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ ქუთაისმა, ერთი მხრივ, შეინარჩუნოს ეს ინსტიტუტები და, მეორე მხრივ, მაქსიმალურად გაზარდოს დასაქმებულთა შორის ქუთაისელთა რაოდენობა. ქ. ქუთაისში არსებული სახელმწიფო და რეგიონული მნიშვნელობის საჯარო დაწესებულებების ნუსხა მოცემულია XIII თავში.

ქალაქ ქუთაისიდან დასავლეთით 18 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი, რომლის ასაფრენ-დასაფრენი ზოლი 2,600 მეტრს შეადგენს და აეროპორტს საშუალოდ საათში 600 მგზავრის მომსახურება შეუძლია. ის აშენებულია კლიმატის ცვლილების ზემოქმედებისგან ყველაზე ნაკლები რისკის მქონე ტერიტორიაზე; მისთვის ყველაზე დიდ საშიშროებას წარმოადგენს ქარიშხლის მიმართ მგრძობილობა, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ასაფრენ ბილიკებზე ამტვერება ან/და საფარის დაზიანება.

დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი ერთ-ერთია საქართველოს სამ საერთაშორისო აეროპორტს შორის და ადგილმდებარეობის გამო საკვანძო მნიშვნელობა აქვს რეგიონისათვის. ქ. ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი ახორციელებს შეღავათიან ფრენებს სხვადასხვა ქვეყნის მიმართულებით, რაც წარმოაჩენს მის უპირატესობას საქართველოს სხვა აეროპორტებთან შედარებით. 2016 წლის განმავლობაში კი აეროპორტიდან დამატებით განხორციელდება დაბალფასიანი ფრენები ევროპის 7 ქალაქის მიმართულებით, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ტურისტების რაოდენობას ქალაქში და რეგიონში. ასევე, მიმდინარე წელს ავიაკომპანია ვიზ-ეარის მიერ ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში დაგეგმილია ქვეყანაში პირველი რეგიონული ბაზის განთავსება.

გარდა საერთაშორისო ავია რეისებისა, ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტიდან, ტურისტულ სეზონზე ასევე სრულდება შიდა ავია რეისები, კერძოდ, ნატახტარისა და მესტიის მიმართულებით, თითოეული კვირაში ორჯერ.

ცხრილი 13. საერთაშორისო ფრენის მიმართულებები საქართველოს აეროპორტებიდან

| | თბილისი | ქუთაისი | ბათუმი |
|----------------------|---------------------------------|--------------------|--------------------|
| მიმართულებები | არსებული | | |
| | ბათუმი | ნატახტარი | თბილისი |
| | სტამბული (ათათურქი) | სტამბული (გოქჩენი) | სტამბული (გოქჩენი) |
| | სტამბული (გოქჩენი) | ვილნიუსი | |
| | ვარშავა | ვარშავა | |
| | მიუნხენი | კატოვიცე | |
| | კიევი | კიევი | |
| | მოსკოვი (ვნუკოვო) | ხარკოვი | |
| | ბაქო | ბუდაპეშტი | |
| | მინსკი | მინსკი | |
| | | მოსკოვი | |
| | | თელ-ავივი | |
| | მოსალოდნელი¹⁸ | | |

¹⁸ ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტიდან დამატებითი ავიარეისების განხორციელება მოხდება 2016 წლის სექტემბრიდან.

| | | |
|--|-----------|------------------|
| | ბერლინი | აქტაუ |
| | მიუნხენი | შარჟა |
| | დორტმუნდი | სანკტ-პეტერბურგი |
| | მილანი | კიევი |
| | ლარნაკა | დნეპროპეტროვსკი |
| | სოფია | ოდესა |
| | სალონიკი | მინსკი |
| | | მოსკოვი |
| | | თელ-ავივი |

ქუთაისი ავტობუსით დაკავშირებულია საქართველოს თითქმის ყველა რაიონულ ცენტრთან. ამასთან, აუცილებელია საავტობუსო პარკისა და გზების, ასევე მგზავრების მომსახურების გაუმჯობესება. მართალია, მატარებლის ლიანდაგი შემოდის ქალაქში, ასევე 2 სარკინიგზო სადგური („რიონი“ და „ბროწეულა“) შორს არ არის ქალაქიდან, მაგრამ ამ სადგურების საშუალებით მგზავრთა უდიდესი ნაწილისათვის მგზავრობა მაინც მოუხერხებელია.

| მარშრუტი | გავლით | მატარებლების რაოდენობა ყოველდღიურად თითოეული მიმართულებით | სრული მიმოსვლა |
|---------------------|--------------------------|---|----------------|
| თბილისი-აზერბაიჯანი | რუსთავი, გარდაბანი | 3 | 111,734 |
| თბილისი-ქუთაისი | გორი, ხაშური | 1 | 357,232 |
| თბილისი-ერევანი | მარნეული, სადახლო | 1 | 38,043 |
| თბილისი-ახალქალაქი | | 1 | 12,935 |
| თბილისი-შინდისი | გორი, თბილისის აეროპორტი | 2 | 68,218 |
| თბილისი-ვალე | ბორჯომი | 3 | 372,955 |
| სულ | | 11 | |

ქალაქში განთავსებულია შსს-ს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტი, რომელიც წარმოადგენს რეგიონის სამართალდამცავ უწყებას. ქალაქს ემსახურება პოლიციის ერთი მთავარი სამმართველო და 6 განყოფილება უბნების მიხედვით.

10. ძირითადი დასკვნები

ქუთაისის ვითარდებოდა ადგილობრივ კულტურასთან სხვადასხვა კულტურების შერწყმით, თუმცა საქართველოს სხვა დიდი ქალაქებისაგან განსხვავებით ყველაზე მეტად შეინარჩუნა ქართული ხასიათი.

ქალაქის ისტორიული განვითარების დინამიკამ, ასევე სახელმწიფოებრივი მოწყობის ეტაპობრივმა განვითარებამ ცალსახად გამოავლინა ქუთაისის რეგიონალური მნიშვნელობა.

ქალაქის მოსახლეობა უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში, შემცირდა აქტიური მოსახლეობის ემიგრაციის ხარჯზე, ხოლო სხვა მუნიციპალიტეტებიდან მიგრაციის მასშტაბი არ იყო იმდენად დიდი, რომ დაებალანსებინა ადამიანების გადინება.

ქალაქს სტრატეგიული მდებარეობა უკავია, ის განთავსებულია ჩქაროსნულ მაგისტრალთან, საჰაერო და საზღვაო პორტებთან, რკინიგზის მაგისტრალთან ახლოს.

ქუთაისის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი იქნება მეზობელ მუნიციპალიტეტებთან და საქართველოს დიდ ქალაქებთან თანამშრომლობა და ფუნქციების ურთიერთშეთანხმება.

ქალაქის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია სივრცითი განვითარების გეგმის მომზადება.

ქუთაისის საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლობენ ახალგაზრდები დასავლეთ საქართველოდან. ამასთან, მომავალში კონკურენციის გაზრდის მოსალოდნელი რისკის გამო აუცილებელია დასავლეთ საქართველოს საჭიროებების შესაბამისი სპეციალობების ქონა პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში და ასევე, უცხოელი სტუდენტების მოზიდვა.

ქალაქში არსებული კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურა ღონისძიებების სიმცირის გამო სრულად დატვირთული არ არის, თუმცა შეიმჩნევა ზრდის ტენდენცია. ღონისძიებების ძირითადად ლოკალური ხასიათისა და მნიშვნელობის გამო, მათ ქალაქის მაცხოვრებლების გარდა სხვა მაყურებელი ნაკლებად ესწრება, რისი ერთ-ერთი მიზეზიც მომველებული ინფრასტრუქტურაა. ამავ დროს, უახლოეს წლებში დაგეგმილია ახალი ობიექტების მშენებლობა და არსებულის რეაბილიტაცია.

ქუთაისში არსებული სამედიცინო ინფრასტრუქტურით უკვე სარგებლობებენ მეზობელი მუნიციპალიტეტების მაცხოვრებლები. ამასთან, რიგი დაავადებების სამკურნალოდ მოსახლეობას მაინც უწევს თბილისში ან საქართველოს ფარგლებს გარეთ გამგზავრება. ქალაქის სამედიცინო ინფრასტრუქტურა და სამედიცინო პერსონალი მეტ-ნაკლებად პასუხობს არსებულ მოთხოვნებს.

არ არსებობს ტრანსპორტის მოძრაობის ოპტიმალური მოდელი ქალაქში და მთლიანად დასავლეთ საქართველოში, დასადგენია ოპტიმალური ადგილები სატრანსპორტო კვანძებისთვის, გასაახლებელია საზოგადოებრივი ტრანსპორტის პარკი, გასაუმჯობესებელია სერვისები. რეგიონში საზოგადოებრივი ტრანსპორტის სერვისის არასაკმარისი დონე და გზების არასათანადო მდგომარეობა, შემაფერხებელი ფაქტორი იქნება ქუთაისის რეგიონის მთავარ ქალაქად ჩამოყალიბებაში.

მუნიციპალური სერვისების მიმწოდებლები არიან მუნიციპალური საწარმოები და სამსახურები, სახელმწიფო სტრუქტურები და კერძო კომპანიები. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში არსებული სერვისების ხარისხი არ არის დამაკმაყოფილებელი.

ქალაქი არ არის სრულად ადაპტირებული საზოგადოების ყველა ჯგუფისადმი: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ხანდაზმულები, ბავშვები; სერვისები, რომელთაც ხელისუფლება ან კერძო სექტორი მათ სთავაზობს, რიგ შემთხვევებში მორგებულია მიმწოდებლების შესაძლებლობებზე და არა მათ საჭიროებებზე.

ქალაქში არსებული საბინაო ფონდის ნაწილი ამორტიზირებულია. საბინაო ფონდის ბაზარზე ძირითადად ძველი აშენებული ბინები და სახლები იყიდება. ახალი აშენებული სახლების უმეტესობა არ არის ენერგოეფექტური. ყოველივე ამის გამო, ცხოვრების ხარისხი ქალაქში არ არის მაღალი.

ქუთაისს არ გააჩნია მუდმივმოქმედი პლატფორმა, რომელშიც ის შესძლებდა ერთობლივი სერვისებისა და პროდუქტების მიწოდებას დასავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტების, ბიზნესსექტორისა და სამოქალაქო საზოგადოებისათვის.

მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ქალაქის ეკონომიკის განვითარების, ბიზნესისა და მეწარმეობის დაწყების მსურველთა მხარდამჭერი პროგრამები. თუმცა ამჟამად მიმდინარეობს მათი დაგეგმვა და უნდა ვივარაუდოთ, რომ უახლოეს მომავალში მოხდება მათი ამოქმედება.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის შემოსულობების დიდი ნაწილი არის არასაკუთარი შემოსავლები. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო სტრუქტურებთან ეფექტური თანამშრომლობა განაპირობებს შემოსულობების პერმანენტულ ზრდას.

ქუთაისი არის მერების შეთანხმების წევრი. შეთანხმების ფარგლებში ქალაქმა აიღო ვალდებულება განახორციელოს ღონისძიებები, რომლითაც 2020 წლისათვის 20%-ით შემცირდება CO²-ის ემისია გარემოში.

ქალაქში ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყაროა ავტომანქანების გამონაფრქვევები.

ქუთაისი მდებარეობს მიწისძვრის, მეწყერებისა და სხვა ბუნებრივი კატასტროფების დაბალი რისკის ზონაში.

სხვადასხვა დროს ხელისუფლება ცდილობდა ქალაქისათვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებას, შესაბამისად, ის სატახტო ქალაქიდან გუბერნიის ცენტრად, ვაჭრობის ცენტრად, ინდუსტრიული ჰაზად, საპარლამენტო ქალაქად ყალიბდებოდა. ამიტომაცაა, რომ ცალკეულ სფეროებში ქუთაისიდან იმართება არა მხოლოდ იმერეთი, არამედ დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონები. სხვადასხვა მომსახურებით ქალაქში სარგებლობს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. აეროპორტის რეაბილიტაციამ, მისი როგორც სატრანსპორტო კვანძის განვითარების პერპექტივა გამოავლინა. საუკუნეების მანძილზე ქალაქში განათლების ყველა საფეხურის არსებობამ, კულტურული და სპორტის ტრადიციებიდან გამომდინარე, ერთ დროს ინდუსტრიული სტატუსის გათვალისწინებით, ქალაქის განვითარების ახალი შესაძლებლობები გამოავლინა. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, სახელმწიფომ მიზნად დაისახა უახლოეს მომავალში შეკრას ყველა სატრანსპორტო კვანძი ქუთაისში, დააკავშიროს ის უკლებლივ ყველა რეგიონს და ამით მისი როგორც სატრანზიტო, სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ფუნქციები გააღვიძოს. ამისათვის სახელმწიფო აპირებს მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებას და ისტორიული „აბრეშუმის გზის“ აღდგენის კუთხით ქუთაისისათვის ერთ-ერთი ცენტრალური რგოლის ფუნქციის მინიჭებას. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მდგრადი განვითარების შემთხვევაში ქალაქმა უნდა დაიმკვიდროს ეკონომიკური სტაბილურობის განცდა, რაც სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის მხრიდან ბიზნესის სტიმულირებით, საკუთრების უფლების მყარი დაცვით და ინფრასტრუქტურის განვითარებით, აგრეთვე საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობითა და მუნიციპალური სერვისების მოდერნიზებით არის შესაძლებელი. აღნიშნული კი ინვესტიციების მოზიდვის ხელსაყრელ გარემოდ ჩამოყალიბების წინაპირობაა და ქალაქის ეკონომიკური აღმავლობის გარანტია.

თავი III. SWOT ანალიზი

ქუთაისის განვითარების სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების სისტემატიზაციისათვის გამოყენებული იქნა SWOT ანალიზის მეთოდი. შეფასებული იქნა ქალაქის ძლიერი და სუსტი მხარეები, აგრეთვე შესაძლებლობები და საფრთხეები, რომლებიც არსებობს ქალაქისათვის მის გარშემო. შესაბამისად, მოხდა არსებული მდგომარეობის დიაგნოსტიკა და მომავლის პროგნოზი. ქალაქებში არსებული მდგომარეობა შეაფასეს ქუთაისის და სხვა ქალაქების წარმომადგენლებმა და სტუმრებმა. ანალიზი გაკეთდა შვიდი თემატური მიმართულებით: სახელმწიფო სერვისების მიღების შესაძლებლობები, ქუთაისი – განათლების ცენტრი, სამედიცინო სერვისები, ტურისტული შესაძლებლობები, ვაჭრობა და ლოჯისტიკა, ბიზნესის შესაძლებლობები, კულტურული და სპორტული შესაძლებლობები. ასევე მოხდა ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის SWOT ანალიზების შედარება. ერთმანეთს შედარდა ამ ქალაქების: სამუშაო ძალა, ბიზნესგარემო, განათლების სისტემა, ინფრასტრუქტურა, ცხოვრების დონე და ქალაქის საერთაშორისო იმიჯი.

1. სახელმწიფო სერვისები ქუთაისში

| S – ძლიერი მხარეები | W – სუსტი მხარეები |
|---|---|
| <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს პარლამენტის და სამთავრობო სტრუქტურების რეგიონული წარმომადგენლობების არსებობა; • ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა; • სხვა მუნიციპალიტეტებთან დამაკავშირებელი სატრანსპორტო კომუნიკაციის (საავტომობილო გზები, რკინიგზა, საჰაერო ტრანსპორტი) არსებობა; • სამეცნიერო-ტექნოლოგიური ბაზა; • კვალიფიციური ადამიანური რესურსები; • მრავალფეროვანი სახელმწიფო სერვისების მიღების შესაძლებლობა; • ყველა საფეხურის განათლების სერვისების არსებობა. | <ul style="list-style-type: none"> • სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტს შორის ფუნქციებისა და უფლებამოსილებების არაოპტიმალური გადანაწილება; • არასაკმარისი ფინანსური რესურსები; • გენერალური განვითარების გეგმის არქონა; • ქვეყნის არათანაბარი ურბანული განვითარება; • უმუშევრობის მაღალი დონე. |
| O – შესაძლებლობები | T – საფრთხეები |
| <ul style="list-style-type: none"> • სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტს შორის ფუნქციებისა და უფლებამოსილებების ოპტიმალური გადანაწილების რეფორმის დასრულება; • სხვადასხვა სფეროში „რეგიონული ცენტრის“ ფუნქციის დამკვიდრების შესაძლებლობა; • ქალაქის ურბანული განვითარებისა და ტერიტორიული ზრდის შესაძლებლობა; • მუნიციპალური სერვისების განვითარება; • ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციების ზრდა. | <ul style="list-style-type: none"> • შიდა ეკონომიკური მდგომარეობის და ქვეყნის გარეთ ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება; • კონფლიქტურ ზონებში სიტუაციის გამწვავება. |

2. ქუთაისი – განათლების ცენტრი

| S – ძლიერი მხარეები | W – სუსტი მხარეები |
|---|---|
| <ul style="list-style-type: none"> • განათლების ყველა საფეხურის სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების არსებობა; • გამოცდილი და კვალიფიციური პედაგოგების და სამეცნიერო პერსონალის არსებობა; • მდიდარი სასწავლო-სამეცნიერო ტრადიციები, კონკურენტუნარიანი და მზარდი საგანმანათლებლო სექტორი; • ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა • გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი სატრანსპორტო კომუნიკაციების (საავტომობილო გზები, რკინიგზა, აეროპორტი) არსებობა; • საცხოვრებელი ფონდის არსებობა ქალაქში; • კრიმინალური შემთხვევების დაბალი დონე; • საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის არსებობა. | <ul style="list-style-type: none"> • შრომითი რესურსების მომზადებისა და გადამზადების თანამედროვე სისტემის არარსებობა; • პროფესიული სასწავლებლების ნაკლებობა; • კვალიფიკაციური შრომითი რესურსების გადინება; • უმუშევრობის მაღალი დონე; • სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მაღალი ხვედრითი წილი. |
| O – შესაძლებლობები | T – საფრთხეები |
| <ul style="list-style-type: none"> • საუნივერსიტეტო ქალაქის ჩამოყალიბების პერსპექტივა; • უმაღლესი განათლების საერთაშორისო აკრედიტაციის მიღების პერსპექტივა; • უმაღლესი სასწავლებლების ბაზაზე ახალი მიმართულებების, მათ შორის, ტექნიკური განათლების განვითარების შესაძლებლობა; • საგანმანათლებლო, სახელოვნებო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების გაძლიერება; | <ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო სექტორიდან მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების შემდგომი გადინება; • კონკურენციის ზრდა სხვა ქალაქებში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან; • პერსპექტიული ახალგაზრდების გადინება ქალაქიდან. |

3. ქუთაისი – დასავლეთ საქართველოს სამედიცინო სერვისების ცენტრი

| S – ძლიერი მხარეები | W – სუსტი მხარეები |
|---|--|
| <ul style="list-style-type: none"> • ჯანდაცვის სფეროში ინვესტიციების მზარდი დინამიკა; • კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის არსებობა; • ადგილობრივ ბიუჯეტში მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამების არსებობა; • ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, • მოსახერხებელი ქალაქთან დამაკავშირებელი სატრანსპორტო კომუნიკაციების (საავტომობილო გზები, რკინიგზა, აეროპორტი) არსებობა; • კეთილსასურველი ბუნებრივ-კლიმატური პირობები; • საყოველთაო სახელმწიფო სადაზღვევო სისტემის არსებობა. | <ul style="list-style-type: none"> • სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მაღალი ხვედრითი წილი; • მოსახლეობის სამედიცინო და სამართლებრივი განათლების დაბალი დონე; • კვალიფიკაციური შრომითი რესურსების გადინება; • უმუშევრობის მაღალი დონე; • მოსახლეობის შემოსავლების დაბალი დონე; • დაზღვევის კულტურის უკმარისობა. |
| O – შესაძლებლობები | T – საფრთხეები |

| | |
|--|--|
| <ul style="list-style-type: none"> •სამედიცინო დაწესებულებების ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება; •სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის შემდგომი ზრდა; •სამედიცინო ტურიზმის განვითარების შესაძლებლობა; •ინვესტორთა დაინტერესების ზრდა ქალაქის მიმართ. | <ul style="list-style-type: none"> • ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი; • პოლიტიკური არასტაბილურობა; • სამედიცინო მომსახურების სფეროში არსებული მზარდი კონკურენცია (ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ); • სექტორიდან მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების შემდგომი გადინება. |
|--|--|

4. ქუთაისი – რეგიონის ტურისტული ჰაბი

| S – ძლიერი მხარეები | W – სუსტი მხარეები |
|---|---|
| <ul style="list-style-type: none"> • ქალაქის 3500-წლიანი ისტორია; • ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა • ეკონომიკური სტიმულირების სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამები; • განვითარებული სატრანსპორტო კომუნიკაციები; • იაფი ფრენები მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაში; • მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნებრივი, ისტორიული და კულტურული ძეგლები; • იაფი მუშახელი; • კონკურენტუნარიანი უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები; • საქართველოს პარლამენტისა და სამთავრობო სტრუქტურების რეგიონული წარმომადგენლობების არსებობა; • ცხოვრების სიიაფე. | <ul style="list-style-type: none"> • ფინანსური რესურსების სიმცირე; • გენერალური განვითარების გეგმის არქონა; • ქვეყნის არათანაბარი ურბანული განვითარება; • კვალიფიციური შრომითი რესურსების ნაკლებობა; • უმუშევრობის მაღალი დონე; • ორგანიზებული ტურისტული მარშუტების არასაკმარისი რაოდენობა, ხარისხიანი სერვისის ნაკლებობა; • მაღალი რანგის სასტუმროების სიმცირე; • ბიზნესის პასიურობა; • ქალაქის დაბალი ცნობადობა. |
| O – შესაძლებლობები | T – საფრთხეები |
| <ul style="list-style-type: none"> • ტრანზიტული ტურიზმის განვითარების შესაძლებლობა; • სხვადასხვა სფეროში „რეგიონული ცენტრის“ ფუნქციის დამკვიდრების შესაძლებლობა; • სასტუმრო ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივა; • ქალაქის ურბანული განვითარებისა და ტერიტორიული ზრდის შესაძლებლობა; • ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; • თანამედროვე სტანდარტების ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის შექმნა; • შიდა ტურიზმის განვითარება; • ტურიზმის თანამედროვე მიმართულებების განვითარება (ექსტრემალური, აგრო, საგანმანათლებლო, სამედიცინო, რელიგიური, აღმოჩენითი და ა.შ.). | <ul style="list-style-type: none"> • შიდა ეკონომიკური კრიზისი და პოლიტიკური არასტაბილურობა; • ქვეყნის საზღვრებს გარეთ პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება; • კონფლიქტურ ზონებში სიტუაციის გამწვავება. |

5. ქუთაისი – დასავლეთ საქართველოს ვაჭრობის და ლოჯისტიკის ცენტრი

| S – ძლიერი მხარეები | W – სუსტი მხარეები |
|---|--|
| <ul style="list-style-type: none"> • ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა; • ლიბერალური საგადასახადო სისტემა; • ბიზნესის რეგისტრაციის სიმარტივე; • ეკონომიკური სტიმულირების სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამები; • მუნიციპალური ქონების პრივატიზაციის მზარდი ტემპები; • განვითარებადი სატრანსპორტო კომუნიკაცია (საავტომობილო გზები, რკინიგზა, საჰაერო ტრანსპორტი); • მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების არეალში მდებარეობა; • იაფი მუშახელი; • თავისუფალი ინდუსტრიული ზონები; • საქართველოს პარლამენტისა და სამთავრობო სტრუქტურების რეგიონული წარმომადგენლობების არსებობა; • ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები. | <ul style="list-style-type: none"> • ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა; • ფინანსური რესურსების სიძვირე; • გენერალური განვითარების გეგმის არქონა; • ქვეყნის არათანაბარი ურბანული განვითარება; • უმუშევრობის მაღალი დონე; • ბიზნესის პასიურობა; • საზოგადოებრივი ტრანსპორტის ევროსტანდარტებთან შეუსაბამობა. |
| O – შესაძლებლობები | T – საფრთხეები |
| <ul style="list-style-type: none"> • ტექნოპარკების და ინდუსტრიული ზონების წარმოქმნისათვის შესაბამისი ბაზის არსებობა; • „აბრეშუმის გზის“ რესურსების გამოყენება; • სხვადასხვა სფეროში „რეგიონული ცენტრის“ ფუნქციის დამკვიდრების შესაძლებლობა; • ქალაქის ურბანული განვითარებისა და ტერიტორიული ზრდის შესაძლებლობა; • მუნიციპალური სერვისების განვითარება; • ცნობილი სავაჭრო ბრენდების შემოყვანის შესაძლებლობა; • თანამედროვე სტანდარტების ლოჯისტიკური ცენტრების შექმნის შესაძლებლობა; • გაუმართავი საქალაქო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია; • გარემოს დაცვის ხარისხის გაუმჯობესება. | <ul style="list-style-type: none"> • მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი; • ქვეყნის საზღვრებს გარეთ არსებული არასტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა; • კონფლიქტურ ზონებში სიტუაციის გამწვავება. |

6. ქუთაისი – მცირე ინდუსტრიების ცენტრი

| S – ძლიერი მხარეები | W – სუსტი მხარეები |
|---|---|
| <ul style="list-style-type: none"> • ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა; • ლიბერალური საგადასახადო სისტემა; • ბიზნესის რეგისტრაციის სიმარტივე; • ეკონომიკური სტიმულირების სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამები; • მუნიციპალიტეტის დამატებითი ქონების პრივატიზაციის მზარდი ტემპები; • განვითარებადი სატრანსპორტო კომუნიკაცია | <ul style="list-style-type: none"> • ფინანსური რესურსების სიძვირე; • ქალაქის გენერალური განვითარების გეგმის არქონა; • ქვეყნის არათანაბარი ურბანული განვითარება; • კვალიფიკაციური შრომითი რესურსების გადინება; • ინვესტიციების ნაკლებობა ქალაქში; |


| | |
|--|---|
| <p>(საავტომობილო გზები, რკინიგზა, საჰაერო ტრანსპორტი);</p> <ul style="list-style-type: none"> • მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების არეალში მდებარეობა; • იაფი მუშახელი; • თავისუფალი ინდუსტრიული ზონები. | <ul style="list-style-type: none"> • ბიზნეს-საკონსულტაციო ორგანიზაციების სიმცირე; • ბიზნესის პასიურობა. |
| O – შესაძლებლობები | T – საფრთხეები |
| <ul style="list-style-type: none"> • გადამამუშავებელი და ტრადიციული მსუბუქი მრეწველობის დარგების განვითარების პერსპექტივები; • ტექნოპარკების და ინდუსტრიული ზონების წარმოქმნისათვის შესაბამისი ბაზის არსებობა; • სხვადასხვა სფეროში „რეგიონული ცენტრის“ ფუნქციის დამკვიდრების შესაძლებლობა; • ქალაქის ურბანული განვითარებისა და ტერიტორიული ზრდის შესაძლებლობა; • მუნიციპალური სერვისების განვითარება; • დარგობრივი კვლევების განხორციელება და საინვესტიციო წინადადებების პაკეტების მომზადება; • ბიზნესისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა დაჩქარებული ტემპებით. | <ul style="list-style-type: none"> • შიდა ეკონომიკური კრიზისი; • ქვეყნის საზღვრებს გარეთ არსებული არასტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა; • კონფლიქტურ ზონებში სიტუაციის გამწვავება. |

7. ქუთაისი – დასავლეთ საქართველოს კულტურისა და სპორტის ცენტრი


| | |
|---|---|
| S – ძლიერი მხარეები | W – სუსტი მხარეები |
| <ul style="list-style-type: none"> • მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა და ტრადიციები; • მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენები; • მრავალფეროვანი შემოქმედებითი ჯგუფები; • სპორტსმენთა და ხელოვანთა სტიმულირების სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამები; • ახალგაზრდობის მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამები; • აქტიური და მოტივირებული ახალგაზრდები; • ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა; • ქალაქთან დამაკავშირებელი სატრანსპორტო კომუნიკაციები (საავტომობილო გზები, რკინიგზა, საჰაერო ტრანსპორტი); • კულტურისა და სპორტის ინფრასტრუქტურის არსებობა. | <ul style="list-style-type: none"> • უმუშევრობის მაღალი დონე; • სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მაღალი ხვედრითი წილი; • არათანამედროვე სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურა. |
| O – შესაძლებლობები | T – საფრთხეები |
| <ul style="list-style-type: none"> • კულტურისა და სპორტის ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება; • სახელოვნებო და სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების გაძლიერება; | <ul style="list-style-type: none"> • წარმატებულ სპორტსმენთა გადინება ქალაქიდან; • პერსპექტიული ახალგაზრდების გადინება ქალაქიდან. |

• კულტურის და სპორტის სფეროს განვითარების სახელმწიფო და საერთაშორისო პროექტები.

სურათი 52. ქუთაისის SWOT ანალიზი




სურათი 53. ქუთაისი დასავლეთ საქართველოში, SWOT ანალიზი



- | | | | |
|---|-----------------------------|---|--------------------------|
|  | დემოგრაფია |  | ინსტიტუციონალური გარემო |
|  | ტექნიკური ინფრასტრუქტურა |  | ფინანსები |
|  | ბიზნესის კეთების ღირებულება |  | განათლების სისტემა |
|  | სამუშაო ძალა |  | სოციალური ინფრასტრუქტურა |
|  | საცხოვრებელი გარემო |  | კომუნიკაციები |
|  | თანამშრომლობა |  | საჯარო სერვისები |

სურათი 54. ქუთაისის, რუსთავისა და ბათუმის SWOT-ების შედარებითი ანალიზი



შენიშვნა

- - სამუშაო ძალა
- ▲ - ბიზნესგარემო
- ⬡ - განათლების სისტემა
- ◆ - ინფრასტრუქტურა
- ▴ - ცხოვრების დონე
- ★ - ქალაქის საერთაშორისო იმიჯი

მწვანე ფერი – ქუთაისი
 ლურჯი ფერი – ბათუმი
 წითელი ფერი – რუსთავი

თავი IV. ძირითადი გამოწვევები

ძირითადი გამოწვევები მოიცავს პრობლემურ სფეროებს და საკითხებს, რომლებიც უნდა გადაიჭრას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ქალაქის ახალი ძალით განვითარება. გამოწვევები ჩამოყალიბდა ქუთაისში და მის გარშემო არსებული ვითარების ანალიზიდან გაკეთებული დასკვნების საფუძველზე. ძირითადი გამოწვევების იდენტიფიცირებისათვის გამოყენებული იყო არსებული მდგომარეობის 2021 წელს სასურველ მდგომარეობასთან შედარების მეთოდი. გამოწვევების საფუძველზე განისაზღვრა სტრატეგიული მიზნები.

გამოწვევა 1. ქალაქის მოსახლეობის შემცირების შეჩერება

| 2016 | 2021 |
|--|--|
| არახელსაყრელი დემოგრაფიული მდგომარეობა | დემოგრაფიული მდგომარეობის სტაბილიზაცია |

გამოწვევა მდგომარეობს არახელსაყრელი დემოგრაფიული ტენდენციების მიზეზების გარკვევაში. ქვეყნის მასშტაბით უმუშევრობის დონის მაღალი მაჩვენებელი და სოციალური ფონი განაპირობებს ურბანიზაციის მიმართ მგრძნობიარე რისკ-ფაქტორების შექმნას. შობადობის კოეფიციენტზე დადებითი გავლენის მოსახდენად გასატარებელია ოჯახზე ორიენტირებული ღონისძიებები საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად; მიგრაციის უარყოფითი სალდოს შესამცირებლად გასატარებელია სხვადასხვა ღონისძიება და აუცილებელია ზრუნვა მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე.

გამოწვევა 2. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საცხოვრებელი პირობების შექმნა

| 2016 | 2021 |
|--|--|
| ცხოვრების ხარისხის შეუსაბამობა ევროპულ სტანდარტებთან | გაუმჯობესებული საჯარო სივრცეები, კომუნალური სერვისები და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები |

ყველა მნიშვნელოვანი მიზნის მიღწევა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საცხოვრებელი პირობების არსებობასთან არის დაკავშირებული. ის არის გადამწყვეტი დემოგრაფიის, სამუშაო ძალის, ბიზნესის განვითარების, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის და სხვა საკითხებისათვის. გაუმჯობესება ეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა საჯარო სივრცეები, საბინაო საკითხები, მუნიციპალური სერვისები და ა.შ.

გამოწვევა 3. საგანმანათლებლო პროგრამების კონკურენტუნარიანობის გაზრდა

| 2016 | 2021 |
|--|---|
| საგანმანათლებლო ცენტრი დასავლეთ საქართველოში | მდგრადი რეგიონული მნიშვნელობის სასწავლო, საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი |

საქართველოსთვის მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ცენტრის რანგში ქუთაისი იქცევა პროფესორებისა და სტუდენტების სამეცნიერო კვლევების ადგილად. ქუთაისს შესწევს ძალა ჩამოყალიბდეს ტექნოლოგიური კვლევებისა და სწავლების ერთ-ერთ საყრდენ პლაცდარმად რეგიონში. გაიზრდება დასავლეთ საქართველოსთვის მნიშვნელოვანი სასწავლო პროგრამების რაოდენობა პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში. ქუთაისის უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლის მეტი უცხოელი სტუდენტი. მაღალი იქნება უმაღლეს სასწავლებლებში მოხვედრილი ქუთაისის საშულო სკოლადამთავრებულთა რაოდენობა.

გამოწვევა 4. რეგიონული კულტურული და სპორტული პროდუქტების შექმნა

| 2016 | 2021 |
|---|--|
| ქალაქი მდიდარი კულტურული და სპორტული ტრადიციებითა და არათანამედროვე ინფრასტრუქტურით | კულტურული და სპორტული მიღწევებითა და ინფრასტრუქტურით ცნობილი ქალაქი, რომელიც თავის მომსახურებას სთავაზობს არამხოლოდ რეგიონის მოსახლეობას |

მნიშვნელოვანია ქალაქი იყოს შემოქმედებითი აქტივობის ადგილი რეგიონში. საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზება ქუთაისში გაზრდის ქალაქის, როგორც კულტურული და სპორტული ცენტრის, პრესტიჟს. საერთაშორისო აქტივობებთან ერთად მნიშვნელოვანია ადგილობრივი შესაძლებლობების უნიკალურობის წარმოჩენა. რეგიონის მოსახლეობას უნდა ჰქონდეს ინფორმაცია მათი მუნიციპალიტეტისაგან განსხვავებით რა განსაკუთრებული სერვისების მიღება შეიძლება ქუთაისში.

გამოწვევა 5. რეგიონის მომსახურე სამედიცინო და გამაჯანსაღებელი სერვისების გაუმჯობესება

| 2016 | 2021 |
|--|--|
| მრავალფეროვანი სამედიცინო ინფრასტრუქტურა | მრავალფეროვანი სამედიცინო და გამაჯანსაღებელი დაწესებულებები, რომლებიც რეგიონს სთავაზობენ სრულ მომსახურებას |

მაცხოვრებელთა ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ან გასაუმჯობესებლად სამედიცინო მომსახურებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურისა და სერვისების არსებობასთან ერთად, ჯანსაღი ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად საჭიროა შესაბამისი სერვისების არსებობა.

ამასთან, რეგიონის მოსახლეობა ინფორმირებული უნდა იყოს მათი მუნიციპალიტეტისაგან განსხვავებით რა განსაკუთრებული სამედიცინო და გამაჯანსაღებელი სერვისების მიღება შეუძლიათ ქუთაისში, ხოლო სურვილის შემთხვევაში უნდა ჰქონდეთ წვდომა ამ სერვისებთან და ინფრასტრუქტურასთან.

გამოწვევა 6. ტურისტული შესაძლებლობების გამოყენება და სავაჭრო კავშირების გაძლიერება

| | |
|--|---|
| 2016 | 2021 |
| ტურისტული ჰაზის გამოყენებელი პოტენციალი და ბრენდების განთავსების შესაძლებლობა რეგიონისთვის | ქალაქი მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტებითა და სერვისებით, ცნობილი სავაჭრო ბრენდებით |

დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტმა და საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებამ გაზარდა ვიზიტორების რაოდენობა ქუთაისში, თუმცა ტურისტული პოტენციალის სრულად გამოსაყენებლად საჭიროა ტურისტული პროდუქტების გამრავალფეროვნება, განთავსების ადგილების ბაზის გაუმჯობესება, ფრენებისა და რკინიგზის საშუალებით ქალაქთან წვდომის გაზრდა.

გასულ საუკუნეში ქუთაისის სავაჭრო ცენტრებიდან და ბაზებიდან მარაგდებოდნენ რეგიონის საწარმოები და დასახლებული პუნქტები. ხანგრძლივი შუალედის შემდეგ ხდება ამ კავშირების აღდგენა. საჭიროა ამ პროცესის გაგრძელება. რეგიონული სავაჭრო კავშირები, თავისუფალი ზონების არსებობა, მნიშვნელოვან საერთაშორისო და ეროვნულ სატრანსპორტო კომუნიკაციებთან ახლო მდებარეობა, ყოფილი სამრეწველო ტერიტორიები ქალაქში და მის გარშემო, ქმნის ლოჯისტიკური ცენტრის განვითარების შესაძლებლობას.

გამოწვევა 7. ქუთაისი – ქალაქი ბიზნესის, არამომგებიანი ორგანიზაციების, შემოქმედებითი და აქტიური ადამიანებისათვის

| | |
|---|--|
| 2016 | 2021 |
| ქვეყნის ერთ-ერთი ეკონომიკური ცენტრი ყოფილი საწარმოო ტერიტორიების და დაბალი დამატებითი ღირებულების შემქმნელი საწარმოების დიდი წილით ეკონომიკაში; ქალაქი მეწარმეობის მსურველი და შემოქმედებითი ადამიანების პოტენციალი | ქალაქი ხელშემწყობი პირობებით მეწარმეების, შემოქმედებითი ინდუსტრიებისა და არამომგებიანი ორგანიზაციებისათვის; მაღალი დამატებული ღირებულების შემქმნელი საწარმოების საქმიანობის ადგილი |

ქუთაისში მოქმედი საწარმოები და ორგანიზაციები შეზღუდული არიან განვითარებაში, ხოლო საქმიანობის დაწყების მსურველები მოკლებული არიან პირობებს. ქალაქში უნდა არსებობდეს მათი განვითარებისა და გეოგრაფიული მდებარეობის გამოყენების შესაძლებლობა, შესაქმნელია ინვესტორებისადმი კეთილგანწყობილი გარემო.

გამოწვევა 8. ქალაქის და მისი სივრცეების მართვის გაუმჯობესება

| | |
|-------------------------|-------------------------------|
| 2016 | 2021 |
| ქალაქის სივრცის მართვის | ქალაქი ვითარდება დამტკიცებული |

სრულყოფილი გეგმები არ არსებობს, არ ხდება უბნების ოპტიმალურად განვითარება. საზოგადოების მონაწილეობას ქალაქის მართვაში არ აქვს ინსტიტუციონალური ხასიათი

გეგმების მიხედვით. საზოგადოება ჩართულია გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების პროცესში

ქალაქის უნიკალური ტერიტორიების დიდი ნაწილი (მწვანე სივრცეები, ისტორიული ნაწილი და ა.შ.) და შენობები არაადეკვატურად არის გამოყენებული. ყოფილი საწარმოო ტერიტორიები არ არის ინტეგრირებული ქალაქის განვითარებაში. გასაუმჯობესებელია მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები. მეწარმეებს წარმატებისათვის სჭირდებათ უკეთესი გარემო და ადმინისტრაციულ სერვისები. ქალაქის, მისი სივრცისა და ქონების თანამედროვე მენეჯმენტი ხელს შეუწყობს ქუთაისის მიმზიდველობის გაზრდას და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

გამოწვევა 9. საქართველოს მუნიციპალიტეტებთან ერთად საერთო პროდუქტებისა და სერვისების მომზადება

2016

2021

დაწყებულია მოლაპარაკება დასავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობაზე. დაწყებულია ურთიერთობა სხვა ქვეყნების მუნიციპალიტეტებთან

საქართველოს მუნიციპალიტეტებთან ერთად მზადდება ერთობლივი სერვისები და პროდუქტები მოსახლეობისა და ბიზნესისათვის. თანამშრომლობა უცხოურ მუნიციპალიტეტებთან გადაზრდილია ერთობლივი პროექტების განხორციელებაში

ქალაქის განვითარებისათვის საჭირო რესურსების არსებობა ქუთაისის გარშემო და მიმდებარე დასახლებების დამოკიდებულება ქუთაისზე რამდენიმე ასწლეულის ტენდენციაა. ქუთაისის თანამშრომლობა დასავლეთ საქართველოს დიდ მუნიციპალიტეტებთან გამოიწვევს დასავლეთ საქართველოს მთელი ტერიტორიის ეფექტიან მართვას და მომსახურების გაუმჯობესებას ყველასათვის. ეს გაზრდის რეგიონის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო მასშტაბით და ინტერესს ქუთაისისადმი საერთაშორისო დონეზე. თანამშრომლობას და ინტეგრაციას ხელს შეუწყობს რეგიონის ფარგლებში ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემის არსებობა. ქუთაისი დაიწყებს თავისი ნიშის მოპოვებას კავკასიაში და საერთაშორისო ფუნქციების განსაზღვრას.

თავი V. ქალაქის ხედვა და მისია

ქუთაისის სტრატეგია ეფუძნება ქალაქად ოქროს საწმისის ეპოქამდე არსებობის 3500-წლიან ტრადიციას და დასავლეთ საქართველოს მთავარ ქალაქად ყოფნის ათასწლოვან გამოცდილებას. დღეს ქუთაისი საქართველოს ყველაზე მრავალრიცხოვანი მხარის – იმერეთის ადმინისტრაციული ცენტრია, მას გააჩნია სწრაფი ზრდის და ისტორიული ფუნქციის დაბრუნების პოტენციალი. ქუთაისი 2021 წელს იქნება:

თვითმყოფადი უბნების, გადაადგილების საშუალებებში არჩევანის, ფეხით სასიარულო ადგილების, მწვანე და მდგრადი განვითარების პრაქტიკის, ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის გაზიარების შესაძლებლობების, სხვადასხვა ეკონომიკური აქტივობებისთვის სივრცეების მქონე ქალაქი, რომელიც მომსახურებას უწევს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას, სტუმრებს, ბიზნესსა და სამოქალაქო საზოგადოებას;

მაღალი დამატებული ღირებულების შემქმნელი ბიზნესების მზარდი ცენტრი, სახელმწიფო სექტორზე ნაკლებად დამოკიდებული ეკონომიკით, რომელიც ვითარდება განათლების სექტორისა და მრავალფეროვანი კულტურული შესაძლებლობების საფუძველზე;

დასავლეთ საქართველოს ლიდერი ქალაქი განვითარებული რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო სატრანსპორტო კვანძებით, რომელიც იზიდავს რეგიონული მნიშვნელობის ბიზნესებსა და სერვისებს, მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილებს.

რეგიონისთვის დასვენების, სპორტული და სამედიცინო ფუნქციის ქალაქი, აქტიური თანამშრომლობით საქართველოს მუნიციპალიტეტებთან და ინტენსიური კავშირებით უცხოელ პარტნიორებთან.

სტრატეგიის განხორციელებაში ქუთაისის ხელისუფლება თავის მისიას ხედავს საუკეთესო პრაქტიკის, სამართლიანობისა და გამჭვირვალების პრინციპების გამოყენებით ქუთაისის მაცხოვრებლების, ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების მომსახურებაში, ქალაქის მეწარმეობისა და ინვესტირებისთვის მიმზიდველ ადგილად ქცევაში, საქართველოსა და საერთაშორისო დონეზე მისი პოზიციების გაძლიერებაში; თავის გადაწყვეტილებებში ის იქნება მომხმარებლებზე ორიენტირებული, თანმიმდევრული და ინოვაციური; გადაწყვეტილებები მიღებული იქნება ქუთაისელებთან ერთად და მათი ინტერესების გათვალისწინებით; გადაწყვეტილებების დროს რისკები იქნება მინიმუმამდე შემცირებული, მიღების პროცესი კი სწრაფი.

სტრატეგიის განხორციელების შედეგად ქუთაისი იქნება:

- რეგიონული მნიშვნელობის ცოდნის, მედიცინის, კულტურისა და სპორტის ქალაქი, თავისი იდენტობით, ამაყი და აქტიური მაცხოვრებლებით;
- ქალაქი, რომლიც სარგებელს ნახულობს თავისი გეოგრაფიული მდებარეობით და მხარს უჭერს ადგილობრივ და მაღალი დამატებული ღირებულების შემქმნელ ბიზნესს;
- დასავლეთ საქართველოს ხარისხიანი სერვისებით უზრუნველყოფი ქალაქი.

თავი VI. სტრატეგიული მიმართულებები და მიზნები

ქუთაისის განვითარების სტრატეგია „ქუთაისი 2021“, ქალაქის ცხოვრებისთვის ყველა მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს. არსებული მდგომარეობის ანალიზი აჩვენებს, რომ ქალაქის ხელისუფლება, ცენტრალური ხელისუფლება, ბიზნესი, არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოება ერთად ცდილობენ არსებული პრობლემების გადაწყვეტას. თუმცა არსებული გამოწვევები გვიჩვენებს, რომ კიდევ ბევრი საკითხია გადასაწყვეტი. ამისთვის, „ქუთაისი 2021“ შვიდ სტრატეგიულ მიზანს და 10 პროგრამას მოიცავს, ხოლო გამოწვევების მართვის გასამარტივებლად, ისინი 4 სტრატეგიულ მიმართულებად არის დაყოფილი. დასახული მიზნების მიღწევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება, ბიზნესი და საზოგადოება ერთად იმუშავებს სტრატეგიის განხორციელებაზე.

სტრატეგიული მიზანი 1. დასავლეთ საქართველოს ლიდერი ქალაქის ფუნქციის გაძლიერება

ქუთაისი ტრადიციულად არის რეგიონის მთავარი ქალაქი. მის გარშემო მდებარე დასახლებები ეკონომიკურად დამოკიდებულნი არიან ქუთაისზე. აქ სერვისების მისაღებად ჩამოდიან დასავლეთ საქართველოს რეგიონებიდან; თავის მხრივ, ქუთაისიც ღებულობს სარგებელს რეგიონებიდან და თვითონაც დამოკიდებულია მათზე. ქვეყანაში მიმდინარე ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა და დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტმა კიდევ უფრო დააახლოვა ქუთაისი საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებსა და დანარჩენ სამყაროს. თუმცა, ბიზნესისა და რეგიონის მოსახლეობისთვის ქუთაისი ზოგიერთი სერვისისთვის ჯერ კიდევ ვერ იქცა თბილისის, ან სხვა დიდი ქალაქების ალტერნატივა.

სტრატეგია ითვალისწინებს ქუთაისის – რეგიონის ლიდერი ქალაქის ფუნქციის განვითარებას. ლიდერობა ქუთაისისთვის ნიშნავს ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობას რეგიონის მუნიციპალიტეტებთან და მიღებული შედეგების გაზიარებას პარტნიორი მუნიციპალიტეტებისთვის. ასეთი თანამშრომლობა ხელს შეუწყობს დასავლეთ საქართველოს წარმატებულ ეკონომიკურ რეგიონად ჩამოყალიბებას და მუნიციპალიტეტებს შორის უთანასწორობის შემცირებას, რისთვისაც საჭირო იქნება სტრატეგიის განხორციელების შედეგად შექმნილ შესაძლებლობებთან ადამიანების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

მიზნის მისაღწევად:

- გაძლიერდება ურთიერთობები დასავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტებთან;
- ქუთაისი გახდება თბილისის დასაყრდენი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაძლიერებაში;
- დაიწყება თანამშრომლობა კავკასიის მნიშვნელოვან ქალაქებთან, რათა გაირკვეს რა სფეროში შეიძლება მათთან თანამშრომლობა;

- მოხდება ქუთაისის, როგორც დასავლეთ საქართველოს ლიდერი ქალაქის პრომოუშენი.

სტრატეგიული მიზანი 2. ქალაქის ეკონომიკის განახლება და საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდა.

განახლებული ეკონომიკით ქუთაისი იქნება კონკურენტუნარიანი ქალაქი სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს საქართველოს განვითარებაში, ხოლო მისი განვითარება მხარდაჭერილია ქვეყნის ხელისუფლების მიერ. გაგრძელდება წარმატებული ტრადიციული ეკონომიკის დარგების მხარდაჭერა, ასევე უზრუნველყოფილი იქნება იმ დარგების ხელშეწყობა, რომელთაც შეუძლიათ წვლილი შეიტანონ ქუთაისის კონკურენტუნარიანობის გაზრდაში და შექმნან ადგილობრივი მოსახლეობის კვალიფიკაციის ადეკვატური სამუშაო ადგილები. ქუთაისში იარსებებს სივრცე, სერვისები ბიზნესის დამწყებთა ან განვითარების მსურველთა მხარდასაჭერად. ქალაქის ყველა ნაწილი იქნება ეკონომიკურად აქტიური. ადამიანები, რომლებმაც დაკარგეს სამუშაო, მიიღებენ მხარდაჭერას სამუშაო ბაზარზე დასაბრუნებლად და ეკონომიკური განვითარებიდან სარგებლის მიღებაში. მხარდაჭერილი იქნება არამომგებიანი ორგანიზაციებს განვითარება, რომელთაც შეუძლიათ მომსახურება მიაწოდონ ადგილობრივ საზოგადოებას.

მიზნის მისაღწევად:

- იარსებებს ადამიანების, პროდუქციისა და იდეების დამაკავშირებელი სისტემა;
- დაიწყება საერთაშორისო იმიჯის გაუმჯობესების გეგმის განხორციელება;
- შეიქმნება გადამზდებისა და კვალიფიკაციის ამალგების სისტემა;
- იმოქმედებს ინვესტორთა მომსახურების სისტემა;
- გაუმჯობესდება რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო სატრანსპორტო კავშირები.

სტრატეგიული მიზანი 3. ქალაქის, როგორც განათლების რეგიონული ცენტრის მნიშვნელობის გაზრდა

მრავალწლიანი აკადემიური ტრადიციების და სამეცნიერო პოტენციალის მქონე ქალაქი ცდილობს გააძლიეროს რეგიონული მნიშვნელობის საგანმანათლებლო ცენტრის პოზიციები. ამ მიზნის მისაღწევად საჭირო იქნება ხელისუფლებისა და ბიზნესის თანამშრომლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ასევე, მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო პერსონალის მოზიდვა ქალაქში.

მიზნის მისაღწევად:

- შეიქმნება თანამედროვე საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა ქალაქში;
- გაიზრდება ქალაქის სახელოვნებო და უმაღლესი განათლების სასწავლებლებში პროფესიისა და განათლების მიმღებთა რაოდენობა;
- ხელი შეეწყობა ქალაქში კვალიფიკაციის ამაღლების და უნარების გაუმჯობესების სისტემის შექმნას რეგიონისათვის;
- ჩამოყალიბდება ტალანტების გაზრდის, განვითარებისა და შენარჩუნების სისტემა

სტრატეგიული მიზანი 4. ქალაქის, როგორც კულტურის და სპორტის რეგიონული ცენტრის მნიშვნელობის გაზრდა

ქუთაისი ცნობილია თვითმყოფადი კულტურით და კულტურის სფეროში აქტიურად მოღვაწე მოსახლეობით. ამავ დროს, ქალაქის კულტურული პოტენციალი ბოლომდე გამოყენებული არ არის. რეგიონული მასშტაბის კულტურის ცენტრად გასახდომად და საერთაშორისო დონეზე ცნობადობის მოსაპოვებლად ქალაქი შექმნის საერთაშორისო დონის კულტურულ პროდუქტებს, მსურველებს მისცემს განვითარების და კულტურის სფეროში საქმიანობის საშუალებას. ახალი და არსებული ინფრასტრუქტურა განვითარდება ქალაქის საჭიროების, ოპერირებისათვის ფინანსების არსებობისა და მართვის შესაძლებლობის შესაბამისად.

ქალაქი აპირებს შეინარჩუნოს სპორტული ტრადიციები და გახდეს სპორტული უნარების მქონე ადამიანების, საერთაშორისო მნიშვნელობის სპორტული ღონისძიებების ადგილი.

მიზნის მისაღწევად:

- ყველასთვის შეიქმნება კულტურის სფეროში საქმიანობის შესაძლებლობა;
- ხელის შეეწყობა საერთაშორისო კულტურული ღონისძიებების ჩატარებას ქალაქ ქუთაისში;
- კულტურული ღონისძიებების მნახველებისთვის გაიზრდება არჩევანი და ჩატარებული ღონისძიებების ცნობადობა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე;
- გაიზრდება ქალაქში ჩატარებული საერთაშორისო მნიშვნელობის სპორტული ღონისძიებების მონაწილეთა და დამსწრეთა რაოდენობა.

სტრატეგიული მიზანი 5. ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და რეგიონული სამედიცინო მომსახურების განვითარება

ქალაქში იქნება ხელმისაწვდომი შესაძლებლობები, ჯანსაღი ცხოვრების წესით დაკავდეს ყველა, ვინც ცხოვრობს, სტუმრადაა, თუ მუშაობს ქუთაისში. გაუმჯობესდება პირობები სრულფასოვანი და ნაყოფიერი ცხოვრებისთვის; შემცირდება განსხვავება ქალაქის სხვადასხვა უბნებს, ქალაქსა და დანარჩენ საქართველოს, საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის. უკეთესი ხარისხის სამედიცინო და სოციალური სერვისი მიეწოდება ყველა ქუთაისელს, ვისაც ის დასჭირდება.

მიზნის მისაღწევად:

- დავრწმუნდებით, რომ სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური პირობები ხელს უწყობენ ჯანსაღი და პოზიტიური საზოგადოების არსებობას;
- შეიქმნება მოსახლეობის ჯანმრთელობის აღდგენისა და შენარჩუნებისთვის საჭირო პირობები;
- გავაფართოვებთ გაჯანსაღებისა და დასვენებისათვის გარემოს გამოყენების შესაძლებლობას, მხარს დავუჭერთ შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- შევქმნით პირობებს მაღალი ხარისხის, გრძელვადიანი და ხელმისაწვდომი სერვისების უზრუნველსაყოფად მათთვის, ვისაც ისინი სჭირდებათ ბინაზე, სამკურნალო ცენტრებსა და საავადმყოფოებში;
- შევამცირებთ ბარიერებს, რათა ნებისმიერი მსურველი აქტიურად იყოს ჩართული საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში.

სტრატეგიული მიზანი 6. რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო ჰაბის ფუნქციის გაძლიერება

თავისი მდებარეობისა და უკვე განხორციელებული ინვესტიციების გამო, ქუთაისს აქვს შესაძლებლობა გახდეს რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო ტურისტული, სავაჭრო და სატრანსპორტო ჰაბი. ქუთაისი გააგრძელებს პროექტების განხორციელებას და ინვესტიციების მოზიდვას ამ მიმართულებით. ინვესტიციები გააფართოებენ შრომის ბაზარს და საშუალებას მისცემენ ბიზნესს შეამცირონ დანახარჯები ადამიანებისა და ტვირთების უფრო სწრაფად და მარტივად გადაადგილებით.

მიზნის მისაღწევად:

- გაუმჯობესდება რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო სატრანსპორტო კავშირები;
- გააქტიურდება მუშაობა საჰაერო და სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარებაზე პასუხისმგებელ ინსტიტუტებთან, რათა ბიზნესმა და ადამიანებმა ისარგებლონ გაუმჯობესებული სატრანსპორტო კავშირებით;

- გაიზრდება ქუთაისის, როგორც ტურისტული ჰაბის და სავაჭრო ცენტრის მნიშვნელობა.

სტრატეგიული მიზანი 7. თვითმყოფადი ქალაქი მდგრადი გარემოთი

ქუთაისი განაგრძობს გამორჩეული მკაფიოდ გამოკვეთილი ინდივიდუალობის შესანარჩუნებლად მიმართულ ქმედებებს. ჩამოყალიბდება გარემო, სადაც ადამიანები სიამოვნებას დეზულობენ ქალაქში ცხოვრებითა და შეუფერხებლად სარგებლობენ მათთვის შექმნილი შესაძლებლობებით. მუნიციპალიტეტში იარსებებს უსაფრთხო, გარემოზე ნაკლები ზემოქმედების მომხდენი და ეფექტური სატრანსპორტო სისტემა. ადამიანები დროულად მოხვდებიან სამსახურში და ექნებათ წვდომა სოციალური, კულტურული და განათლებასთან დაკავშირებული აქტივობებისადმი. საქმიანი წრეები სწრაფად და ნაკლები დანახარჯებით გაუკეთებენ თავიანთ პროდუქტებს ტრანსპორტირებას. ქუთაისი დაიწყებს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას მწვანე საფარის გაზრდისა და ნარჩენების მენეჯმენტის გაუმჯობესების ხარჯზე.

მიზნის მისაღწევად:

- რეგენერაცია ჩაუტარდება უბნებს და უკეთესი გახდება საცხოვრებელი გარემო;
- მომსახურება გაუმჯობესდება თითოეულ უბანში;
- გამოიკვეთება და გაძლიერდება თითოეული უბნის თავისებურება;
- შემცირდება სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური დისკრიმინაცია;
- ადგილობრივი მოსახლეობა და ბიზნესი ჩაერთვება გარემოს გაუმჯობესებაში;
- უკეთესი გარემო შეიქმნება ბავშვებისა და ხანშიშესულებისათვის;
- ქალაქისთვის შეიქმნება თანამედროვე სატრანსპორტო მოდელი;
- შემცირდება მგზავრობის საჭიროება და გაუმჯობესდება მოძრაობის კულტურა.

ქალაქის ხელისუფლება სტრატეგიის განხორციელებაზე პასუხისმგებელი მთავარი ინსტიტუტია. თავისი მოქმედებით ის იქნება მაგალითის მიმცემი სხვებისთვის. სტრატეგიის განხორციელების სირთულეები ძირითადად დაკავშირებულია ფინანსური რესურსების უკმარისობასთან ქალაქის ბიუჯეტში, ბიუჯეტის გარედან დაფინანსების მიღების პრობლემასთან, პროგრამების განსახორციელებლად პარტნიორებთან სათანამშრომლოდ არსებულ იურიდიულ ბარიერებთან და პარტნიორების თანამშრომლობის არასაკმარის ნებასთან. იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს სტრატეგიის განხორციელება:

- წახალისდება და მხარდაჭერილი იქნება საზოგადოებისა და ბიზნესის მონაწილეობა სტრატეგიის განხორციელებასა და შედეგების შეფასებაში;
- ყველასათვის ხელმისაწვდომი იქნება ინფორმაცია და მონაცემები ქუთაისის შესახებ;
- მოხდება ფონდებისა და რესურსების ფოკუსირება ქალაქისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობები.

ცხრილი 15. გამოწვევების, სტრატეგიული მიმართულებების, მიზნებისა და პროგრამების სტრუქტურა

| სტრატეგიული მიმართულებები | | | |
|--|------------------------------|----------------------|-----------------------------|
| ცხოვრების ხარისხი | განახლებული ეკონომიკა | თანამშრომლობა | ეფექტური მმართველობა |
| ძირითადი გამოწვევები | | | |
| <ol style="list-style-type: none"> 1. ქალაქის მოსახლეობის შემცირების შეჩერება; 2. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საცხოვრებელი პირობების შექმნა; 3. საგანმანათლებლო პროგრამების კონკურენტუნარიანობის გაზრდა; 4. რეგიონული კულტურული და სპორტული პროდუქტების შექმნა; 5. რეგიონის მომსახურე სამედიცინო და გამაჯანსაღებელი სერვისების გაუმჯობესება; 6. ტურისტული შესაძლებლობების გამოყენება და სავაჭრო კავშირების გაძლიერება; 7. ქუთაისი – ქალაქი ბიზნესის, არამომგებიანი ორგანიზაციების, შემოქმედებითი და აქტიური ადამიანებისათვის; 8. ქალაქის და მისი სივრცეების მართვის გაუმჯობესება; 9. საქართველოს მუნიციპალიტეტებთან ერთად საერთო პროდუქტებისა და სერვისების მომზადება. | | | |
| სტრატეგიული მიზნები | | | |
| <ol style="list-style-type: none"> 1. დასავლეთ საქართველოს ლიდერი ქალაქის ფუნქციის გაძლიერება; 2. ქალაქის ეკონომიკის განახლება და საინვესტიციო მიზიდველობის გაზრდა; 3. ქალაქის, როგორც განათლების რეგიონული ცენტრის მნიშვნელობის გაზრდა; 4. ქალაქის, როგორც კულტურის და სპორტის რეგიონული ცენტრის მნიშვნელობის გაზრდა; 5. ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და რეგიონული სამედიცინო მომსახურების განვითარება; 6. რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო ჰაბის ფუნქციის გაძლიერება; 7. თვითმყოფადი ქალაქი მდგრადი გარემოთი. | | | |
| სტრატეგიული პროგრამები | | | |
| <ol style="list-style-type: none"> 1. ვიცხოვროთ ქუთაისში; 2. ქუთაისი – განათლებისა და ცოდნის ქალაქი; 3. ქუთაისი – კულტურის ქალაქი; 4. სპორტული ქუთაისი; 5. ქუთაისი თქვენი ბიზნესის ადგილი; 6. ქუთაისი – ტურისტთა ქალაქი; 7. ქალაქი მდინარის პირას; 8. განახლებული ქალაქი; 9. ერთად განვითარდეთ; 10. ვენდობით ერთმანეთს. | | | |

სამივე სტრატეგიული დონე შეიძლება ჩაითვალოს დასახული ხედვის და მისიის შესრულებაზე მიმართულ ქვესტრატეგიებად. თითოეული მათგანი დაკავშირებულია ადამიანის, ეკონომიკისა და გარემოს მდგრად განვითარებასთან, ან კიდევ ქალაქის სოციალურ-ეკონომიკურ და ფუნქციურ-სივრცით განვითარებასთან. ამასთან, სტრატეგიული მიზნები და პროგრამები ხორციელდება ოთხი მიმართულებით.

ცხრილი 16. სტრატეგიული მიმართულებების, სტრატეგიული მიზნებისა და სტრატეგიული პროგრამების ურთიერთკავშირი

| სტრატეგიული მიმართულება | | | |
|--|--------------------------------------|---|------------------------------|
| ცხოვრების ხარისხი | განახლებული ეკონომიკა | თანამშრომლობა | ეფექტური მმართველობა |
| სტრატეგიული მიზნები: 2, 3, 4, 5, 7 | სტრატეგიული მიზნები 2, 5, 6 | სტრატეგიული მიზნები 1, 6 | სტრატეგიული მიზნები 7 |
| სტრატეგიული პროგრამები 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8 | სტრატეგიული პროგრამები 5, 6, 7, 8 | სტრატეგიული პროგრამები 2, 3, 4, 5, 6, 7, 9 | სტრატეგიული პროგრამები 10 |

საჯარო დისკუსიების შედეგად სტრატეგიის განსახორციელებლად 10 სტრატეგიული პროგრამა გამოიკვეთა. მათი მომზადებისას გათვალისწინებული იყო ქუთაისის მოსახლეობის და სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფის მოსაზრებები. ცენტრალური ხელისუფლება, ბიზნესი, არასამთავრობო ორგანიზაციები და მთლიანად საზოგადოება, თავიანთ გეგმებსა და პროგრამებში სტრატეგიის მიზნებისა და მიმართულებების გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად შეუწყობენ ხელს ქალაქსა და რეგიონში ცხოვრების პირობებისა და ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას.

შერჩეული პროგრამები ქუთაისის განვითარების სტრატეგიის გარდა, კავშირში არიან საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ, ან მისი მონაწილეობით მომზადებულ ეროვნულ და რეგიონულ დონეზე განვითარებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებთან: საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“, საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგია 2010-2017, საქართველოს ურბანული სტრატეგია 2015, საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025 და იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021.

„ქუთაისი 2021“-ის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტი უახლოეს მომავალში შეიმუშავებს ქუთაისის სივრცითი განვითარების გეგმას და სხვადასხვა სექტორის განვითარების გეგმებს. სტრატეგიული პროგრამების განსახორციელებლად საჭირო პროექტები და ღონისძიებები 2017 წლიდან გათვალისწინებული იქნება ქუთაისის მუნიციპალიტეტის პროგრამულ ბიუჯეტში და ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტში.

თავი VII. სტრატეგიული პროგრამები

ვიცხოვროთ ქუთაისში

პროგრამის ამოცანები

- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საბინაო ფონდის განვითარებისათვის პირობების შექმნა;
- საცხოვრებელ ფართებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა უმაღლესი სასწავლებლების წარმატებული სტუდენტებისათვის;
- საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
- ქუთაისისთვის ძვირფასი ადგილების მიმზიდველობის გაზრდა და მათი წარმოჩენა;
- ენერჯის წყაროების დივერსიფიკაცია;
- გარემოს დაცვის საკითხების გადაწყვეტა;
- ჯანსაღი ცხოვრების პირობების უზრუნველყოფისათვის საჭირო ინფრასტრუქტურისა და პირობების შექმნა;
- მდგრადი ტრანსპორტის უზრუნველყოფა;
- მაცხოვრებლების სოციალური პრობლემებისადმი მგრძობიარე ქალაქი;
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების და ხანში შესული მაცხოვრებლების დამოუკიდებლობის გაზრდა.

კავშირში მყოფი სტრატეგიული მიმართულებები

- ცხოვრების ხარისხი;
- განახლებული ეკონომიკა;
- ეფექტური მმართველობა.

კავშირში მყოფი სტრატეგიული მიზნები

- დასავლეთ საქართველოს ლიდერი ქალაქის ფუნქციის გაძლიერება;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და რეგიონული სამედიცინო მომსახურების განვითარება;
- ქალაქის, როგორც განათლების რეგიონული ცენტრის მნიშვნელობის გაზრდა;
- ქალაქის, როგორც კულტურის და სპორტის რეგიონული ცენტრის მნიშვნელობის გაზრდა;
- რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო ჰაბის ფუნქციის გაძლიერება;
- თვითმყოფადი ქალაქი მდგრადი გარემოთი.

კავშირში მყოფი გამოწვევები

- ქალაქის მოსახლეობის შემცირების შეჩერება;
- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საცხოვრებელი პირობების შექმნა;
- რეგიონის მომსახურე სამედიცინო და გამაჯანსაღებელი სერვისების გაუმჯობესება;
- საგანმანათლებლო პროგრამების კონკურენტუნარიანობის გაზრდა;
- რეგიონული კულტურული და სპორტული პროდუქტების შექმნა;
- რეგიონის მომსახურე სამედიცინო და გამაჯანსაღებელი სერვისების გაუმჯობესება;
- ქუთაისი ქალაქი ბიზნესის, არამომგებიანი ორგანიზაციების, შემოქმედებითი და

- აქტიური ადამიანებისათვის;
- ქალაქის და მისი სივრცეების მართვის გაუმჯობესება.

პროგრამის აღწერა

ქუთაისში მოსახლეობის შემცირების მნიშვნელოვანი მიზეზი მოსახლეობის ქალაქიდან მიგრაციაა. იმისთვის, რომ შეწყდეს ეს ტენდენცია, ქუთაისში უნდა გაუმჯობესდეს საცხოვრებელი პირობები და ქალაქისა და მის გარშემო მუნიციპალიტეტების მაცხოვრებლებს უნდა განუმტკიცდეთ რწმენა ქალაქში საცხოვრებლად ხელსაყრელი სივრცითი და ტექნიკური პირობების შექმნის შესახებ.

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები/პროექტები:

- არსებული საცხოვრებელი ფონდის გაუმჯობესების თანადაფინანსება;
- მცირე ინფრასტრუქტურის (ეზოები, მინი სკვერები, ატრაქციონები) გაუმჯობესება;
- მუნიციპალური სოციალური საცხოვრისის შექმნა;
- მოსახლეობის სასმელი წყლით უწყვეტი მომარაგების უზრუნველყოფა და წყალარინების სისტემის შექმნა-რეაბილიტაცია;
- მდგრადი საზოგადოებრივი ტრანსპორტი;
- ენერგომომხმარების შემცირება და განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენება მუნიციპალურ შენობებში;
- საცხოვრებელ სახლებში, ოფისებსა და საწარმოებში ენერგომომხმარების შემცირებისა და განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების ხელშეწყობა;
- ქალაქში არსებული გარე განათების სისტემის ჩანაცვლება ენერგოეფექტური (ენერგოდამზოგი) სისტემით;
- ენერგეტიკული პასპორტის შექმნა ყველა ბინისთვის ახალად აშენებულ საცხოვრებელ სახლში;
- ენერგეტიკული დისპლეი არსებული საბინაო ფონდისთვის და გაუმჯობესების თანადაფინანსება;
- ქუთაისის და მიმდებარე მუნიციპალიტეტების საცხოვრებელი ფონდის ოდენობისა და მდგომარეობის ყოველწლიური მონიტორინგი;
- ქალაქის პარკების და სხვა გამწვანებული ტერიტორიების განვითარება;
- დასასვენებელი ადგილების ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ქალაქში მწვანე კორიდორების შექმნა;
- შიდა საქალაქო საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;
- ქალაქის გარე იერსახის გაუმჯობესება არქიტექტურული, სივრცითი და ეკოლოგიური კუთხით;
- დასუფთავების სისტემის, მათ შორის, დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების მენეჯმენტის გაუმჯობესება;
- ქალაქის ყველა ასაკის მაცხოვრებელთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პროექტების განხორციელება;
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების და ხანში შესული მაცხოვრებლებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა.

ბენეფიციარები

- ქუთაისის მოსახლეობა;

- ქუთაისის პოტენციური მოსახლეობა;
- რეგიონის მოსახლეობა;
- ინვესტორები;
- სტუდენტები;
- სხვადასხვა სერვისის მიმწოდებლები.

პროგრამის განხორციელებით მიღებული შედეგები

- ახალი საცხოვრებელი სახლები;
- დასაქირავებელი კერძო საცხოვრებელი ბინების გაზრდილი რაოდენობა;
- მეტი ხელმისაწვდომი საცხოვრისი;
- ქონების გადასახადის გადამხდელთა გაზრდილი რაოდენობა;
- გაზრდილი სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- ქალაქის უკეთესი იმიჯი;
- მომსახურების გაუმჯობესებული ხარისხი.

პროგრამის შესრულების ინდიკატორები

- ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა;
- საცხოვრებელი ფართი ერთ სულ მოსახლეზე;
- ექსპლუატაციაში მიღებული ბინების რაოდენობა;
- პარკირების ახალი ადგილების რაოდენობა ქალაქის ცენტრში;
- ბინის ქირის საშუალო ღირებულება;
- ტურისტების მიერ სასტუმროში გატარებული ღამეების რაოდენობა 1000 კაცზე.

რისკები პროგრამის განხორციელებისას

- ფინანსური რესურსების უკმარისობა;
- პარტნიორების არ ყოლა ინვესტიციების განსახორციელებლად;
- მაკროეკონომიკური რისკები;
- დაბინძურების გაზრდა;
- სივრცითი გეგმის არქონა;
- მუნიციპალური სერვისების დონის გაუარესება;
- მოსახლეობის დაბერება;
- დიდი ზეწოლა საჯარო სერვისებზე სოციალური ფონის გაუარესების შემთხვევაში.

კავშირში მყოფი ეროვნული და რეგიონული დოკუმენტები

- საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია
- 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა
- იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021

კავშირში მყოფი სხვა სტრატეგიული პროგრამები

- ქუთაისი – განათლებისა და ცოდნის ქალაქი
- ქუთაისი – კულტურის ქალაქი
- სპორტი ქუთაისში
- ქუთაისი – ტურისტთა ქალაქი

- ქალაქი მდინარის პირას
- განახლებული ქალაქი

პოტენციური რესურსების წყაროები პროგრამის განსახორციელებლად

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;
- რეგიონული განვითარების ფონდი;
- მუნიციპალური განვითარების ფონდი;
- კერძო სექტორი;
- დონორები.

პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა

- ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახური

პარტნიორები

მუნიციპალიტეტში:

- ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახური;
- ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახური;
- ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური;
- ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახური;
- ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის სამსახური.

მუნიციპალიტეტის გარეთ:

- დეველოპერები;
- ბანკები;
- მუნიციპალური სერვისების განმახორციელებელი კომპანიები;
- ცენტრალური ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურები.

ქუთაისი – განათლებისა და ცოდნის ქალაქი

პროგრამის ამოცანები

- ქუთაისის გადაქცევა რეგიონის ძლიერ საუნივერსიტეტო ქალაქად;
- სკოლამდელი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესება;
- ქუთაისის, როგორც დასავლეთ საქართველოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრის პოზიციის გაძლიერება;
- სამეცნიერო წრეების მონაწილეობა ქალაქის პრობლემების გადაწყვეტაში;
- ქუთაისის, როგორც უცხოელი სტუდენტების სწავლების ადგილის მიმზიდველობის გაზრდა;
- პირობების შექმნა ადამიანური კაპიტალის განვითარებისათვის;
- ქუთაისის, როგორც საცხოვრებლად მიმზიდველი ქალაქის იმიჯის გაზრდა;
- ქალაქსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის თანამშრომლობის გაზრდა;
- ქუთაისის საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობის გაფართოება საქართველოს და უცხოეთის ანალოგიურ დაწესებულებებთან.

კავშირში მყოფი სტრატეგიული მიმართულებები

- ცხოვრების ხარისხი;
- თანამშრომლობა;
- განახლებული ეკონომიკა.

კავშირში მყოფი სტრატეგიული მიზნები

- დასავლეთ საქართველოს ლიდერი ქალაქის ფუნქციის გაძლიერება;
- ქალაქის ეკონომიკის განახლება და საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდა;
- ქალაქის, როგორც განათლების რეგიონული ცენტრის მნიშვნელობის გაზრდა;
- რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო ჰაბის ფუნქციის გაძლიერება ქალაქის, როგორც კულტურის და სპორტის რეგიონული ცენტრის მნიშვნელობის გაზრდა.

კავშირში მყოფი გამოწვევები

- ქალაქის მოსახლეობის შემცირების შეჩერება;
- საგანმანათლებლო პროგრამების კონკურენტუნარიანობის გაზრდა;
- საქართველოს მუნიციპალიტეტებთან ერთად საერთო პროდუქტებისა და სერვისების მომზადება;
- რეგიონული კულტურული და სპორტული პროდუქტების შექმნა;
- რეგიონის მომსახურე სამედიცინო და გამაჯანსაღებელი სერვისების გაუმჯობესება;
- ქუთაისი – ქალაქი ბიზნესის, არამომგებიანი ორგანიზაციების, შემოქმედებითი და აქტიური ადამიანებისათვის.

პროგრამის აღწერა

ქუთაისი საქართველოს მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო და საუნივერსიტეტო ცენტრია. სექტორში დასაქმებულთა, სტუდენტთა და მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე

განათლების სექტორი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქალაქისთვის.

ამ მნიშვნელობიდან და სტუდენტების რაოდენობის შემცირების საფრთხის გამო, დემოგრაფიული ტენდენციებისა და სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებთან კონკურენციიდან გამომდინარე, რომლებიც განათლებასთან ერთად სამუშაო ადგილებსაც სთავაზობენ ახალგაზრდებს, აშკარაა საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ქალაქს შორის თანამშრომლობის აუცილებლობა. ამ თანამშრომლობაში მთავარი სიმძიმე საგანმანათლებლო დაწესებულებებზეა, მაგრამ ქალაქს შეუძლია მხარი დაუჭიროს გაუმჯობესების პროცესს.

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები/პროექტები:

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მუდმივი განახლება, მენეჯმენტის გაუმჯობესება და სწავლების თანამედროვე ინსტრუმენტების გამოყენება;
- უცხო ენების შესწავლის წახალისება ახალგაზრდებში;
- ქუთაისის სკოლების მოსწავლეების შედეგების ყოველწლიური მონიტორინგი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მოსწავლეთა მობილობის, პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარების შესახებ;
- ბიზნესგანათლების მიღების წახალისება ქუთაისის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის;
- ქუთაისის უნივერსიტეტებისა და პროფესიული სასწავლებლების 2017-2021 წლების სტრატეგიების შემუშავების ხელშეწყობა ან/და დამტკიცებული სტრატეგიების იმპლემენტაციაში მხარდაჭერა;
- უცხოენოვანი პროგრამების რაოდენობის გაზრდა ქუთაისის უმაღლეს სასწავლებლებში;
- ქუთაისის უმაღლესი სასწავლებლების პოპულარიზაცია საქართველოს მუნიციპალიტეტებსა და უცხოეთში;
- ქუთაისისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე სტუდენტური და სამეცნიერო კვლევების წახალისება;
- ქუთაისის უნივერსიტეტებში შექმნილი ლაბორატორიების განვითარება;
- ქუთაისის მუნიციპალიტეტის ყოველწლიური სტიპენდიების დანიშვნა ქუთაისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის და სკოლის მოსწავლეებისათვის;
- მეცნიერების სტიმულირება და ქუთაისში კვლევების ჩამტარებელი უცხოეთის უნივერსიტეტების პროფესორების ადგილობრივ კოლეგებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- ქუთაისის მუნიციპალიტეტის ყოველწლიური საზაფხულო სკოლების ორგანიზება;
- პროფესიული კადრების მომზადების მხარდაჭერა;
- თანამედროვე სტანდარტების ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მშენებლობა;
- საჯარო ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია;
- თანამედროვე სტანდარტების საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის შექმნა;
- ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-პანსიონის აღდგენა თანამედროვე სტანდარტებით.

ბენეფიციარები

- ქუთაისის და დასავლეთ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისა და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები;

- ქუთაისის სამეცნიერო წრეები და საუნივერსიტეტო პერსონალი;
- ქუთაისის და რეგიონის სკოლების მოსწავლეები;
- ქუთაისის და იმერეთის კომპანიები და ორგანიზაციები;
- დასავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტები და რეგიონები;
- უცხოელი სტუდენტები.

პროგრამის განხორციელებით მიღებული შედეგები

- რეგიონული სამეცნიერო სემინარებისა და კონფერენციების რაოდენობისა და ხარისხის გაუმჯობესება;
- კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები ქუთაისის საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალისათვის;
- იმ ადამიანთა რაოდენობის გაზრდა, რომლებიც ქუთაისს ირჩევენ თავიანთი ცონდისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად;
- საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა ქალაქის სასწავლებლებში;
- ადგილობრივ მოთხოვნებზე უფრო მეტად მორგებული უნივერსიტეტები და პროფესიული სასწავლებლები;
- ქალაქის საგანმანათლებლო პოტენციალის მნიშვნელობის გაზრდა.

პროგრამის შესრულების ინდიკატორები

- სტუდენტების რაოდენობა ქუთაისის უმაღლეს სასწავლებლებში;
- სტუდენტთა რაოდენობა 1000 მაცხოვრებელზე საქართველოს სხვა ქალაქებთან შედარებით;
- უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა;
- უცხოელი სტუდენტების ხვედრითი წილი სტუდენტთა საერთო რაოდენობაში;
- უცხოენოვან ფაკულტეტთა რაოდენობა;
- უცხოენოვანი ფაკულტეტების ხვედრითი წილი ფაკულტეტების საერთო რაოდენობაში;
- ქუთაისის უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების ადგილი გამოქვეყნებულ რეიტინგებში;
- კვლევებში დაკავებული პროფესორებისა და სტუდენტების რაოდენობა;
- ქალაქში ჩატარებული კვლევების რაოდენობა.

რისკები პროგრამის განხორციელებისას

- ფინანსური რესურსების უკმარისობა;
- პარტნიორების დაბალი დაინტერესება პროგრამის მიზნებითა და ღონისძიებებით.

კავშირში მყოფი ეროვნული და რეგიონული დოკუმენტები

- საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – „საქართველო 2020“;
- საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია;
- 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა;
- იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021;
- პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია 2013-2020;
- განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული

მიმართულებები;

კავშირში მყოფი სხვა სტრატეგიული პროგრამები

- ვიცხოვროთ ქუთაისში;
- ქუთაისი თქვენი ბიზნესის ადგილი;
- ქუთაისი – კულტურის ქალაქი;
- სპორტი ქუთაისში.

პოტენციური რესურსების წყაროები პროგრამის განსახორციელებლად

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;
- სახელმწიფო ბიუჯეტი;
- საერთაშორისო ფონდები.

პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა

- ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის სამსახური.

პარტნიორები

მუნიციპალიტეტში:

- ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახური.

მუნიციპალიტეტის გარეთ:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო;
- ქუთაისის უმაღლესი სასწავლებლები;
- ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლები;
- ქუთაისის პროფესიული სასწავლებლები;
- ქუთაისის პარტნიორი ქალაქები;
- სფეროში მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები.

ქუთაისი – კულტურის ქალაქი

პროგრამის ამოცანები

- ქუთაისის კულტურული ღონისძიებების შესახებ რეგიონის მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა;
- რეგიონული მნიშვნელობის ღონისძიებების ორგანიზება;
- მოსახლეობის იდენტობის გაძლიერება ქუთაისთან და რეგიონთან;
- წვდომის გაზრდა კულტურულ ღონისძიებებზე;
- კულტურასა და შემოქმედებით ინდუსტრიებში დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდა.

კავშირში მყოფი სტრატეგიული მიმართულებები

- ცხოვრების ხარისხი;
- განახლებული ეკონომიკა;
- თანამშრომლობა.

კავშირში მყოფი სტრატეგიული მიზნები

- დასავლეთ საქართველოს ლიდერი ქალაქის ფუნქციის გაძლიერება;
- ქალაქის ეკონომიკის განახლება და საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდა;
- ქალაქის, როგორც კულტურის და სპორტის რეგიონული ცენტრის მნიშვნელობის გაზრდა;
- ქალაქის, როგორც განათლების რეგიონული ცენტრის მნიშვნელობის გაზრდა.

კავშირში მყოფი გამოწვევები

- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საცხოვრებელი პირობები;
- რეგიონული კულტურული და სპორტული პროდუქტების შექმნა;
- ტურისტული შესაძლებლობების გამოყენება და სავაჭრო კავშირების გაძლიერება;
- ქუთაისი ქალაქი ბიზნესის, არამომგებიანი ორგანიზაციების, შემოქმედებითი და აქტიური ადამიანებისათვის.

პროგრამის აღწერა

კულტურა განმსაზღვრელი ელემენტია ქუთაისში ცხოვრების დონის შესაფასებლად და ქუთაისის საცხოვრებელ, სამუშაო და განათლების ადგილად არჩევისას. კულტურის სფეროს განვითარება მნიშვნელოვანია ქუთაისის მიერ რეგიონში ლიდერის პოზიციის მოსაპოვებლად და დამატებითი სამუშაო ადგილების შესაქმნელად.

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები/პროექტებია:

- ქუთაისის კულტურის სტრატეგიის შემუშავება;
- კულტურის განვითარების რეგიონული ჯგუფის შექმნა;
- კულტურის დაფინანსების გადაწყვეტილებების მიღების პროცედურების სრულყოფა;
- კონცეფცია „ქუთაისი – ფესტივალების ქალაქი“;
- ქვეყნის კულტურულ რუკაზე ქუთაისის მნიშვნელობის გაზრდა;

- ძველი ქუთაისის განვითარების კონცეფცია;
- ქუთაისის თეატრებში მაცურებელთა რაოდენობის გაზრდის კონცეფცია;
- ქუთაისის მუზეუმების შესაძლებლობების გაძლიერება;
- სამხატვრო გალერეის რეაბილიტაცია;
- არგონავტიკის მუზეუმის შექმნა;
- კულტურის სფეროში მოღვაწე ინდივიდებისა და ჯგუფების ხელშეწყობა;
- ქუთაისის ისტორიული შენობების რევიტალიზაცია;
- კულტურის სფეროში დაგეგმილი ღონისძიებების წლიური კალენდრის შექმნა და პოპულარიზაცია ქვეყნის შიგნით და გარეთ;
- კინოთეატრის შექმნა;
- კინოთეატრი ღია ცის ქვეშ;
- მოსახლეობის კულტურული აქტივობები ქუთაისის უბნებში;
- ქუთაისი – მუსიკის ქალაქი;
- ახალგაზრდული ცენტრის შექმნა;
- საკონცერტო დარბაზის მშენებლობა.

ბენეფიციარები

- ქუთაისის და რეგიონის მოსახლეობა;
- ქუთაისის კულტურის ობიექტები;
- ქუთაისის ვიზიტორები.

პროგრამის განხორციელებით მიღებული შედეგები

- გაზრდილი კულტურული აქტივობა მაცხოვრებლებს შორის;
- კულტურის ინსტიტუციების გაზრდილი მნიშვნელობა ქალაქის განვითარებაში;
- კულტურის სფეროში ინიციატივების მხარდაჭერის გაუმჯობესებული მექანიზმები;
- გაუმჯობესებული კულტურის ინფრასტრუქტურა;

პროგრამის შესრულების ინდიკატორები

- კულტურის „შემქმნელი“ ადამიანების რაოდენობა;
- კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა;
- კულტურული ღონისძიებების რაოდენობა;
- კულტურის სფეროში მოქმედი ორგანიზაციების რაოდენობა;
- საერთაშორისო კულტურული ღონისძიებების რაოდენობა.

რისკები პროგრამის განხორციელებისას

- ფინანსური რესურსების უკმარისობა;
- შესაბამისი საკანონმდებლო აქტების არ არსებობა.

კავშირში მყოფი ეროვნული და რეგიონული დოკუმენტები

- საქართველოს კულტურის სტრატეგია „კულტურა 2025“;
- საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია;
- 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა;
- იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021.

კავშირში მყოფი სხვა სტრატეგიული პროგრამები

- ვიცხოვროთ ქუთაისში;
- ქუთაისი თქვენი ბიზნესის ადგილი;
- ქუთაისი – ტურისტთა ქალაქი;
- განახლებული ქალაქი;
- ქუთაისი – განათლებისა და ცოდნის ქალაქი.

პოტენციური რესურსების წყაროები პროგრამის განსახორციელებლად

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;
- სახელმწიფო ბიუჯეტი;
- საერთაშორისო ფონდები.

პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა

- ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის სამსახური.

პარტნიორები

მუნიციპალიტეტში:

- ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახური;
- ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური;
- ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახური;

მუნიციპალიტეტის გარეთ:

- ცენტრალური ხესილუფლების შესაბამისი უწყებები;
- საერთაშორისო ორგანიზაციები;
- საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში არსებული კულტურული ობიექტები;
- არასამთავრობო ორგანიზაციები.

სპორტი ქუთაისში

პროგრამის ამოცანები

- რეგიონული სპორტული ცენტრის სტატუსის დამკვიდრება;
- სპორტული სერვისების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა;
- მრავალფეროვანი სპორტული სერვისები მოსახლეობისა და სტუმრებისთვის;
- სპორტული მიღწევების გაუმჯობესება.

კავშირში მყოფი სტრატეგიული მიმართულებები

- ცხოვრების ხარისხი.

კავშირში მყოფი სტრატეგიული მიზნები

- დასავლეთ საქართველოს ლიდერი ქალაქის ფუნქციის გაძლიერება;
- ქალაქის, როგორც კულტურის და სპორტის რეგიონული ცენტრის მნიშვნელობის გაზრდა;
- ქალაქის, როგორც განათლების რეგიონული ცენტრის მნიშვნელობის გაზრდა;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და რეგიონული სამედიცინო მომსახურების განვითარება;
- თვითმყოფადი ქალაქი მდგრადი გარემოთი.

კავშირში მყოფი გამოწვევები

- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საცხოვრებელი პირობების შექმნა;
- რეგიონული კულტურული და სპორტული პროდუქტების შექმნა;
- ტურისტული შესაძლებლობების გამოყენება და სავაჭრო კავშირების გაძლიერება;
- რეგიონის მომსახურე სამედიცინო და გამაჯანსაღებელი სერვისების გაუმჯობესება;
- ქუთაისი ქალაქი ბიზნესის, არამომგებიანი ორგანიზაციების, შემოქმედებითი და აქტიური ადამიანებისათვის.

პროგრამის აღწერა

ქუთაისში მრავალფეროვანი სპორტული ინფრასტრუქტურა და სპორტით დაკავებული მრავალი ადამიანია, მათ შორის, დიდია წარმატებული სპორტსმენების რაოდენობა. ეს ქმნის ქუთაისის, როგორც დასავლეთ საქართველოს სპორტული ცენტრის პოზიციის გაძლიერების წინაპირობას. ქუთაისი ეცდება გამოიყენოს ეს შესაძლებლობა და მოიპოვოს მეტი საერთაშორისო ღონისძიების ჩატარების უფლება, რაც ნიშნავს მეტი დაფინანსების მიღებას სპორტული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად და ქალაქის განვითარებისათვის, ცენტრალური ბიუჯეტიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან. ასევე საჭიროა გაიზარდოს მასობრივი სპორტით დაინტერესებულთა რაოდენობა, ეს ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრებასთან ერთად მნიშვნელოვანია არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის ეფექტურად გამოსაყენებლად. სპორტი, ასევე განხილული უნდა იყოს როგორც ქუთაისის საერთაშორისო იმიჯის გაუმჯობესების საშუალება.

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები/პროექტებია:

- მწვრთნელი ყველა მსურველისთვის – მწვრთნელები ადგილებში, სადაც შესაძლებელია სპორტით დაკავება;
- მწვრთნელების, სპორტული მენეჯერების, სპორტის ეკონომიკის, ანიმატორებისა და სპორტული ღონისძიებების ორგანიზატორების მოსამზადებელი კურსები ქალაქის უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად;
- ჩემპიონატების ჩატარება საქართველოს და პარტნიორი ქალაქების სკოლის მოსწავლეებს შორის;
- მრავალფუნქციური საერთაშორისო სტანდარტების სპორტული ობიექტების მშენებლობა, მ.შ.:
 - 3 სარაგბო/საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა;
 - სპორტის სასახლის მშენებლობა;
 - საცურაო აუზის მშენებლობა;
 - საუბნო სპორტული მოედნების რეაბილიტაცია-მშენებლობა.
- არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის მუდმივი განახლება;
- მასობრივი სპორტული ღონისძიებების ორგანიზება;
- ქუთაისის და პარტნიორი ქალაქების სპორტულ კლუბებს შორის თანამშრომლობა;
- ძლიერი და დამოუკიდებელი სპორტული კლუბების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- ტრადიციული და შედეგიანი სახეობების მხარდაჭერის პროგრამების შექმნა.

ბენეფიციარები

- ქუთაისის, იმერეთისა და მიმდებარე რეგიონის მოსახლეობა;
- ქუთაისელი სპორტსმენები;
- ქუთაისში გამართულ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილე არაქუთაისელი სპორტსმენები;
- ქუთაისის ვიზიტორები.

პროგრამის განხორციელებით მიღებული შედეგები

- ქალაქში გამართული ადგილობრივი და საერთაშორისო სპორტული ღონისძიებები;
- უკეთესი პირობები მოსახლეობის ფიზიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- სისტემატიურად ჩატარებული მრავალფეროვანი მასობრივი ადგილობრივი და საერთაშორისო სპორტული ღონისძიებები;
- საუკეთესო სპორტული ინფრასტრუქტურა რეგიონში საერთაშორისო ღონისძიებების ჩასატარებლად;
- პროფესიონალ სპორტსმენთა და მოყვარულთა რაოდენობის ზრდა;
- ქუთაისელი სპორტსმენების მიერ ნაჩვენები სპორტული შედეგების გაუმჯობესება.

პროგრამის შესრულების ინდიკატორები

- ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა და სიხშირე;
- სპორტულ ღონისძიებებში, სპორტის გაკვეთილებსა და ტრენინგებში მონაწილეთა რაოდენობა;
- სპორტული ინფრასტრუქტურის ობიექტების რაოდენობა;
- მოპოვებული მედლების/გამარჯვებების რაოდენობა.

რისკები პროგრამის განხორციელებისას

- ფინანსური რესურსების უკმარისობა;
- საქართველოს სხვა ქალაქების სპორტული ბაზებისა და ინფრასტრუქტურის გამო, საერთაშორისო ტურნირების ჩატარების უფლების მოპოვებისათვის კონკურენციის გაზრდა.

კავშირში მყოფი ეროვნული და რეგიონული დოკუმენტები

- საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია;
- 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა;
- იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021;
- სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარების სახელმწიფო პროგრამები.

კავშირში მყოფი სხვა სტრატეგიული პროგრამები

- ვიცხოვროთ ქუთაისში;
- ქუთაისი – ტურისტთა ქალაქი;
- ქალაქი მდინარის პირას;
- განახლებული ქალაქი.

პოტენციური რესურსების წყაროები პროგრამის განსახორციელებლად

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;
- სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო;
- საერთაშორისო ფონდები.

პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა

- ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის სამსახური.

პარტნიორები

მუნიციპალიტეტში:

- ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახური;
- ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური;
- ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახური.

მუნიციპალიტეტის გარეთ:

- სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო;
- სპორტული ფედერაციები და სპორტული კლუბები;
- საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი.

პროგრამის სახელი:

პროგრამა: № 5

ქუთაისის თქვენი ბიზნესის ადგილი

პროგრამის ამოცანები

- დამწყებ მეწარმეთა მხარდაჭერა;
- ყოფილი ინდუსტრიული ტერიტორიების განვითარება;
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;
- ქალაქის საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდა;
- ინოვაციური და მაღალი დამატებული ღირებულების შემქმნელი ბიზნესებისთვის განვითარების პირობების შექმნა;
- მომხმარებლების, პროდუქციისა და იდეების დამაკავშირებელი სისტემის განვითარება;
- გადამზდებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შექმნა;
- ბიზნესისთვის სივრცითი, ინფრასტრუქტურული და ადმინისტრაციული პირობების გაუმჯობესება;
- ინვესტორთა მომსახურების სისტემის შექმნა;
- სოციალური სერვისების ბაზრის განვითარების სტიმულირება;
- შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება;
- სამედიცინო ბიზნესის მხარდაჭერა;
- მსხვილი ლოჯისტიკური და სავაჭრო ცენტრების შექმნის ხელშეწყობა.

კავშირში მყოფი სტრატეგიული მიმართულება

- განახლებული ეკონომიკა;
- თანამშრომლობა;
- ეფექტური მმართველობა.

კავშირში მყოფი სტრატეგიული მიზნები

- ქალაქის ეკონომიკის განახლება და საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდა;
- დასავლეთ საქართველოს ლიდერი ქალაქის ფუნქციის გაძლიერება;
- რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო ჰაბის ფუნქციის გაძლიერება;
- ქალაქის, როგორც განათლების რეგიონული ცენტრის მნიშვნელობის გაზრდა;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და რეგიონული სამედიცინო მომსახურების განვითარება.

კავშირში მყოფი გამოწვევები

- ქუთაისის ქალაქი ბიზნესის, არამომგებიანი ორგანიზაციების, შემოქმედებითი და აქტიური ადამიანებისათვის;
- ქალაქის და მისი სივრცეების მართვის გაუმჯობესება;
- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საცხოვრებელი პირობების შექმნა;
- ტურისტული შესაძლებლობების გამოყენება და სავაჭრო კავშირების გაძლიერება;
- საქართველოს მუნიციპალიტეტებთან ერთად საერთო პროდუქტებისა და სერვისების მომზადება.

პროგრამის აღწერა

ბიზნესის განვითარებისთვის საკმარისი სივრცის არსებობა, ქალაქის გეოგრაფიული მდებარეობა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასთან სიახლოვე, დანახარჯები ბიზნესის განხორციელებაზე, რესურსებთან სახლოვე და მათდამი წვდომა, ბიზნესის მხარდამჭერი ინსტიტუციებისა და პროექტების არსებობა მნიშვნელოვანი ელემენტებია ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის.

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები/პროექტები:

- დარგობრივი კვლევების და საინვესტიციო წინადადებების პაკეტების მომზადება;
- ადგილობრივი გადასახადით დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმის შემოღება;
- მუნიციპალური ქონების შეძენისას საპრივატიზაციო ღირებულების უპროცენტო განვადება;
- საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურება;
- პროფესიული კადრების მომზადების მხარდაჭერა;
- ბიზნესის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების ხელმისაწვდომობის გაზრდა ადგილობრივი მეწარმეებისათვის;
- მეწარმეობის მხარდამჭერი ღონისძიებების განვითარება;
- ქალაქში არსებული სამედიცინო სფეროს კომპანიების მხარდაჭერა;
- თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებთან/კომპანიებთან თანამშრომლობით ბიზნესპროექტების შემუშავება;
- შემოქმედებითი ინდუსტრიების მხარდაჭერა;
- მუნიციპალური ქონების პრივატიზაციის ტემპის შემდგომი ზრდა და საინვესტიციო პაკეტების მუდმივი განახლება;
- სპეციალური ზონების გამოყოფა მსხვილი სავაჭრო და ლოჯისტიკური ცენტრების შექმნისათვის;
- საერთაშორისო ბიზნესკავშირების დამყარებაში ადგილობრივი მეწარმეების მხარდაჭერა;
- ადგილობრივ ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაცია;
- ქალაქის ურბანული განვითარების გეგმის შექმნა.

ბენეფიციარები

- ქუთაისის და რეგიონის მოსახლეობა;
- დამწყები მეწარმეები;
- ინვესტორები;
- მოქმედი მეწარმეები;
- შემოქმედებითი და აქტიური ადამიანები;
- უნივერსიტეტები;
- არამომგებიანი, არაკომერციული ორგანიზაციები.

პროგრამის განხორციელებით მიღებული შედეგები

- ყოფილი საწარმოო ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება;
- ახლადშექმნილი საწარმოების გაზრდილი რაოდენობა;
- პროგრამაში ჩართული ტერიტორიების გაუმჯობესება;
- დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა.

პროგრამის შესრულების ინდიკატორები

- პროგრამით გათვალისწინებულ ტერიტორიებზე ინვესტიციების განმახორციელებელი კომპანიების რაოდენობა;
- რეაბილიტირებული ყოფილი საწარმოო ტერიტორიები;
- პროგრამით გათვალისწინებულ ტერიტორიებსა და სექტორებში შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- ბიზნესის ხელშემწყობი ახლად შექმნილი ინსტიტუტების რაოდენობა;
- ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების მოცულობა;
- ქალაქში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა.

რისკები პროგრამის განხორციელებისას

- ფინანსური რესურსების უკმარისობა;
- პარტნიორების არყოფილი ინვესტიციების განსახორციელებლად;
- თანამშრომლობის არარსებობა შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან;
- სივრცითი გეგმის არქონა;
- გამოცდილების მქონე კადრების არ არსებობა;
- მოსახლეობის დაბალი ინტერესი.

კავშირში მყოფი ეროვნული და რეგიონული დოკუმენტები

- საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“;
- საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის;
- საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია;
- 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა;
- იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021.

კავშირში მყოფი სხვა სტრატეგიული პროგრამები

- ქუთაისი – განათლებისა და ცოდნის ქალაქი;
- ქუთაისი – კულტურის ქალაქი;
- ქუთაისი – ტურისტთა ქალაქი;
- ქალაქი მდინარის პირას;
- ერთად განვითარდეთ;
- ვენდობით ერთმანეთს.

პოტენციური რესურსების წყაროები პროგრამის განსახორციელებლად

- ინფრასტრუქტურის განვითარების მუნიციპალური პროგრამა;
- გარემოს გაუმჯობესების პროგრამა;
- შრომითი რესურსების განვითარების პროგრამა;
- სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“;
- შემოქმედებითი ინდუსტრიების მხარდამჭერი პროგრამა;
- ინოვაციური ეკონომიკის მხარდამჭერი პროგრამა;
- საქართველოს ინვესტიციების სააგენტო;
- კერძო კაპიტალი.

პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა

- ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახური.

პარტნიორები

მუნიციპალიტეტში:

- ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის სამსახური;
- ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება;
